## ულოცავენ

# ერთგულების დროშა!

**საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს**

უშალმა უწყის მართალთა გზა...

ქართველმა ხალხმა უარყო გულისწყრომა და აირჩია გზა ღვთით ბოძებული – გზა შერიგებისა და გამთლიანებისა.

ერთგულების დროშა გამალა საქართველომ და ხმა მოგცათ თქვენ, საქვეყნოდ აღიარებულ პოლიტიკოსს, საქართველოს დიდ ჭირისუფალს.

დავით აღმაშენებლის დროშით ევლოს საქართველოს, ხოლო დავით აღმაშენებლის დროშაზე ამოქარგულია დიდი ილიას სიტყვები:

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით,
დამედაგოს მტკიცე გული“...

125 წლის ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო საბჭო;

**ჯანსუღ ჩარკვიანი (თავმჯდომარე), გულნარა ბახტაძე, ვასილ გვეტაძე, ნატა თათარაშვილი, ზურაბ კვანტრიშვილი, თედო ნინიძე, დინარა ნოდია, ელდარ შენგელაია, ზურაბ წერეთელი, თამაზ ჭილაძე.**

## რეზონანსი

# ედუარდ შევარდნაძე ყოველთვის გახსნილია ახალი იდეებისათვის

**დასავლეთის პრესა საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ**



დასავლეთის პრესა აქვეყნებს მოქალაქეთა კავშირის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის კომენტარებს საქართველოში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით. იგი შეხვდა დასავლეთის რამდენიმე წამყვანი ბეჭდვითი ორგანოს წარმომადგენელს. გთავაზობთ ამ გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების მიმოხილვას.

იხ. მე-2 გვ.

## გამარჯობათ!

# „ჩვენ ერთი ოჯახი ვართ“

მსოფლიოს ჭადრაკის საერთაშორისო ორგანიზაციის – ფიდეს ეს დევიზი, რომელიც ათეული წლობით ყველა მნიშვნელოვანი ტურნირის დევიზიც გახლდათ, ამ ბოლო წლებში ერთგვარად გაფერმკრთალდა. მოგეხსენებათ, პირველი ბზარი „ოჯახს“ ჯერ კიდევ ამერიკელმა დიდოსტატმა რობერტ ფიშერმა გაუჩინა, როდესაც აღარ მოისურვა, ფიდეს წესებს დამორჩილებოდა და ბორის სპასკისთან ორთაბრძოლაში მოპოვებული გვირგვინი ახალ პრეტენდენტთან დაეცვა. გარი კასპაროვმა, რომ იტყვიან, თვით ფიდეს ავტორიტეტს შეუყენა წყალი – საკუთარი ასოციაცია – დიდოსტატების ერთგვარი ამქარი შექმნა და ფიდეს განუდგა.

ფიდეს მიმართ ორჭოფული დამოკიდებულება სხვა ცნობილ დიდოსტატებსაც ახასიათებს და შედეგად მივიღეთ ის, რომ დღეს მსოფლიოს რამდენიმე „გვირგვინოსანი“ ჰყავს – გარი კასპაროვი, აგრეთვე, ალექსანდრ ხალიფმანი (ფიდეს მიერ შემოღებული ნოკაუტ-სისტემით გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებული); ფიდეს ვერსიით ჩემპიონად არის მიჩნეული ანატოლი კარპოვიც...

ამ ფონზე, ალბათ, არც არის გასაკვირი, რომ განხეთქილება მოხდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაშიც – მის პრეზიდენტს დაუპირისპირდა ქალთა ჭადრაკის სახელოვანი წარმომადგენლების ჯგუფი. ერთგვარ კატალიზატორად იქცა ბათუმში გამართულ ევროპის გუნდურ პირველობაზე საქართველოს ქალთა და ვაჟთა ნაკრებთა უჩვეულოდ სუსტი გამოსვლა, რასაც მოჰყვა ურთიერთბრალდებები და გაუგებრობები. კიდევ კარგი, რომ ჩვენს წამყვან მოჭადრაკეებს ეყოთ სიბრძნე და საქმე არ მივიდა ალტერნატიული (მეორე) ფედერაციის შექმნამდე. სპორტული და, საერთოდ, მთელი საზოგადოების ძალისხმევით მოხერხდა ის, რომ ხიდები საბოლოოდ არ ჩამტვრეულიყო. სალმა აზრმა გაიმარჯვა და ჩვენი საჭადრაკო ოჯახი, ასე თუ ისე, შენარჩუნებულია, რაც დაადასტურა კიდეც 5 აპრილს გამართულმა ფედერაციის რიგგარეშე ყრილობამ.

ხსენებული მიზეზების გამო ამ პერიოდში ვერ მოხერხდა ჩვენი გაზეთის და ჭადრაკის ფედერაციის ერთობლივი გამოცემის – „ლაზიერის“ დასტამბვა და ოთხთვიანი „ტაიმ-აუტის“ შემდეგ მხოლოდ დღეს გთავაზობთ მის მორიგ ნომერს.

**მორიგე რედაქტორი.**

**ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:**
**http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika**

**ბოლო 13 დღეში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 7284 მკითხველი. მათ შორის, 60% აშშ-დან, 25% – საქართველოდან.**


GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №102-103 (3504) კვირა-ორშაბათი. 16-17 აპრილი. 2000 წელი. ფასი შეთანხმებით.


## გიხაროდეს!

# აგვაყვავილეს ჩვილთა ღუღუნით...



ჩვილთა შემომატება – ოჯახის სიხარულია!

– 4 წლის ანანოს გუშინ სალომეც მიემატა, სიცოცხლე, იმედი და სიხარული მოუტანა გოგონამ ნინო და ზაზა ნიშნიანიძეებს. ნინომ გუშინწინ ორთაჭალაში, მე-4 სამშობიარო სახლში იმშობიარა. მადლობა მთავარ ექიმს დათო ქორიძეს და მთელ მედპერსონალს, რომელთა ყურადღება დედა-შვილს არ აკლია.

სალომე ჩვენი მეოთხე შვილიშვილია. ბებია და პაპა გიზიარებთ ამ სიხარულს. უფროს შვილსაც ორი გოგონა ჰყავს – სალომე და ნუციკო, – დაგვირეკეს ნანა ჯაჯანაშვილმა და ჯემალ მიქაძემ.

– იორემაშვილების ოჯახში ტყუპი ბიჭები გაჩნდნენ, – გვაუწყეს № 5 სამშობიარო სახლიდან, – გუშინ, ჩვენთან 12 ბავშვი დაიბადა. 20 წლის ხათუნა იორემაშვილს ტყუპი ბიჭები შეეძინა, ორივენი ჯანმრთელები არიან. ისინი ისე „ხმაშეწყობილნი“ არიან დედის ძუძუს მოხმობაში, სხვებიც ბანს აძლევენ... რომ იტყვიან, აგვაყვავილეს ჩვილთა ღუღუნით...

**გაიზარდონ, ვულოცავთ ყველას!**

**ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.**

## SIC!

# პუბლიკაცია სინამდვილეს არ შეეფერება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „გაზეთ „ახალ თაობაში“ (102, 14 აპრილი, 2000 წ.) გამოქვეყნებულ სტატიაში „თავდაცვის სამინისტროს სტამბაში ყალბი ფაქტურები იბეჭდება“ მოყვანილი ფაქტი სათანადო სამსახურებმა ოპერატიულად შეამოწმეს. დადგინდა, რომ ყალბი ანგარიშფაქტურებისა და ბეჭდების დამზადებასთან თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სტამბებს არავითარი კავშირი არა აქვს. გარდა ამისა, ინფორმაციის საეჭვო წარმომავლობაზე ყურადღება შინაგან საქმეთა სამინისტროშიც გაამახვილეს, სადაც თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებთან საუბრისას, უარყვეს ცნობა იმის შესახებ, თითქოს ბრალდება მინისტრს კახა თარგამაძეს წარმოეთქვას.

რამდენადაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გარკვეული პიროვნება თუ პირთა ჯგუფი ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების მიერ მართლაც იმხილება აღნიშნულ ქმედებაში, მაგრამ მათ თავდაცვის სამინისტროსთან არავითარი კავშირი არა აქვთ“.

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრი – საქინფორმი.**

## სულიერება

# მუსიკალური მომლოცველობა დაიწყო!



14 აპრილს ბოდბის მონასტრის ეზოში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი — თბილისელმა სტუმრებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელთაც ამ დღის მადლი და შთაბეჭდილებები დიდხანს ასაზრდოებს სულიერად, სწორედ აქ, წმინდა ნინოს საფლავთან დაედო დასაბამი უპრეცედენტო აქციას — ჩვენი სასიქადულო მუსიკოსის ლიანა ისაკაძის მართლაც შეუდარებელ იდეას — მუსიკალურ მომლოცველობას „ევროპიდან იერუსალიმამდე“. დიახ, პირველად სწორედ საქართველოში აჟღერდა ჰანგები, რომელთაც უცხოელი მსმენელები თვის ბოლომდე მოისმენენ ლიანა ისაკაძის, დირიჟორ გიორგი ჟორდანიასა და საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის შესრულებით, ქალაქებში — ეიხტატში, ვენეციაში, რომში, პატრასში, ათენში, ესუსში და ბოლოს, იერუსალიმში.

იხ. მე-10 გვ.

## ქორწილია, ქორწილი!

# ნეფის დედა სიხარულს ვერ ფარავდა



**23 წლის ბანკირმა გიორგი მენაბდემ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ქეთევან მეფარიშვილმა 2000 წლის დამდეგს, 2 იანვარს, ბედობის დღეს გაიცნეს ერთმანეთი.**

გულმა გული იცნო და მას ქორწილიც მოჰყვა. მათ თბილისის სადღესასწაულო ცენტრში მოაწერეს ხელი და საქართველოს კანონით განამტკიცეს ცოლ-ქმრული ურთიერთობა.

– ქეთევანი საქართველოში კარგად ცნობილი პირველი მშენებელი ქალისა და დიდი მოღვაწის თინათინ ქუთათელაძის ფუძეჩაყრილ ოჯახში შემოვიდა. ვიცი, იგი ჩვენი ოჯახის ტრადიციას გააგრძელებს.

მოგვწონს თქვენი გაზეთის წამოწყება, ახალი ოჯახის შექმნას რომ ეხმიანება. ველოდებით ხოლმე კვირა-ორშაბათის ნომერს, სადაც მეჯვარეთა სურათებიც იბეჭდება. თუკი ახალგაზრდების ურთიერთობა სიყვარულს ეფუძნება და ისე აეწყობა ოჯახური ცხოვრება, დიდი ბედნიერებაა! – სიხარულს ვერ ფარავდა ნეფის დედა, პედაგოგი ქეთევან ასათიანი. ჰოდა, აბა რა არის პატარძლისათვის ამაზე ტკბილი, როცა მშობლის თვალი ასეთი იმედით გიყურებს. დალოცვის შემდეგ ახალგაზრდები საქორწილო მოგზაურობაში ახლობლებთან, საფრანგეთს გაემგზავრნენ.

ბედნიერება, გამრავლება ვუსურვოთ!

**ნათელა ფაილოძე,**

**გვესტუმრეთ რედაქციაში, გაგვიზიარეთ თქვენი სიხარული, შეგიძლიათ მოიტანოთ ქორწილის დღეს გადაღებული სურათები.**

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

**ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.**

## გაზაფხულია, ხე დარგე!

# ასურეთელები

**თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთის საშუალო სკოლაში არაერთი სახელოვანი ადამიანი აღზრდილა.** დღეს აქ 200 მოსწავლე ეუფლება ცოდნას (დირექტორი დავით ბექაური). მასწავლებელთა ატესტაციის შემდეგ უმაღლესი კატეგორიის 6, დანარჩენი კი პირველი კატეგორიის მასწავლებლები მუშაობენ.

სკოლისადმი დიდ მზრუნველობას იჩენს თეთრიწყაროს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი დავით ბექუაშვილი. მისი მზრუნველობა იმითაც გამოიხატა, რომ დეპუტატის მცდელობით ამ რაიონის სოფლის სკოლების მასწავლებლები, მათ შორის, ასურეთისა, ყოველ თვე იღებენ კუთვნილ ხელფასს.

გაზაფხულდა თუ არა, მოსწავლეები ბიოლოგიის მასწავლებელმა ლიდა აფციაურმა სასწავლებლის ეზო-გარემოს გამწვანებაზე გაიყვანა. ეს სურათიც ასურეთშია გადაღებული, – ახალგაზრდები სკოლის ეზოში ხეების რგვის დროს. სახლი, რომელიც სურათზე მოჩანს, სახელოსნოა, სადაც მოსწავლეები სასოფლო-სამეურნეო იარაღს ინახავენ.

გაზაფხულმა სოფელი გარეთ გამოიყვანა, მათ შორის, ასურეთელი ახალგაზრდებიც. გაზაფხულია, ხეს რგავენ...

**ნათელა ფალიაშვილი.**

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.



## დაჯილდოება

# საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 14 აპრილი ქ. თბილისი

**შ. ქარჩავას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის თბილისის საერო ინსტიტუტ „გაენათის“ რექტორი, საქართველოს განათლების სისტემის წარმომადგენელთა ასოციაციის გენერალური მდივანი, პროფესორი **შარლენ ქარჩავა** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

# საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 14 აპრილი ქ. თბილისი

**ო. გრძელიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში კარატეს განვითარებასა და ახალგაზრდა სპორტსმენთა მომზადებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის საქართველოს ეროვნული კარატე-დოს კავშირის პრეზიდენტი, ევროპის ჩემპიონი კარატე-დოში **ოთარ გრძელიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

## გვეხმაურებიან

# ზოგიერთი შეცდომა, რომლებიც ზუსტი ინფორმაციის არქონის ბრალია

თქვენი გაზეთის 11 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიასთან „დემოკრატია თუ თეოკრატია ირანის ახალ პარლამენტში“ დაკავშირებით, გაცნობებთ:

თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს პრესის განყოფილება კმაყოფილებას გამოთქვამს თქვენი გაზეთის მიერ ირანში არსებული მდგომარეობისა და იქ მიმდინარე ცვლილებების მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და ამ მოვლენათა ვრცლად გაშუქების გამო და ამ ინტერესს, ჩვენი ქვეყნების

იხ. მე-2 გვ.

## ინფორმაცია

**სუუამი – სასიცოცხლო ინტერესების სფერო**

რეგიონული ორგანიზაცია სუუამის (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა) ტერიტორია საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების სფეროს წარმოადგენს, განუცხადა პრაიმ-ნიუსს საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა საერთაშორისო საკითხებში შალვა ფიჩხაძემ.

მისი თქმით, თუმცა სუუამი ჯერ ინსტიტუციონალურად არ ჩამოყალიბებულა, უკვე გამოჩნდა იმის ნიშნები, რომ მზად არიან აღიქვან იგი როგორც რეგიონული წარმონაქმნი.

ამის მაგალითად პრეზიდენტის მრჩეველმა მოიყვანა აშშ სენატის გადაწყვეტილება, რომელმაც სუუამის ქვეყნებს და სომხეთს საზღვრის დაცვის გასაძლიერებლად 37 მილიონი დოლარი გამოუყო.

„ეს იმას ნიშნავს, რომ დროის განმავლობაში სუუამს აღიქვამენ, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციას“, თქვა ფიჩხაძემ.

მან აღნიშნა, რომ ეს ორგანიზაცია არ არის მიმართული რომელიმე სხვა სახელმწიფოს ინტერესების, მით უმეტეს რუსეთის წინააღმდეგ, რომელთანაც სუუამის ყველა წევრ ქვეყანას საერთო საზღვარი აქვს.

**ექსპორტის ხარჯზე ელექტროენერგიის მოხმარება იზრდება**

გუშინ საქართველოს ენერგოსისტემა საშუალო დატვირთვით მუშაობდა. დილის პიკის დროს ენგურზე 220 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებდა ერთი აგრეგატი. თბილსრესში მთელი დატვირთვით ამოქმედდნენ მესამე და მერვე ბლოკები, რომელთა სიმძლავრე 220 მეგავატს შეადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე საერთო გენერაცია 880 მეგავატს უდრიდა. 100 მეგავატ ელექტროენერგიას ექსპორტის სახით საქენერგო რუსეთიდან იღებდა. ამ დღეს დედაქალაქმა მოიხმარა 8 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. საერთო გენერაცია შეადგენდა 23 მილიონ მეგავატს. ექსპორტის ხარჯზე მოხმარებული იქნა 25 მილიონი მეგავატი.

**ამერიკელები – საქართველოს სამხედრო ნაწილებში**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხვალ ამერიკის შეერთებული შტატების მრავალეროვნული საკონტაქტო ჯგუფი ეწვევა.

ჯგუფის საქართველოში ვიზიტის მიზანია თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების ინსპექტირება – ჯგუფის წევრები სამხედრო ნაწილებში არსებულ მდგომარეობას შეისწავლიან. შემუშავდება თავდაცვის სისტემაში არსებული პრობლემების დაძლევის შესაძლებლობა. დაგეგმილია შეხვედრები თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან.

აშშ საკონტაქტო ჯგუფის წევრები თბილისიდან 21 აპრილს გაემგზავრებიან.

**„საქართველოს რკინიგზა“ წარმატებული ბიზნესისათვის თადარიგს იჭერს**

მეს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ვაგონცისტერნებით მომარაგებას დიდი ყურადღება დაეთმობა, – განუცხადა მეილექსპრესს „საქართველოს რკინიგზის“ პრესცენტრმა.

მათი განცხადებით, საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალებზე მოსალოდნელია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვების რაოდენობის გაზრდა, რაც ვაგონცისტერნებით უზრუნველყოფას გაზრდის.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს მეილექსპრესმა და პრაიმ-ნიუსმა.**

## დედაქალაქი

# სად იწყება დღევანდელი ბაზარი?



არცთუ ადვილია გაერკვე, სად იწყება და სად მთავრდება დღევანდელი ბაზრები. სპეციალურად სავაჭროდ გამოყოფილი ტერიტორია, რომელსაც ხალხი ოდითგან ბაზარს უწოდებდა, დღეს „გარეთა ვაჭრობას“ რკალში მოუმწყვდევია. ბაზართან მიახლოება კი ბევრ მოქალაქეს

იხ. მე-2 გვ.

## უკანასკნელ საათს



პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გუშინ განაცხადა, რომ რუსეთი არ მოახდენს სტრატეგიული რაკეტების დემონტაჟს მანამ, სანამ არ დარწმუნდება, რომ აშშ ასრულებს ყველა ვალდებულებას.

აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა განაცხადა, რომ დამატებით 121 მილიონ დოლარს გამოჰყოფს ამერიკულ სკოლებში უსაფრთხოების ზომების გასაძლიერებლად.



## დღეს

**ამინდი**

დასავლეთ საქართველოში

დაბლობში: ღამით +4+9; დღისით +20+25.

მთაში: ღამით +2+7; დღისით +16+21.

აღმოსავლეთ საქართველოში

ბარში: ღამით +5+10; დღისით +19+24.

მთაში: ღამით +1+6; დღისით +15+20.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. ღამით +8+10; დღისით +12+24.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

## ფინანსები

**ლარის კურსი**

*15 აპრილიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:*

| | | |
|---|---|---|
| გერმანული მარკა | 1 | 0.9745 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.000 ლარი |
| ევრო | 1 | 1.9060 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0701 ლარი |

## ინტერპანორამა

მუა აზიაში ვიზიტად მყოფმა აშშ სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა მოლაპარაკებები გამართა ყაზახეთის პრეზიდენტთან ნურსულთან ნაზარბაევთან. ძირითადი თემა შარშან ყაზახეთის მიერ ჩრდილოეთ კორეისთვის 40 თვითმფრინავის МИГ-21 გადაცემა იყო.



ნაირობიში მიმდინარე გაეროს კონფერენციის მონაწილეებმა ხმათა უმრავლესობით უარი უთხრეს იაპონიას თხოვნაზე, შეზღუდულად გააგრძელოს რუხი ვეშაპების რეწვა.



ზიმბაბვეს სამოქალაქო ომის ვეტერანთა ლიდერმა ხუნზვიმ უარი თქვა, დაითანხმოს თავისი მომხრეები სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებაზე, დაუყოვნებლივ დატოვონ თეთრკანიანთა ფერმები, რომლებიც მათ მიიტაცეს.



## პოეზია

... ვაი რომ, მწიფდა ნიადაგ
ცოდვით დამტკბარი მტევანი!
— ვაი, რომ დამაგვიანდა
გულმკერდზე მჯიღის რტყმევანი...

**რეზო ამაშუკელის ლექსი**

**Via Dolorosa**



იხ. მე-3 გვ.

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

– ვარ რეპრესირებული, პენსიას ვიღებ თვეში 45 ლარის ოდენობით.

გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შეღავათები მეკუთვნის კომუნალური მომსახურების გადახდისას?

**მელიტონ გიორგობიანი.**

– გაცნობებთ, რომ 1999 წლის 31 დეკემბრიდან რეპრესირებული და შემდგომში რეაბილიტირებული პირებისათვის შემდეგი შეღავათებია გათვალისწინებული: – საცხოვრებელი ფართობის ქირისა და საყოფაცხოვრებო კომუნალური მომსახურების ფასდაკლება სახელმწიფოს ხარჯზე ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით, თუ ამ მომსახურებას სახელმწიფო ახორციელებს.

ელექტროენერგიის უფასო მოხმარება კი რეპრესირებული პირებისათვის განისაზღვრება თვეში 30 კვ. საათის ოდენობით, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას – 45 კვ. საათის ოდენობით.

აქვე განგიმარტავთ, რომ საბიუჯეტო ფართობის ქირის შეღავათები უწესდება მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფო ფონდის სახლებში.

**ირინე ლლონტი,**
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამმართველოს უფროსი.

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.**

რეზონანსი

# ედუარდ შევარდნაძე ყოველთვის გახსნილია ახალი იდეებისათვის

## დასავლეთის პრესა საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ

(პირველი გვერდიდან)

**ჰოლანდიური გაზეთი „დე პაროლ“** წერს: „ქართველ რეფორმატორთა რჩეული ჯგუფი შევარდნაძის დახმარებით თანდათან უფრო ძლიერდება. ამ ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი ამბობს: „შევარდნაძის მთავარი ღირსება არის ის, რომ იგი ყოველთვის გახსნილია ახალი იდეებისთვის. მან მოახერხა საკუთარი შეხედულებების რეფორმირება და ქვეყანაში ცვლილებების განხორციელების დაწყება. თანაც, პიროვნულად იგი აბსოლუტურად არაკორუმპირებულია, პირადი სიმდიდრე მას არ აინტერესებს, რაც დადებითად გამოარჩევს ზოგიერთი რეგიონული ლიდერისაგან“.

**გერმანული „ფრანკფურტერ ალგემაინესათვის“** მიცემულ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილი ამბობს: „კორუფცია რჩება ჩვენს უდიდეს პრობლემად. მხოლოდ შევარდნაძეს შეუძლია კონკრეტული წარმატებების მიღწევა მისი დაძლევის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი ოპტიმისტურად არის განწყობილი, — წერს გაზეთი, — ქართველთა უმრავლესობა პოლიტიკოსებისგან კარგს არაფერს ელოდება. „ეს ბუნებრივია, — ამბობს ამაზე ფრაქციის ლიდერი, — საკმაო დრო სჭირდება იმას, რომ თითოეულმა მოქალაქემ იგრძნოს ცხოვრების გაუმჯობესება. გარდა ამისა, კორუმპირებულმა მოღვაწეებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დატოვონ პოლიტიკური არენა“.

ავტორიტეტული **ინგლისური ჟურნალი „იქონომისტი“** მიიჩნევს, რომ შევარდნაძის გამარჯვება არის შანსი ახალგაზრდა რეფორმატორთათვის, რათა პრეზიდენტის მფარველობით განახორციელონ რეფორმები. ჟურნალს მოჰყავს მიხეილ სააკაშვილის სიტყვები: „შევარდნაძის გარეშე ყველა პირობა არსებობდა იმისათვის, რომ ჩვენ ვქცეულიყავით კორუმპირებულ აზიურ დიქტატურად“. ამავე დროს ჟურნალი ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ არჩევნებზე დაფიქსირებულ დარღვევებზე. მიხეილ სააკაშვილის აზრით, ამ დარღვევების მთავარი მიზეზი ზოგიერთი ადგილობრივი ხელმძღვანელობის თვითშემოქმედებაა: შევარდნაძე არჩევნებს ყველა შემთხვევაში დიდი უპირატესობით მოიგებდა.

უდიდესი **ჰოლანდიური გაზეთი „ალჰემეინ დანგბლადი“** წერს: შევარდნაძემ იხსნა ქვეყანა ქაოსისაგან და თანდათან გაათავისუფლა იგი რუსეთის გავლენისაგან. გაზეთი შევარდნაძის დიდ დამსახურებად თვლის იმას, რომ სწორედ მან გაუხსნა გზა ახალგაზრდა, განათლებულ, დემოკრატიულად ორიენტირებულ პოლიტიკოსებს, რომელთაც მან მემკვიდრეობით უნდა გადასცეს ქვეყანა. გაზეთი აქვეყნებს ინტერვიუს მიხეილ სააკაშვილთან, რომელშიც იგი ამბობს: „შევარდნაძემ გაუძლო ცდუნებას, რომელსაც მის ადგილზე ცოტა ვინმე თუ გაუძლებდა — დაემყარებინა დიქტატორული რეჟიმი. ნაცვლად ამისა მან აირჩია ბევრად უფრო რთული: კანონის უზენაესობის რეჟიმის დამყარების გზა. ამით იგი დადებითად გამოირჩევა მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში“.

საინტერესოა ისიც, რომ ყველაზე დიდტირაჟიანი **ჰოლანდიური ჟურნალი „ელზევირი“**. ამ კვირის ნომერში აქვეყნებს ვრცელ სტატიას — პოლიტიკურ პორტრეტს საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარესა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე.

**საკუთარი ინფორმაცია.**

გვეხმაურებიან

# ზოგიერთი შეცდომა, რომლებიც ზუსტი ინფორმაციის არქონის ბრალია

(პირველი გვერდიდან)

ისტორიული, კულტურული თუ გეოგრაფიული საერთო ნიშნების გათვალისწინებით, ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევს.

მიუხედავად სტატიის ავტორის მცდელობისა, დაეხატა ირანის ბოლო საპარლამენტო არჩევნებისა და მისი შედეგების ზუსტი სურათი, სამწუხაროდ, სტატიაში გვხვდება ზოგიერთი შეცდომა, რომლებიც, როგორც ჩანს, მოცემულ თემაზე ზუსტი ინფორმაციის არქონიდან გამომდინარეობს.

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, არჩევნებში მონაწილე კანდიდატების დამტკიცებისა და საარჩევნო პროცესზე მეთვალყურეობის უფლება ზედამხედველთა საბჭოს პრეროგატივაა და ქვეყნის სამხედრო ძალების, მათ შორის, „რევოლუციის მცველ გუშაგთა კორპუსის“ მოვალეობას არ წარმოადგენს კანდიდატთა უფლებამოსილების დამტკიცება; უფრო მეტიც, კონსტიტუციის თანახმად, მათ ამ საქმეებში ჩარევის უფლებაც კი არა აქვთ...

სტატიის ავტორის თვალსაზრისი, თითქოსდა, საინფორმაციო საშუალებების საქმიანობას მეთვალყურეობას უწევს ქვეყნის ლიდერი, სინამდვილეს არ შეესაბამება და ამის დასტური გახლავთ ირანში გამომავალი ჟურნალ-გაზეთებისა და გამოცემების სიმრავლე, რომლებიც ასახავს სხვადასხვა თვალსაზრისს, მათ შორის, მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილ შეხედულებებს.

სამი კუნძული — აბუ მუსა, დიდი თანაბი და პატარა თანაბი ირანის ტერიტორიის ნაწილად ითვლება და, ბუნებრივია, იმის აღნიშვნა, რომ ირან-არაბეთის ურთიერთობათა საბოლოო მოწესრიგება ამ კუნძულთა საკითხზე გახლავთ დამოკიდებული, სინამდვილის სწორ აღქმას არ წარმოადგენს.

ყოველივე ის, რაც თქვენს საგაზეთო სტატიაში არჩევნების პერიოდში ირანის სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების ურთიერთკონკურენციის შესახებაა ნათქვამი, ნათლად ადასტურებს ირანში დემოკრატიულ ატმოსფეროს და იმას, რომ არჩევნებში მონაწილე კანდიდატები, პარტიები თუ პოლიტიკური გაერთიანებები მაქსიმალური პიროვნული და საზოგადოებრივი თავისუფლებით სარგებლობდნენ. 1979 წელს ირანის ისლამური რესპუბლიკის შექმნიდან დღემდე ირანში ჩატარებული ოცდაერთ არჩევნებსა და, განსაკუთრებით, 1997 წელს გამართულ უკანასკნელი საპრეზიდენტო არჩევნებზე ზერელე თვალის გადავლება და მათი შედარება რეგიონის სხვა ქვეყნებში გამართულ არჩევნებთან, რომელთა შედეგებიც, ჩვეულებრივ, წინასწარ არის ხოლმე განსაზღვრული, გვარწმუნებს, რომ ირანში ხალხის აზრის გათვალისწინება ძალიან სერიოზულად ხდება და მისი შედეგები ბოლო წუთებამდეც კი ცნობილი არაა. ეს კი თავისთავად ადასტურებს ირანის ხალხისა და ხელმძღვანელობის მონდომებას ქვეყნის პოლიტიკური განვითარებისათვის. ბუნებრივია, პოლიტიკური განვითარების პროცესები არც ერთ საზოგადოებაში არ წარმართულა უპრობლემოდ და წინააღმდეგობათა გარეშე.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებისადმი გამოჩენილი ყურადღების გამო და თქვენ და თქვენს თანამშრომლებს წარმატებებს გისურვებთ თქვენი ჟურნალისტური მისიის, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც გახლავთ მეზობელი ხალხების ურთიერთგაცნობა, ღირსეულად აღსრულებაში. მადლიერნი დაგრჩებით, თუკი თქვენი მკითხველის ინფორმირებისათვის ჩვენს ამ შენიშვნებს გამოაქვეყნებთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

**ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს პრესის განყოფილება.**

ოპოზიცია

### ნათელაშვილი შეტევისკენ მოუწოდებს

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა მეილექსპრესთან საუბრისას აღნიშნა, რომ მემარცხენეობა-მემარჯვენეობის დრო ნამდვილად აღარ არის. ოპოზიციამ არსებულ ხელისუფლებას ერთად უნდა შეუტიოს, რადგან რაც შეიძლება მალე გაემგზავრონ საკუთარ სახლებში. ნათელაშვილს აღელვებს, რომ აკაკი ასათიანმა საკუთარი ახალი გაერთიანების შექმნა მემარჯვენეობის კუთხით დაიწყო. „მემარჯვენეებმა ათი წელია ვერ მოახერხეს კონსოლიდაცია და თავად ასათიანის მიერ რამდენჯერმე წამოწყებული ვარიანტიც კრახით დასრულდა. ახლა ერთიანი კონსოლიდაციის დაწყება, ამ ეტაპზე, მთლიანად მოქალაქეთა კავშირის ინტერესებში ზის, რათა ოპოზიციის გაერთიანება მის წინააღმდეგ ისევ არ დაუშვას“, — აღნიშნა ნათელაშვილმა.

### გამწვავდება სიტუაცია ჩეჩნეთის საზღვრის მონაკვეთზე?

ჩეჩენი ბოევიკები კვლავ გადმოდიან საქართველოში შემოვლითი გზებით დაღესტნიდან, განაცხადა გუშინ პრესკონფერენციაზე საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა.

კიტოვანის მტკიცებით, მას გააჩნია ინფორმაცია, რომ პანკისის ხეობაში მყოფი ბოევიკები რამდენჯერმე შეეცადნენ გაერღვიათ საზღვარი ჩეჩნეთში გადასასვლელად, მაგრამ ყველა ეს მცდელობა რუსეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა აღკვეთეს. ერთ შემთხვევაში კი ჩეჩენ ბოევიკებს ცეცხლი ქართველმა მესაზღვრეებმაც გაუხსნეს.

კიტოვანის აზრით, თოვლის დადნობასთან ერთად, რაც ორ-სამ კვირაში მოხდება, სიტუაცია რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე შესაძლოა უკიდურესად გამწვავდეს.

### „სოციალისტური“ გამოფენა სიყვარულის დღეს

დედაქალაქის ბიზნეს-ცენტრში სამხატვრო აკადემიის სტუდენტების გამოფენა გაიმართა, რომლის იდეა ახალგაზრდა „სოციალისტებს“ ეკუთვნით.

ახალგაზრდა „სოციალისტების“ ლიდერის ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, სოციალისტური პარტია საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მხატვრობას. რადგან ეს დარგი ყველაზე უკეთ ასახავს ახალგაზრდულ განწყობას, ყველა სფეროზე უკეთ გამოხატავს გრძნობებს და ემოციებს.

„გამოფენა სიყვარულის დღეს დავამთხვიეთ და სასურველი იქნება თუ ამ დღეს ახალგაზრდობის დღეც ეწოდება,“— განუცხადა მეილექსპრესს ზაქარია ქუცნაშვილმა.

### ვახტანგ რჩეულიშვილს მხატვრობა ნამეტნავად ნაყვარება

დედაქალაქის ბიზნეს-ცენტრმა გუშინ სამხატვრო აკადემიის სტუდენტების გამოფენას უმასპინძლა. გამოფენის გახსნას სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ვახტანგ რჩეულიშვილი დაესწრო.

მან საზოგადოებას სიყვარულის დღე მიულოცა. სოციალისტები უკვე მესამე წელია, რაც ახალგაზრდობას მასპინძლობენ და ეს უკვე ტრადიციად იქცა. რჩეულიშვილის აზრით დღესდღეობით ქვეყანაში მხატვრობას ნაკლები ყურადღება ეთმობა, მაგრამ ეს დარგი პოზიციებს არ თმობს და საკუთარ აზრს მაინც თამამად აფიქსირებს. „ჩვენმა მეცნიერებამ და სხვა პოპულარულმა დარგებმა საკუთარი სკოლა დაკარგეს, დღეს კი საკუთარი ფესვების და შიმდინარეობის შენარჩუნება მხოლოდ მხატვრობამ მოახერხა. ამიტომ ყოველი წლის 15 აპრილს სოციალისტები ქართველ მხატვრებს ვუმასპინძლებთ,“ — დასძინა რჩეულიშვილმა.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: მეილექსპრესმა და პრაიმ-ნიუსმა.**

სიტუაცია

### გამარჯვებულს —ცული

მწვანეთა ორგანიზაციის და „დედამიწის მეგობრების“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად „საუკეთესო ტყის მჭრელის“ ვინაობა უკვე გამოირკვა, — განუცხადა მეილექსპრესს „მწვანეების“ ლიდერმა გია გაჩეჩილაძემ.

მისი თქმით საუკეთესო ტყის მჭრელების კანდიდატთა რაოდენობა საკმაოდ სოლიდურია, მაგრამ გაჩეჩილაძე მათი დასახელებისაგან თავს იკავებს და ჟურნალისტებს 22 აპრილისათვის სიურპრიზს ჰპირდება. მისი ინფორმაციით პრიზიორთა სავარაუდო სიაში სამი გუბერნატორი, მინისტრი, რამდენიმე დეპარტამენტის თავმჯდომარე, ოთხი რაიონის გამგებელი და რამდენიმე პარლამენტარია. საუკეთესო ტყის მჭრელის შერჩევა, მათ მიერ გაჩეხილი ტყის რეიტინგული მონაცემების შედარების შემდეგ მოხდება. გამარჯვებულს კი სიმბოლურად ტყის საჭრელი ცული გადაეცემა.

**პრაიმ-ნიუსი.**

წუთშესვენება

# პარლამენტსგარეშე შეკითხვებს უპასუხებს მიხეილ ოსაძე

**— ვინ გინდოდათ ბავშვობაში გამხდარიყავით და „დიდობაში“ ვინ გამოხვედით?**

— ბავშვობის ოცნებები ასაკის მიხედვით მეცვლებოდა — ჯერ მფრინავობა მინდოდა, მერე მიწაზე დავეშვი და ელმავლის მემანქანეობაზე დავიწყე ფიქრი. ბოლოს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დავამთავრე, ერთი წელი საპროექტო ინსტიტუტში ვიმუშავე და... მერე თითქმის მეოთხედი საუკუნე სამართალდამცავ ორგანოებში გავატარე.

**— რას მიიჩნევდით თქვენს ცხოვრებაში ყველაზე დიდ ბედის ბედნიერებად?**

— იმას, რომ, როგორც ლევ ტოლსტოი ბრძანებდა, ბედნიერი ვარ ჩემს ოჯახში. იმასაც, რომ ათასწლეულთა მიჯნაზე ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესების მოწმე და მონაწილე ვარ.

**— ყველაზე დასამახსოვრებელ იმედგაცრუებად?**

— ეტყობა, ეგ ჯერ წინ მაქვს...

**— საკუთარი ნაკლოვანებებიდან და ღირსებებიდან რომლებს აღნიშნავდით?**

— ნამდვილად ვერ ვიტყვი, ჩემი ნაკლი ისაა, რომ უნაკლო ვარ-მეთქი... ღირსებებს რაც შეეხება, — ეს სხვების განსასჯელია.

**— როგორი დამოკიდებულება გქონდათ სპორტთან ადრე, სიჭაბუკეში და როგორი გაქვთ ახლა?**

— გატაცებული ვიყავი ფეხბურთითა და ჭადრაკით. ამჟამად ზოგჯერ გამოვნახავ ხოლმე დროს აუზში საცურაოდ და თუ პარტნიორი გამოჩნდება, არც ჭადრაკზე ვამბობ უარს.

**— წინა მოწვევისას ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი ბრძანდებოდით. რითი დაამახსოვრეთ თავი ამომრჩევლებს?**

— ყალბი თავმდაბლობის გარეშე შემიძლია განვაცხადო: კვლავ მაჟორიტარად რომ მეყარა კენჭი, რაიონის მოსახლეობის მხარდაჭერა არ მომაკლდებოდა, ეს ყველასათვის იყო ცნობილი არჩევნების დაწყებამდეც...

**— სულიერ სფეროში თქვენს მოთხოვნილებებზეც მოგვახსენეთ რამდენიმე სიტყვა.**

— მიყვარს კლასიკური მუსიკა, რუსული რომანსები და ქართული ესტრადა. ძილის წინ, როგორც წესი, ვკითხულობ, ძირითადად — ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოებებს. წელანაც გითხარით — ჭადრაკის თამაში განსაკუთრებით მიტაცებს. ჩემდა საწყენად, ამის შესაძლებლობა იშვიათად მეძლევა.

**— სამი ლიტერატურული სახე რომ ავიღოთ — ნაცარქექია, კვაჭი კვაჭანტირაძე, ყვარყვარე თუთაბერი, — თქვენი აზრით, რომელს უფრო „იფერებს“ ქართული ხასიათი?**

— საქართველოში სამივე მოდელი ყოველთვის იყო „მოდებული“. ეგ კი არა, ვფიქრობ, ზოგადსაკაცობრიოცაა. სხვათა შორის, ნაცარქექიების, კვაჭების, ყვარყვარეების ნაკლებობა დღეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებშიც არ იგრძნობა...

**— დათა თუთაშხია თუ გეგულებათ თანამედროვე საქართველოში?**

— მეეჭვება, ასეთი კაცი რომ იყოს სადმე.

**— თქვენს დამოკიდებულებას ხომ არ გამოხატავდით მშვენიერი და სუსტი სქესის წარმომადგენლებისადმი...**

— ყოველი ძლიერი მამაკაცის უკან, როგორც წესი, სუსტი ქალი დგას... სავსებით ვიზიარებ ნორვეგიელი მწერლის გარბორგის შეხედულებას: „ქალში იმალება საოცრად დიდი საიდუმლო, დიდი ცხოვრებისეული გამოცანა, ყველა სიხარულისა და ყველა საზრუნავის წყარო“...

**— ვინ უნდა იყოს ოჯახის უფროსი შინ — დემოკრატი თუ დესპოტი?**

— მხოლოდ დემოკრატი.

**— „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველი ხართ? თუ ხართ, სად ყიდულობთ?**

— თქვენს გაზეთს სისტემატურად ვკითხულობ. ვყიდულობ სახლიდან პარლამენტამდე გზის რომელიმე შემხვედრ ჯიხურში.

**— ბატონო მიხეილ, საპრეზიდენტო არჩევნები ჩათავდა. ხომ არ გაგვაცნობთ თქვენს შთაბეჭდილებას?**



— ვეთანხმები იმ აზრს, რომ ამ ქვეყნიერებაზე უალტერნატივო მხოლოდ ღმერთია. ამასთან, ვფიქრობ, და ეს ჩემთან ერთად ბევრს ესმის, რომ ბატონი ედუარდ შევარდნაძე მდიდარი პოლიტიკური გამოცდილებით, სახელმწიფოებრივი გამჭრიახობით, სიბრძნით, მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე დიდი დამსახურებით საგრძნობლად მაღლა დგას ქვეყნის სხვა პოლიტიკოსებზე. ეს აისახა კიდეც არჩევნების შედეგებში.

ესაუბრა
**თამაზ ეგანოიძე.**

დედაქალაქი

(პირველი გვერდიდან)

ცუდ გაწყობილებას უქმნის, რადგან აქ ყველაფერი ძვირად ფასობს და ხალხიც ბაზრის მიმდებარე ტერიტორიას უფრო ეტანება, ვიდრე თვით ბაზარს. იყიდება ყველაფერი, რაც კი შეიძლება გაიყიდოს.

აქ ყველაფერი ერთმანეთშია არეული: ხილი, ბოსტნეული, ლობიო, კარტოფილი, კომბოსტო, ჭრელა-ჭრულა კამფეტები, ნაირფეროვანი სანოვაგე, ნამცხვრები, ნაჭრებად ქცეული ქათმის ნაწილები, მრავალსახეობის გაყინული, დამარილებული თუ ნედლი თევზი და ა. შ. ყოველივე ეს ერთმანეთის მიჯრით აწყვია და ისე იყიდება, თითქოს სანიტარიული წესების დაცვა სულაც არ იყოს საჭირო. გამყიდველები შუა ქუჩაში სხედან და ვაჭრობენ (თუ ამას შეიძლება ქუჩა ეწოდოს). ფეხით გადაცვეთილ კარგა ხნის დაზიანებულ ასფალტსა და მიწას ზოგან ღრმულები გასჩენია. ღრმულებში კი მემწვანილეთა ვედროებიდან მწვანილებზე დამხეფებული წყლის წვეთები და გალღობილი თევზიდან თუ ქათმის ნაჭრებიდან წურწურით ჩამონადენი წყალი ჩაგუბებულა, და თუ ამას წვიმიანი ამინდიც დაერთო, მაშინ მყიდველსა და გამყიდველს დაჭაობებულ გუბეებში უწევთ „სეირნობა“.

რამდენჯერ სცადეს ხალხისაგან გადაჭედილი ამ ადგილების გათავისუფლება, მაგრამ მდგომარეობა უცვლელია, დღევანდელი ბაზრების პრობლემა კი ჯერჯერობით „გადაუჭრელ“ პრობლემად რჩება: მდარე ხარისხის საქონელი, შიგადაშიგ ფალსიფიცირებული პროდუქტები, მოტყუებული და დაზარალებული მომხმარებელი და მათი დაუსრულებელი საყვედურები...

ენახოთ, ვინ დგას დახლთან, და ვის ხელშია შემოტანილი პროდუქტი. მაგალითად თუნდაც წინამძღვრიშვილის, თეძლორე მღვდლის ქუჩა და რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიებიც გამოდგებოდა.

როგორც იქნა, ბაზრის შესასვლელს მივუახლოვდი.

— აქეთ მობრძანდით, გეთაყვა, იმერული ყველი იგემეთ, სუფთა რძის ყველია... ნახეთ, გასინჯეთ, აგი ჩვილია, ა მარილნაკრავიც, ხაჭოც და ნადუღიც. აქეთ მობრძანდით... — გამვლელ-გამომვლელს თავისკენ იხმობდა ახალგაზრდა ქალი...

— რა ღირს თქვენი ყველი?



სადაური ბრძანდებით?

— სამი ლარი, ჩემი და ჩემი დედამთილისაა... ზესტაფონიდან ვარ, ბატონო, ჩიხრაძის ოჯახობა...

— ბაზარში, შიგნით, რძის პროდუქტებისთვის სპეციალური ადგილია შერჩეული, იქ რატომ არ დგახართ?

— რას ბრძანებთ, ადგილის ყიდვის თავი დღეს ვისა აქვს?! აქ ხალხი გადი-გამოდის. ფული და დრო დაეზოგო არ მირჩევნია? რაღაც სამი საათი უნდა ვიდგე. საღამოს კი ამის მყიდველიც გამოჩნდება, ხელს გავითავისუფლებ და ჩემს გზას დავადგები...

— პრესის ან ტელევიზიის მუშაკი იქნებით, ალბათ,... დაწერთ, რასაც გეტყვით? — საუბარში შუახნის მამაკაცი ჩაგვერია და განაგრძო, — ასე დაწვრილებით რომ ეკითხებით. დაწერთ სიმართლეს? ჰო, ძამა, შენ გგონია ამ ხნის კაცს აქ დგომა მეხალისება?... რადიოქარხანაში ვმუშაობდი, დღეს არც ქარხანა გვაქვს და აღარც პენსია, ჭირს ბატონო, ნამეტანი ჭირს ცხოვრება. ქვეყნის დანგრევა ადვილია თურმე, მარა, ხომ დავინახეთ რავა ჭირს აშენება. რა არ გამოვიარეთ, დაგვეწვა პატიოსან ხალხს კისერზე ცხოვრება. ასე დაგლახავებული ვდგავარ აქანა და, თუ არ იშალიჩებ, არაფერი გამოვა, კაია შიგნით ბაზარში მყუდროდ დგომა, მარა იქ სასწორია საყიდელი, ადგილი და ათასი კიდევ სხვა რამ, კი იცი, ახლა მაგი შენ არ გესწავლება ჩემგან... ეჰ, ჩაიქნია ხელი, წამოდგა და ხალხით გადაჭედილ ადგილზე მიმითითა — აგია ცხოვრება?.. და-ვი-და-ლეთ...

— მე კი, შენი ჭირიმე, საჩხერიდან ვარ. ჭიათურის მაღაროში ვმუშაობდი, მიხეილი ვარ კაპანაძე. 90 წლიდან მარტო სამი თვის პენსია მივიღე. ახლაც რაღაცას გვპირდებიან, ენახოთ, ვითმენთ. მარტო სიმინდით და ლობიოთი თავს ვერ გავიტან. ამიტომ ვირჩიეთ ეს გზა. პირველ საათზე ღამით სოფლიდან ჩამოსულ ავტობუსს ვხვდებით. პროდუქტებს ვყიდულობთ და ვყიდით. არჩევნებმა მშვიდობით ჩაიარა. იმედი მოგვეცა... ამას გავყიდი და სახლ-კარს მივხედავ...

— შენ ლობიო და ღომი მაინც გაქვს, შე კაცო. მე კი ეგეც საყიდელი მაქვს. ოჯახისა და ბავშვების დარდმა გამათავა ძმაო, სოფელი რო მქონდეს, რაღაცას მაინც მოვიწევდი. აქ, თბილისში ყიდვა-გაყიდვის მეტს ვერაფერს ვახერხებ. ჩემი გვარი მღებრიშვილია, გოგიტა. ღმერთმა იმედი ნუ მოგვიშალოს. ამ ბოლო დროს ბევრი რამ გაკეთდა და ცოტა გულიც მოგვეცა. ამბობენ, პენსია მოიმატებსო. ეს რომ გამართლდეს და აქ დგომას თავი დავაღწიო, რაღა მიშავს... ენახოთ, ამ არჩევნებით იმედი მოგვეცა. ვიცით, ჩვენი პრეზიდენტი ამ მდგომარეობიდან გამოგვიყვანს.

— იცი, რას გეტყვი? როცა იმუშავებ, კარგი მოსავალიც იქნება, ფულიც იქნება და პურიც. შენ მუშაობა არ გინდა, მთავრობამ რა ქნას? იყიდე, გაყიდე, რატომ? — თქვა და თავისკენ მიხმო მწვანილის გამყიდველმა თათრის ქალმა სეიდა სადიკოვამ.

— აი, რა კარგი მწვანილი მაქ, ქალოჯან, ნახე, ნახე... ჩემია. ქმარი, ბავშვები, ყველა დილიდან მინდორში ვართ, ვმუშაობთ, შენი უნდა გაყიდო, შენი. იმუშავებ — გექნება... აბა, მაშ, ეს რა არი, იყიდო, გაყიდო... მერე და მერე კარგი ცხოვრება მოვა. ხალხიც კარგა იქნება, გარდაბანში, გაჩიანში ნახე როგორი დამუშავებული ბაღ-ბოსტანი მაქს, ნახე, გაგეხარდება...

ბაზრის შესასვლელ კიბეებზე გლეხის ხელით მოწნული ლამაზი კალათები, სხვადასხვა ზომის ხახლები, ხელძღები, სამზარეულოსთვის საჭირო მოჩუქურთმებული საგნები ერთმანეთის გვერდით ჩაემწკრივებინათ, მაგრამ ამ ყველაფრის „პატრონები“ სამტრედიელნი და საჩხერელნი გამოდგნენ. ნაწარმი კი აქვე ბაზარში სახელდახელოდ შეეძინათ — ვიფიქრეთ, ფულს ხელს შევავლებთო, მარა, აგერ ორი დღეა ვდგავართ და არ იქნა მყიდველის გამოჩენა. იძულებულნი ვართ, ნაყიდი ვილაცას მივყიდოთ, რომ სოფელს დროზე მივხედოთ, — მითხრეს მათ.

ვანის რაიონიდან ჩამოსული ოთარ მახარაძე ბაზარში დახლზე სუფთად და ლამაზად დაწყობილ სხვადასხვა ჯიშის ვაშლს თავს დასტრიალებდა.

— რა ღირს შენი ვაშლი?

— თუ მყიდველი ხარ, მოვრიგდებით...

— ეგ, როგორი პასუხია?..

— აბა, რა გითხრა, ჩემიც მყოფნის, დავიღალე, მოდიან, მეკითხებიან და მიდიან.

33 წლის კაცი რომ ასე უსაქმოდ იდგები მთელი დღეები ბაზარში, აბა რა დაგემართება. დღედაღამ იმაზე ვფიქრობ, სხვისაგან შესყიდული ვაშლით ორიოდ გროში მოვაგროვო, რო ოჯახს რაღაც მივაწვდინო და რაღაზეა ლაპარაკი.

— არ მუშაობთ?

— ვმუშაობო, სად, სად არის სამუშაო. იურიდიული დავამთავრე, მაგრამ ჯერჯერობით უმუშევარი ვარ.

— ასე აგრძელებთ ცხოვრებას?

— რას ბრძანებთ, ეს დროებითია, ქვეყანა ნელ-ნელა მძიმე მდგომარეობიდან გამოდის, წელში იმართება. თითქმის გამოცოცხლდა და მეც იმედი გამიჩნდა. ცხოვრებაში აწი მაინც ჩემს გზას ვიპოვენი. როცა ხელმძღვანელობა მშვიდად არის, ჩვენც დამშვიდებულნი ვართ. ვიცით, რომ მტკივნეული საკითხები მშვიდობიანად გადაწყდება და ჩვენც გზას გავიკვლევთ ალბათ.

— ვამლოვანი გაგიგიათ? თეთრი წყაროდან ვარ. იცი, ჩვენთან რა ნოყიერი მიწებია? თესლი უკულმა რო გადააგდო, ნათქვამია წალმა ამოვაო, მაგრამ რა ვქნათ... ყური მოვკარი ოთარს რო ელაპარაკებოდით და თქვენკენ გამოვწიე, კარგი ყმაწვილია, პატიოსანი, მშობლებისა და ოჯახის მოყვარული. აქ ტყუილა ცდება... ფულია საჭირო და რა ქნას... იმას ვამბობდი, ნოყიერი მიწები გვაქვს, მაგრამ რით დავამუშაოთ. პენსიას ჩვენ არ გვაძლევენ, პურის ფული ჩვენ არა გვაქვს და საწვავსაც რაღათი ვიყიდით, რო მიწა დავამუშაოთ. ცოტა ფული რო გაჩნდეს, სახლ-კარს მივხედავთ და ბაღვენახსაცა, მე ნინა ახელედიანი ვარ, ერთ დროს რაიონში დეპუტატი, ფერმის მოწინავე მწველავი ვიყავი, დღეს აღარც ფერმაა, მეც აღარაფერი ვარ. ეს კი ჩემი დაა, ელიზავეტა მინასაშვილი. ზაზა კახიანის სახელობის სავადმყოფოში მუშაობდა. ათი დღეა ასკილს ვყიდით, მაგრამ მყიდველი არა ჩანს. უპენსიობამ, უფულობამ დაგვაძაბუნა. რაღაცას იაფად ვიშოვნით და მერე ვყიდით, ასე მივაქვს თავი...



შორი-ახლოს შავებით მოსილი ქალი იდგა და ყურს გვიგდებდა.

— თქვენ რას იტყვით, ქალბატონო, თქვენია ეს ვაშლი?

— არაფერს, რა უნდა ვთქვა. ბაზარში დღევანდელი ცხოვრება ყველაზე მეტად ჩანს. ხალხს უჭირს. ეს ვაშლი კი ჩემია. მეჯვრისხევიდან ვარ. ოჯახი ითხოვს, 12 სული ვართ. ოთხ ობოლს ვზრდი. გვარს ნუ მკითხავთ. ხილის ბაღი მაქვს. ყველა ვმუშაობთ. მიწა გვარჩენს, მისი ღალატი განა შეიძლება? მარა, სოფელში ცხოვრება ჭირს. აღარც ექიმი, აღარც შუქი. მთელი ზამთარი უშუქობამ დაგვტანჯა. ახლა შედარებით გვაქვს შუქი და იმედიც მოგვეცა... სულ ასე ხომ არ ვიქნებით? არჩევნებმა იმედი მოგვცა. ხალხს იმედი რო არ ჰქონდეს, ამდენსაც ვერ გაუძლებდა...

ბაზარში საკუთარ პროდუქტებს ყიდდენ ჭიღლაძეები, ყულუმბეგოვები — ატენიდან, ჩადუნელები — ვარიანიდან, ჯანიაშვილები — სიღნაღიდან, გია მესტვირიშვილი — ფლავისმანიდან, მუმლაძე მურადი — გურჯაანიდან და ა. შ. მინაგორა კაკაურიძემ ასე გვითხრა: — გავიგე, საწვავი შემოუტანიათ, მაგრამ ეგ საწვავი, ალბათ, თავისთვისაც არ ეყოფათ და ჩვენთვის აბა რას გაიმეტებენო.

— დიდი ხანია სოფელში არ ყოფილხართ?

— კარგა ხანია — ცოტაც და წავალ. აქ ხეირი ვერა ვნახე. იქაურობას მაინც მივხედავ, — თქვა და იქვე დახლთან მდგარ მყიდველს მიუბრუნდა. ჩვენ კი გზა გავაგრძელეთ.

„შიდა ვაჭრობა“ ბევრად მოწესრიგებული იყო, ვიდრე „გარე ვაჭრობა“. შედარებით აქ ვაჭრობის წესებიცა და სანიტარიული წესებიც დაცული იყო. ერთი შეხედვით ყველას საკუთარი კუთხე ჰქონდა მიჩენილი, თუმცა, დახლების სიხალვათეც თვალში საგრძნობი იყო. ამის თაობაზე კი ერთმა მოქალაქემ ასე მითხრა, — აქ, შენი ჭირიმე, გამყიდველი უფრო ბევრია, ვიდრე მყიდველი. თითო-ოროლა მოქალაქე თუ შემოვივლით ხოლმე აუცილებელი პროდუქტების მესაძენად, დანარჩენს გარეთ ვიძენთ; ვიცით, განა არ ვიცით, პროდუქტები ხარისხით რო ძალზე განსხვავდება, მაგრამ სამაგიეროდ შედარებით იაფად ვყიდულობთ.

როდესაც „გარეთა“ ბაზარს ვათვალიერებდით, ბევრი მოქალაქე შეკითხვებს თავს არიდებდა, ზოგმა კი ასე გვიპასუხა — შევეჩვიეთ და ვეღარ ვგრძნობთ, თუ რა ყოფაში ვართ.

— აქ დგომა რომ აკრძალონ, რაღა გვეშველება. ეს არ მოხდება. სამუშაო რო გამოჩნდეს, რაიმე შემოსავალი გვქონდეს, მაშინ აქ რაღა მინდა? ყველაფერი გაქრა-განიავდა... მე და ჩემი ქმარი ქარხანაში ვმუშაობდით, ახლა არც ქარხანაა და ჩვენც ესა ვნახეთ გამოსავალი — ასე გვითხრა 36 წლის ქალმა, რომელიც კარტოფილს, კომბოსტოსა და მდარე ხარისხის ვაშლს ყიდდა.

დღეს ხალხი ძირითადად პროდუქტების ყიდვა-გაყიდვით არის დაკავებული. ბაზრის მიმდებარე ტერიტორია მათ ნელ-ნელა თითქმის მთლიანად „დაიმორჩილეს“ და დღეს არსებული მდგომარეობის გამო ამ ტერიტორიებიდან მათი გაყვანა ჭირს და ჩვენს ცნობიერებაშიც გაჩნდა სიტყვები: „შიდა ვაჭრობა“, „გარე ვაჭრობა“, რომელმაც ადრეულ წლებში ნახმარი სიტყვები „დახლქვეშ ვაჭრობა“ „ჩუმად ვაჭრობა“ შეცვალა. დღეს კი, როცა ყველაფერი თვალხილულია, ჩვენ დავივიწყეთ, რომ „გარე ვაჭრობა“ კანონგარეშე ვაჭრობაა, რომლის კონტროლი ყოველთვის გაჭირდება. სხვისი საქონლის ყიდვა-გაყიდვა კი ჩარჩობაა. ჩარჩობა თურქული სიტყვაა, რაც გადამყიდველს, ქორვაჭარს, სპეკულიანტს ნიშნავს.

და ბოლოს, ვიცით, რომ სულ მალე ეს ყოველივე მხოლოდ მწარე მოგონებად დაგვრჩება. ერთი მოქალაქის თქმისა არ იყოს, ბაზარი დღევანდელი ცხოვრების ანარეკლია და, რაც უფრო მალე მოვლება ბოლო ქვეყანაში შექმნილ ამჟამინდელ სიტუაციას, მით უფრო სასურველი იქნება.

**ცისანა სიხარულიძე.**

# სად იწყება დღევანდელი ბაზარი?

პოეზია

## რეზო ამაშუკელი

# Via Dolorosa

„ღამით მაძღრები დაწვებით...“
ვაჟა.

... მივყვები უხმოდ
ამ ვიწრო ქუჩას,
აქეთ და იქით
ახორხლილა ჭრელი დახლები,
ვერცხლის სურებით,
ფარდაგებით,
კრიალოსნებით...
ირგვლივ ტრიალებს
მოხალული ყავის სურნელი...
— „ხალას“:
არაბი კვლავ მთავაზობს
ჯვრებსა და ხატებს,
რადგანაც მიცნო, მიმამგვანა,
ვარ ქრისტიანი!
— ვარ კი ნამდვილად?!
მე ნათრევი ავაზაკებში,
ამ ქვეყნით ტკბობას
დამალებულ-დახარბებული,
სტომაქის მონა ფეხმორთხმული
და კუზიანი?!
— გვიანღა არის, მეგობარო,
აწი თვითგვემა,
მოახლოებულ სიკვდილის შიშით!..
— **Via Dolorosa!**
მე არა ერთხელ
გამივლია ამ ვიწრო ქუჩით.
ახლაც აქა ვარ
და ჩემს თავს ვტირი.
— რა მოკლე გზაა გოლგოთამდე,
რა მოკლე გზაა!
— ვის არ უვლია ამ ქვაფენილით,
რომ ჰატიების შვება ეგრძნო,
ჩამოეხსნა ცოდვის ხურჯინი!
ან რა შეიგნო,
რა გაიგო ადამის მოდგმამ?
— პირიქით,
უფრო გამხეცდა და
უფრო გაავდა!
ტაბუდადებულ სკივრებიდან
ამოყარა, გაამზეურა,
ამაზრზენი, მღვრიე სიზმრები...
... და მეჩვენება:
მეც იმ ბრბოს მივდევ,
ვინც წყევლა-კრულვით,
ქვების სროლით სდია მაცხოვარს,
სანამ არ გამდა ცოდვის ხილვით,
ჯვარცმის ყურებით!..
— ო, რაბი, რაბი!
ბარაბაა ყველა ჩვენგანი,
ჩაჩერებული
პირდაღებულ საფლავის მიწას!..
— **Via Dolorosa!**
... ამ ვიწრო ქუჩით
გოლგოთამდე ისე მივიდა,
საყვედურიც არ დასცდენია!
მხოლოდ ჯვარზე,
ჯვარზე გაკრულს აღმოხდა მწარედ:
— „ელი, ელი, ლამა საბაქთანი“!
ეს იყო და ეს...
... და დაჰკიდა ეკლიანი გვირგვინით თავი...
— ვის,
ვის დასცდება
ვინ იტყვის, რომ მოინანია?
სხვის დასანახად მორწმუნენო,
ქრისტიანენო!
უფალს მაშინ თუ გაიხსენებთ,
როდესაც გიჭირთ,
მუხლზე დადგებით პირჯვრის წერად:
— „ღმერთო მიშველე,
მიშველე და დამიფარეო“!
ხოლო როდესაც
მიუსხდებით შემწვარ ერკემალს,
ან მუმუს ლოშნით
ნაღვინევ და დორბლიან ბაგით,
— სად არის ღმერთი?
რად არ გახსოვთ მაშინ უფალი?!
მეც თქვენნაირი ღორი ვარ და მიტომაც ვტირი,
ჩემს თავს ვტირი, ჩემს თავს ვტირი,
მარად მშიშარი!..
მე, მვლების გროვა,
ნაცოდვილარ ხორცით ასხმული...
— ტყუილია,
ტყუილია ის სათნოება,
და ეს სიმართლეც ტყუილია,
თქვენ რომ მთავაზობთ!
ნაღდი,
გულწრფელი, თეოა მხოლოდ,
— საწყალი თეო!
ტრიალ მინდორში ხეზე ასული,
რომ გაჰქმუის მთელ სამყაროს:
— „ქალი მინდა,
ქალი მინდაო!“
— **Via Dolorosa!**
... მე ვერ ვივარგებ,
ვერ ვივარგებ აღსარებისთვის.
გვიანღა არის აწ თვითგვემა.
მოახლოვებულ სიკვდილის შიშით...

**P. S.**
არ დაგნაშვიათ ღაწვები
მოყვასის მონატრებითა.
— „ღამით მაძღრები დაწვებით,
დილით მშივრები დგებითა“!
ცრემლებში ამონაწები
ცოდვა გდევთ დაბადებიდან...
— „ღამით მაძღრები დაწვებით,
დილით მშივრები დგებითა“!
არც შუბლზე ზეთის წაცხებით
არ ისარჯებით ბეჯითად,
— „ღამით მაძღრები დაწვებით,
დილით მშივრები დგებითა“!
მხოლოდ მაშინ ხართ მაგრები,
თუ იმყოფებით კრებითად...
— „ღამით მაძღრები დაწვებით,
დილით მშივრები დგებითა“!
მუნ სხვისი სევდით დათვრებით
და არა გახარებითა,
„ღამით მაძღრები დაწვებით,
დილით მშივრები დგებითა“!
მეც ღვთის გლახა და საწყალი,
ავაზაკებში ნავდები,
ღამით დავწვები მაძღარი,
დილით მშიერი ავდგები!
... ვაი რომ, მწიფდა ნიადაგ
ცოდვით დამტკბარი მტევანი!
— ვაი, რომ დამაგვინდა
გულმკერდზე მჯიღის რტყმევანი...

**2000 წლის 28 თებერვალი.**

**გაზეთი „ქომაგი“ 2000წ. 8-21 მარტი.**

დოკუმენტი

# საქართველოს კანონი

## საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. საქართველოს საბაჟო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31 დეკემბერი, 1997 წელი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-3 მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვები „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს“.

2. 28-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 28. საბაჟო საწყობის შექმნა და გაუქმება

საბაჟო საწყობის შექმნისა და გაუქმების წესი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის ბრძანებით“.

3. 37-ე მუხლში სიტყვები „საბაჟო დეპარტამენტის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს“.

4. 42-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. იმ საქონლის ნუსხა, რომელთა დროებით შემოტანა ან/და გატანა აკრძალულია, მტკიცდება საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით“.

5. 43-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს“.

6. 44-ე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვები „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს“.

7. 77-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს“, ხოლო მე-3 ნაწილში სიტყვები „საბაჟო დეპარტამენტს“ – სიტყვებით „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს“.

8. 86-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „საბაჟო დეპარტამენტის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს“.

9. 95-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია“.

10. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 98[1] მუხლი:

„მუხლი 98[1]. სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია

სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის გამოყენების წესი და პირობები განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით“.

11. 125-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „საბაჟო დეპარტამენტის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს“.

12. 153-ე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვა „მას“ შეიცვალოს სიტყვებით „მისი წარდგინებით საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს“.

13. 155-ე მუხლის სათაურში სიტყვები „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის დამატებითი უფლებამოსილებანი“ შეიცვალოს სიტყვებით „წარმომადგენლობითი უფლებამოსილებანი“, ხოლო პირველ და მე-2 ნაწილებში სიტყვები „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი“ – სიტყვებით „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო“.

14. 156-ე მუხლის მე-3 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

15. 158-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 158. საქართველოს საბაჟო ორგანოები

1. საქართველოს საბაჟო ორგანოები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ როგორც სამართალდამცავი ორგანოს სტატუსის მქონე საბაჟო ორგანოები, რომლებიც შედიან საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს სისტემაში.

2. საქართველოს საბაჟო ორგანოების სტრუქტურა, ფუნქციები და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ამ კოდექსით, „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

3. საქართველოს საბაჟო ორგანოებში სახელმწიფო მოხელეების სამსახურის წესი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული დებულებით“.

16. 159-ე მუხლის სათაურიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საბაჟო დეპარტამენტის“, ხოლო პირველ და მე-2 ნაწილებში სიტყვები „საბაჟო დეპარტამენტს“ შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს“ და „საბაჟო ორგანოს“.

17. 160-ე მუხლში სიტყვები „საბაჟო დეპარტამენტის“ შეიცვალოს სიტყვით „შესაბამისი“.

18. 161-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის დებულებასთან ერთად“.

19. 169-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 169. საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და საბაჟო ორგანოების მუშაკთა მატერიალური წახალისება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და საბაჟო ორგანოების მუშაკთა მატერიალური წახალისებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის საბაჟო ორგანოების მიერ კონტროლირებადი შემოსავლების მიხედვით ბიუჯეტებსა და სახელმწიფო სპეციალურ ფონდებში ფაქტობრივად ჩარიცხული თანხების 3 პროცენტი, აგრეთვე ბიუჯეტებისა და სპეციალური ფონდების სასარგებლოდ დამატებით დარიცხული და ჩარიცხული თანხების 50 პროცენტი ირიცხება ხაზინაში საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე. ამ ანგარიშზე თანხების ჩარიცხვა ხდება ბიუჯეტებსა და სახელმწიფო სპეციალურ ფონდებში ჩარიცხული თანხების პროპორციულად საბანკო დაწესებულებების მიერ.

2. საბაჟო მოსაკრებლების სახით ამოღებული თანხები მთლიანად მიიმართება საბაჟო ორგანოების მუშაკთა მატერიალური სტიმულირებისა და ამ ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიზნობრივად დაფინანსებისათვის.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვის წესს ადგენს საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრი“.

20. 176-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) იმპორტიორი ვალდებულია სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი პირის მეშვეობით ექსპორტიორ ქვეყანაში მოახდინოს ინსპექტირებას დაქვემდებარებული იმ საქონლის გაფორმებამდე სავალდებულო ინსპექტირება, რომლის ღირებულებაც აღემატება 5 000 აშშ დოლარს. სავალდებულო ინსპექტირების განუხორციელებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად. ადმინისტრაციული სახდელი იმპორტიორს არ ათავისუფლებს სავალდებულო ინსპექტირებისაგან, რომელიც ადმინისტრაციული სახდელების გადახდის შემდეგ ხორციელდება ადგილზე. სავალდებულო ინსპექტირების მომსახურებისათვის გადაიხდევინება მომსახურების საფასური, რომლის ოდენობაც განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი, 2000 წლის 24 მარტი.

### ისევ ხელმოწერები

ოპოზიციურ პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება „თავისუფლებისა და დემოკრატიის ცენტრის“ 10-მა პარტიამ და ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრე ორგანიზაციების ლიდერებმა მოსახლეობაში ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს, რითაც სურთ დაადასტურონ, რომ მოსახლეობის უმეტესობამ 9 აპრილს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა.

ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „თავისუფლებისა და დემოკრატიის ცენტრის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ განაცხადა. პრესკონფერენციას ესწრებოდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ხელმძღვანელი თამარ ჩხეიძე.

### მწარედ მოატყუეს

ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსის ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია ჯუმბერ პატიაშვილს, რომელმაც 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებში მარცხი განიცადა, პოლიტიკიდან წასვლას ურჩევს.

„პატიაშვილმა ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც საპარლამენტო უმცირესობის ხელმძღვანელის თანამდებობიდან წასვლის შესახებ განაცხადა, სჯობს ის საერთოდ ჩამოსცილდეს პოლიტიკას“, - განაცხადა პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ. მისი თქმით, ჯუმბერ პატიაშვილი მწარედ მოატყუეს მისმა მომხრეებმა. „გარდა პატიაშვილისა, ყველა მიხვდა რაც ხდებოდა არჩევნების წინ, ეს კი პოლიტიკოსის კარგ ალღოიანობაზე არ მეტყველებს“,- თქვა ეროვნულ-დემოკრატების ლიდერმა.

ირინა სარიშვილი-ჭანტურიას აზრით, ბათუმური ალიანსი, რომლის საპარლამენტო კოალიციის ლიდერი ჯუმბერ პატიაშვილია, ფაქტობრივად დაშლილია და მნიშვნელობა არ აქვს, ეს ოფიციალურად გაფორმდება თუ არა.

### იმსჯელეს სადავო საკითხებზე

საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ და მისმა რუსმა კოლეგამ კონსტანტინე ტოცკიმ მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე, საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე მიმდინარე სადელიმიტაციო სამუშაოების პროცესში წამოჭრილ სადავო საკითხებზე იმსჯელეს. როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს სასაზღვრო უწყებაში აცნობეს, ჩხეიძემ კმაყოფილება გამოთქვა რუს კოლეგასთან საუბრის შედეგებით.

### ნინო ანანიაშვილის სამი განზომილება

მოსკოვის დიდი თეატრის პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი 24 აპრილს მონაწილეობას მიიღებს უნიკალურ წარმოდგენაში - იგი ერთი საღამოს განმავლობაში სამ საბალეტო დადგმაში იცეკვებს. მოსკოვის ოპერეტის თეატრის სცენაზე ნინო იცეკვებს საბალეტო დადგმებში „მოცარტიანა“, „მანერიზმის მშვენიერებები“ და „სიზმრები იაპონიაზე“, იტყობინება პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტი მოსკოვიდან.

### კადრები — კონკურსით

საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს ცალკეული სასაზღვრო საკონტროლო გამტარ პუნქტზე - აეროპორტ „თბილისის“ კონტროლიორის თანამდებობაზე. როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრეს სასაზღვრო უწყებაში, დეპარტამენტი კონკურსს პირველად აცხადებს და სხვა ცალკეულ თანამდებობებზე მომავალშიც გააგრძელებს სათანადო კადრების შერჩევას კონკურსის საფუძველზე.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

ბუნება

# ვის სჭირდება ამდენი სახერხი საამქრო?

## პრობლემა, რომლის გადაჭრასაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს

ტყის რესურსების რაციონალური და ეკონომიური მოხმარება ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად არის აღიარებული. და ეს შემთხვევითი არც გახლავთ იმდენად, რამდენადაც საქართველოს ბევრი რეგიონის მოსახლეობისთვის ტყეს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. თავისი მრავალმიზნობრივი დანიშნულებით მას ფასდაუდებელი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ეფექტი მოაქვს.

სათბობ-ენერგეტიკულ სექტორში შექმნილი კრიზისული ვითარების შედეგად განსაკუთრებული სიმძიმე დააწვა ტყის რესურსებს. არასათანადო დაფინანსების გამო კი გაძნელებულია ტყის დაცვისა და აღდგენა-განახლების სამუშაოთა სრულფასოვანი შესრულება. თანაც ეკონომიკური რეფორმები, სხვა დარგებთან ერთად, ძირეულად შეეხო საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტსაც, რომელსაც, ამჟამად მოქმედი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესატყვისად, პრაქტიკულად მთლიანად ჩამოშორდა სამეურნეო ფუნქციები და სრულიად არაკომერციულ სახელმწიფო ორგანოდ ჩამოყალიბდა. ამჟამად მისი ძირითადი მოვალეობაა ტყის რესურსების დაცვა, აღდგენა-განახლება და ტყითსარგებლობის ორგანიზაცია.



სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს, საქართველოს ტყის კოდექსის თანახმად, 1999 წლიდან დაეკისრა ტყითსარგებლობაზე ტენდერის ან აუქციონის წესით ლიცენზიის გაცემის უფლება. ასევე გაძლიერდა ტყის დაცვის მუშაკთა უფლება-მოვალეობანი და, შესაბამისად, პასუხისმგებლობაც სახელმწიფო ტყეების დაცვის საქმეში.

ტყის მერქნიანი რესურსების მოპოვებაზე ლიცენზიის გაცემისას უპირატესობა მიენიჭებათ იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებიც მოსაპოვებელი რესურსის რეგიონებში მოქმედებენ და, ამასთან, ადგილზევე – საქართველოში გადაამუშავებენ ხე-ტყეს. ამით დეპარტამენტი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მრგვალი მორის სახით ხე-ტყის ექსპორტის შემცირებას და თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმოების ამოქმედებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მერქნის რაციონალურ გამოყენებას ხე-ტყის მოპოვებიდან დაწყებული მისი საბოლოო გადამუშავებით დამთავრებული. ეს კი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ამის თვალსაჩინო მაგალითია უცხოელი ინვესტორების მონაწილეობით ზუგდიდში, ფოთში, საჩხერესა და სხვაგან აშენებული სახერხი საამქროები. აქვე უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ტყის დაცვის საქმეში ძირითადი პრობლემაა ტყითსარგებლობის წესების დამრღვევთა, ანუ უკანონოდ მომპოვებელთაგან ტყის რესურსების დაცვა. სამწუხაროდ, ტყის რესურსების დაცვას კიდევ უფრო ართულებს მთელ რიგ რაიონებში სოკოებივით მომრავლებული კუსტარული მინისახერხები, სადაც, ძირითადად, უკანონოდ მოპოვებულ ხე-ტყეს გადაამუშავებენ.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური გამოკვლევების თანახმად, 1999 წლის მდგომარეობით, საქართველოს რეგიონებში (ქ. თბილისისა და რუსთავის გარდა) მოქმედებს 748 სხვადასხვა ტიპის მერქნის პირველადი გადამამუშავებელი საწარმო, მათ შორის: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 42, იმერეთში – 156, სამცხე-ჯავახეთში – 127, ზემო სვანეთსა და სამეგრელოში – 104, რაჭა-ლეჩხუმში – 77, გურიაში – 54, კახეთში – 76, ქვემო ქართლში – 43, შიდა ქართლში – 28, მცხეთა-მთიანეთში – 41. აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა უნებართვოდ მუშაობს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ საწარმოთა უმეტესი ნაწილი უბადრუკ შენობებშია განთავსებული. ბევრი კი ავარიულ შენობებში ან, საერთოდ, ღია ცისქვეშ (?!) მუშაობს (ბორჯომი, ადიგენი, ახმეტა). ამ საწარმოებში დაუცველია სამუშაო პირობები და დაბალია მუშათა კვალიფიკაციის დონე. ხე-ტყის გადამმუშავებელ ლია, ტექნიკურად გაუმართავ დაზგებზე მეტწილად დასაქმებული არიან შემთხვევითი, არაკვალიფიციური მუშები. საწარმოთა 80 პროცენტი შემოუღობავია (ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ახმეტის, წალენჯიხის, ზუგდიდის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის რაიონები და სხვა), არა ჰყავთ დარაჯები, საერთოდ არა აქვთ ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა, რაც ქმნის ხანძარსაშიშ პირობებს. ხშირად უგულებელყოფილია გარემოს დაცვის მოთხოვნები, დიდი და მცირე მდინარეების სანაპიროები დაბინძურებულია ხე-ტყის ნახერხით, რაც, თავის მხრივ, იწვევს წყალსაცავებისა და ჰაერის დაბინძურებას, ქმნის ანტისანიტარიას და დაავადების კერებს. დეპარტამენტმა აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიას, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, შს სამინისტროს ეკოპოლიციის მთავარ სამმართველოს, მხარეების გუბერნატორებს, გამგებლებს. ამ წერილებით მათ ვთხოვედით, შეესწავლათ აღნიშნული საწარმოების მუშაობის კანონიერება



და გაემკაცრებინათ მოთხოვნები ახალი საწარმოების დაფუძნება-ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, მაგრამ ამ მიმართულებით დღესაც ადრინდელი მდგომარეობაა, რაც ადგილობრივი მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს მიაჩნია, რომ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით აუცილებელია ხე-ტყის გადამმუშავებელი კუსტარული და ეკოლოგიურად მიუღებელ პირობებში მოქმედი საწარმოების ადმინისტრაციული წესით გაუქმება თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი გადამმუშავებელი საწარმოების ამოქმედებისათვის ხელის შეწყობის მიზნით. ამაზე პასუხისმგებლობა კი, ალბათ, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უნდა დაეკისროთ.

**თეიმურაზ კანდელაკი,**
საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**რედაქციისაგან:** ამ პრობლემური წერილის ავტორის პოზიცია ყოველმხრივ სწორი და, ამდენად, მხარდასაჭერია. ამის გათვალისწინებით ვიმედოვნებთ, რომ ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურა თუ ორგანო, ვისაც ამ მნიშვნელოვან უბანზე წესრიგის დამყარება ევალება, ყოველ ღონეს იხმარს მდგომარეობის რადიკალურად და ოპერატიულად გამოსწორებისთვის. „საქართველოს რესპუბლიკა“ კი, თავის მხრივ, სისტემატურად მიადევნებს თვალს და გააშუქებს კიდეც ამ პროცესს.

საქართველოს რესპუბლიკა

№102-103. კვირა-ორშაბათი, 16-17 აპრილი, 2000 წელი.

## მწერალი — მკითხველი

# საუბრები არა მხოლოდ ლიტერატურაზე...



საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „პარასკევის შეხვედრები“ არცთუ დიდი ხანია, ტრადიციად დამკვიდრდა. ამ წამოწყების ორგანიზატორი, საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრის ხელმძღვანელი **რეზო კლდიაშვილი**, სტუდენტების სურვილის გათვალისწინებით, ყოველ პარასკევს საინტერესო პიროვნებებს, კულტურის მოღვაწეებს მასპინძლობს.

ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მომცრო დარბაზი გასულ დღეებში დაეთმოთ ლაშა თაბუკაშვილს, კოტე მახარაძეს, აკა მორჩილაძეს, სოფიკო ჭიაურელს, ირაკლი ჯავახაძეს, დათო ტურაშვილს, დათო მაღრაძეს, რამაზ ჭილაიას...

ბოლო პარასკევი, ამჯერად, მწერალ **ოტია იოსელიანთან** შეხვედრას მიეძღვნა. სტუმარმა ისაუბრა ლიტერატურაზე, სამწერლო ხელოვნების პრობლემებზე, ენის სიწმინდის აუცილებლობაზე...

ძირითადი მიზანი ახალგაზრდების წიგნთან დაბრუნების პრობლემიდან მომდინარეობდა. თუმცა, მწერალმა ჩვეული სისადავით ისაუბრა ლიტერატურაზეც; სტუდენტების დაინტერესებისას კი საკუთარი ბავშვობაც გაიხსენა, ილაპარაკა თუ რა არის მწერლისათვის კალამი, რატომ იწერება და იქმნება ესა თუ ის ნაწარმოები, რა როლი აკისრია მკითხველს...

ამ საღამოზე ოტია იოსელიანმა საზოგადოებრიობისათვის აქამდე უცნობი რამდენიმე ლექსიც წაიკითხა: „პრივატიზაცია“, „ფურისულა“, „ციცინათელა“.

შეხვედრებით არცთუ განებივრებული მწერალი მოიხიბლა ბიბლიოთეკაში გამართული ლიტერატურული საღამოს იდეით.

„პარასკევის შეხვედრებმა“ ტექნიკური უნივერსიტეტის ახალგაზრდებს კიდევ უფრო გაუმძაფრა სილამაზის შეგრძნების უნარი, მხატვრული ლიტერატურისადმი ინტერესი, სურვილი იმისა, რომ ხვალ ამ ნიჭიერი ადამიანების ნაწარმოებები წაიკითხონ.

იმედია, ახალგაზრდების წიგნთან დაბრუნების უმნიშვნელოვანეს პრობლემას საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრი კვლავაც მიუძღვნის ტრადიციულ შეხვედრებს.

**ლელა დონაძე.**

## იუბილე

# ყველაზე ძვირფასი საჩუქარი — სამურზაყანოში დაბრუნება



მისი ამ ქვეყნად მოვლინება ისეთივე ლამაზი და განსაკუთრებული იყო, როგორც ის კუთხე, სადაც გიმერი ბაგათელია დაიბადა. სამურზაყანოში, გალის რაიონში, ორმოცდაათი წლის წინათ გივი ბაგათელიას ოჯახში თოფმა იქუხა და ვაჟიშვილის ამქვეყნად მოვლინება ამცნო მეზობლებს. ალერსში და სიყვარულში გაიზარდა პატარა. შემდეგ, ახალფეხადგმულმა ბავშვმა მშობლიური ქალაქისადმი განსაკუთრებული სითბო იგრძნო. შეისისხლხორცა და გაითავისა ადგილი, რომელმაც მთლიანად დაიპყრო ბიჭუნას არსება და დღემდე, როცა ეს გრძნობა ტკივილად იქცა, ვერ ერევა, ვერ ელევა და გულით ატარებს.

ბავშვობამ თვალსა და ხელს შუა გაირბინა. გალის № 3 საშუალო სკოლაში გატარებული წლებიც მისი ცხოვრების საინტერესო ფურცელია. პირდაპირობამ, გულახდილობამ, უბრალოებამ გიმერის ბევრი მეგობარი შესძინა. დღეს კი თავის გარემოცვას ამაყად თვალს გადაავლებს და ამბობს: — უკეთეს განძს, რაც შეიძლება ადამიანმა საკუთარ თავს გაუმზადოს, ვერ ვინატრებდი. ეს არის ჩემი სამეგობრო, ჩემი დიდი ოჯახი, სადაც ხშირად საკუთარ პრობლემებს გაქცეული სულიერ ნავთსაყუდელს ვპოულობ.

სკოლის დამთავრების შემდეგ ნიჭიერი მოსწავლისთვის არჩევანი ბევრი იყო, თუმცა, მოგვიანებით, თავად გადაწყვიტა იურისტი გამხდარიყო.

1975 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. იმედით შეაბიჯა ნაოცნებარ სამყაროში. მერე იყო მწვერვალების დაპყრობა, თეთრად გათენებული ღამეები, ჭიდილი. საკუთარ თავში რწმენის და პიროვნების დამკვიდრების დღეს ვერც იხსენებს გიმერ ბაგათელია. ვერ ამბობს, რომელი იყო პირველი სისხლის სამართლის საქმე, რომელიც მან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლად მუშაობისას გამოიძია, რადგან ახალბედა, ნიჭიერ და დამწყებ იურისტს იმ წლებში საქმე მართლაც თავზესაყრელი ჰქონდა. ყველაზე დიდი კმაყოფილება, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან მას მიუღია, დაზარალებულთა მადლიერი სახეებია. არც ბრალდებულები რჩებოდნენო ჩემით უკმაყოფილოო, — ღიმილით იხსენებს დღეს ბატონი გიმერი.

ჯარისკაცობამ საკმაოდ გვიან ასაკში მოუწია. გულისთქმას აყოლილი ბოლომდე იცავდა აფხაზეთს, მიწას, რომლის გოჯი სიცოცხლეს ურჩევნია და რომლის ხსენებაზეც თვალცრემლიანი გულისტკივილს ხმამაღლა ამოსვლის საშუალებას არ აძლევს. მის მზერაში კერიის მონატრება იკითხება. დადგება დრო და ამ კერაზე — ბაგათელიების საგვარეულო სახლში ცეცხლი დაინთება და ცაში ასული კვამლის სურნელი განსაკუთრებული და მშობლიური იქნება. — ეს დრო ჩვენ უნდა დავაჩქაროთ. თითოეული აფხაზეთიდან დევნილი ერთხელ უკვე მოკვდა, ამბობს ორმოცდაათ წელს მიტანებული პოლკოვნიკი გიმერ ბაგათელია, და ამატებს: — თქვენ არ იცით, რას ნიშნავს, როცა იძულებულს გხდიან გაიქცე საკუთარი სახლკარიდან, გაექცე ყველაზე მშობლიურს და უფლებაწართმეულს ხმამაღლა ხმის ამოღების საშუალებასაც არ გაძლევენ.

ჩვენ უნდა დავბრუნდეთ, ჩვენ დავბრუნდებით, — დამაჯერებლად მეუბნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე. გულქვა უნდა იყო, ფიქრშიაც რომ შეეწინააღმდეგო ამ სურვილს.

სხვა რა შემიძლია გისურვოთ, კარგო მეგობარო, ერთგულო კაცო. თქვენთვის ყველაზე დიდი საჩუქარიც ხომ 51-ე გაზაფხულის სამურზაყანოში შეხვედრა იქნება.

**მაია მოსიძე.**

## წარდგენილია შოთა რუსთაველის პრემიაზე

# „როდესაც ხეებს ვარდისფერი ჩიტები ესხა“

60-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოსულმა პოეტურმა თაობამ ეროვნულ პოეზიას ახალი შუქი მოჰფინა, 60-იანი წლების პოეზიაში გაჩნდა ახალი ლირიკული გმირი, პოეტი-ადამიანი, გზა გაეხსნა ლირიკული გმირის აღსარებას, რომლის მზერაც შიგნით, საკუთარი სულის შემეცნებისაკენ იყო მიმართული. შინაგანი განცდები, სწრაფვა შინაგანი ტკივილების გადმოცემისაკენ, რაც გაპირობებული იყო ეროვნული ტკივილებით, ამ თაობის პოეტთა და მწერალთა შემოქმედებაში ახალი პოეტური ფორმებით გამოიხატა. ამიტომ თითქოს ძნელი იყო რაიმე ახლით აუდიტორიის გაოცება, მაგრამ აი, სამწერლო ასპარეზზე მოდის შემდგომი თაობა, ჩნდება პოეტი-ქალი ლია სტურუა, რომელსაც თავისებური ელფერი შეაქვს ადამიანის სულიერ განცდებში.

თეთრი ლექსი ქართული ლიტერატურისათვის არ ახალია, მაგრამ საინტერესოა ის, რომ ლია სტურუამ მოახერხა ისეთი სიღრმე მიეცა მისთვის, განცდების ისეთი დიდი ტვირთით დაემძიმებინა იგი, რომ უნებურად გებადება აზრი, ყოველივე ამას, იქნებ ვერც დაიტევდა გარითმული ლექსის ტრადიციული ფორმა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ პოეტისათვის ძნელი არ არის რითმასთან ჭიდილი. ამას ამტკიცებს მისი ასი სონეტი (შავი და ნათელი სონეტები) და სხვა ლექსები.

თავის ერთ-ერთ, 1994 წელს გამოცემულ წიგნში, რომელიც, როგორც პოეტი ამბობს, მისი ცხოვრების უმძიმეს პერიოდში გამოვიდა, იგი წერს, „პოეზია უფრო ნათელი უნდა იყოს, ვიდრე ცხოვრება, ეს, ალბათ, მოვაო, ახლა კი ბოდიშს ვიხდი ჩემი სევდისათვის, შავი სევდისათვის, რომელშიც მზის და მთვარის წვეთები კი იგულისხმება, მაგრამ არ ჩანს, რადგან ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ნიადაგი ტკივილია, მტკივა, ე. ი. ვარსებობ“.

ვეთანხმები პოეტს — მტკივა, რადგან ვარსებობ. პოეტს ყოველთვის უნდა სტკიოდეს, ემოციის გარეშე პოეტი არ არსებობს, ხოლო ემოციის განცდა ყველას საკუთარი აქვს. ყველა თავისებურად ოცნებობს „გაზაფხულზე, რომელიც შეიძლება არც მოვიდეს“, და განსხვავება ის არის, რომ როგორც ლია სტურუა ამბობს, თუ ის „ყველა ქალში მეორდება, ამიტომაც „შენს სახელს თოვლში“ ავაფარე მინდისფერი თმები — „დიდი მარტოობის დროშა“.

რა უფრო მეტია პოეტის სულში — სევდა თუ იმედი?

სასოწარკვეთა თუ უილაჯობა, თუ ნათელით სავსე მომავლის რწმენა?

ლია სტურუა უფრო მეტად სევდიანი პოეტია. მარტოობის განცდა თითქოს უფრო ჭარბობს, ასე მის გაურითმავ ლექსშიც და რითმიან ლექსშიც, სონეტებშიც, „კაპიკის ფასიც არ ექნებოდა ჩემს სიცოცხლეს, რომ ყველაზე შეუსაბამო დროს არ იწერებოდეს ლექსები“. ეს ლექსები აძლევს მას ძალას, სიცოცხლის სურვილს და რწმენას. მაშინ, როცა „თავახდილ სახლში დადის ქარი და მე ვარ მარტო“. მარილის სიმკვეთრე ყელს უკაწრავს და სიტყვას უსპობს პოეტს, რომელსაც სითბო და შაქრის სიტკბო ელანდება, ყველაზე უფრო მძაფრად შეიგრძნობა, რომ „მოდის დედა და სხვა ლანდები, არავინ უცდის, არსად აღარ აგვიანდება“.

„თუ ფანტაზია კიბოსავით
არ ამოგჭრეს,
არ დაუჯეროთ არავითარ
სიმართლეს, ვიდრე
ქალაქში თეთრად არ
შემოელენ ნუშის ხეები“!

პოეტის სამყაროში ჩნდება უცნაური სიზმრები, სავსე მუდარით, აყვავებული სამოთხიდან თუ სამარიდან, დაპატარავებული ზეცა, თეთრი არხებით მოსული სულები, ქალაქი, რომელიც დაემსგავსა მავოსან მორჩილს, რომლის „სიმაღლე ეყრდნობოდა ჩვენს ზურგს და ხელებს, რომლებიც ჩიტებს პურს უფშვნიდნენ, ხატავდნენ, წერდნენ და ცა გათავდა, როცა ყველას მარჯვენა მოგვჭრეს“.

როგორც მედიტაციური თხრობა, ასევე რითმაც პოეტთან ემსახურება სევდისა და უიმედობის განცდის გადმოცემას. „იქნებ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ თბილისში მოვკვდი, ჩემს ბნელ კიბეზე, საფეხურებს როცა ვითვლიდი, მერე ქაღალდის ყვავილები დამეს მითევდნენ და კიდევ დიდხანს ექანაობდი გასანთლულ თოკზე. ჩამომხსნეს, მაგრამ ყველა ვადა უკვე გავიდა...“

ლია სტურუა ისეთ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა პოეზიასთანაც უნდა მიხვიდე შორი გზის გაველის შემდეგ, რომელთა პოეზია არც თუ ისეთი იოლი გასაგებია, რადგან შორს არის პრიმიტივისაგან, თავისთვის, ცალკე არსებობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, არავის არაფერს თავზე არ ახვევს, მაგრამ მაინც სხვა თვალით დაგანახებს გარესამყაროსაც და ადამიანის სულის ხვეულებსაც. მაგრამ რომ ჩაწვდე მის მშვენიერებას, ცოტათი მაინც უნდა განთავისუფლდე ყოველდღიური სიბინძურისაგან, ცას უნდა შეხედო, მიწას უნდა შეეხო, ჰაერი, თუ კი რამ დარჩენილა, უნდა ღრმად შეისუნთქო, მწვანე ბალახის ყოველ ღერს მოეფერო, ოცნებით ვარსკვლავებს მიწვდე, ბუნებისაგან, კოსმოსისაგან ისევე, როგორც პოეტი, იღებდე ტალღებს თუ იმპულსებს... არა მხოლოდ თანამგზავრით შეიძლება უსიერცო და უკიდეგანო გალაქტიკასთან შერწყმა, მის ტალღებზე ხეტიალი, პოეტივით ყური უნდა მიუგდო სამყაროს გულისცემას. უნდა დაიჯერო, რომ შენ ამ მიწის ნაწილი ხარ, ბალახის ღერი, ხე, ყვავილი და მეტი არაფერი...

უნდა დაიჯერო...

თუ გჯერა, მამ ყოველივე რიგზე ყოფილა, თუ გჯერა, ესაა შენი ჭეშმარიტება. „ახალ აღთქმაში“ ბრძნულ მოთმინებაზეა საუბარი: „... თუ გულში მწარე შუღლი და შური გაქვთ, ნუ ტრაბახობთ და ნუ ცრუობთ ჭეშმარიტების წინააღმდეგ“.

ჭეშმარიტება ღმერთია, ასე რომ, მის წინააღმდეგ ვერ გაილაშქრებს ჭეშმარიტი პოეტი, ანუ შემოქმედი; პირველი იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთი. აღვლენილი ლოცვად იგი იქცა, პოეზიად.



ჭეშმარიტი პოეტი მადლით მოვლენილი სიბრძნიდანაა, მორიდებული რწმენისა და უფლის წინაშე, ხოლო არსებობს „სიბრძნე მშვენიერი“, რომელიც ეწინააღმდეგება ჭეშმარიტ პოეზიას, მადლით მოვლენილს. „მე ხომ ყველა ქალში ვმეორდები, და შენს სახელს, უსაშველო თოვლში ავაფარე მინდისფერი თმები — ჩემი დიდი მარტოობის დროშა“.

უთუოდ მადლით მოვლენილი სიბრძნიდანაა ეს სტრიქონები დაწერილი. ახლა მთავარია ირწმუნო, რომ პოეზია ეს არის „პური ჩამომავალი ზეციდან“ (იოანე).

ჭეშმარიტებას ვერ შეეწინააღმდეგები, სიტყვაც იქიდან მოდის. მაგრამ თქმას გამჭვირვალება უყვარს ისე, როგორც ჭეშმარიტებას, ხოლო სიბნელე და გაუგებრობა გარითმულ ლექსსაც ახლავს და გაურითმავსაც. პოეზია მოწყალების გაცემა არ გახლავთ. პოეზია ტაძრის კარიბჭეა, ამ კარიბჭის გადალახვა ძნელია, ვინც გადალახა, ტაძარში შევიდა, ტაძარში, სადაც მოძღვრავენ პოეზიის მოყვარულთ; პოეზია წინასწარმეტყველთა პირით საუბარია, შემდეგ ხალხში გახმაურებული, რატომღაც ხალხურს ეძახიან ასეთ პოეზიას, არადა, ხშირ შემთხვევაში, უმეტესად, ერთი პიროვნების ღაღადისია იგი, იმ დაკარგული და თვალსმოფარებული წინასწარმეტყველისა, რომლის სტრიქონი სამარადისოდ რჩება ხალხში... „სტუმრისა მოსვლას მზე მოჰყვა, წასვლასა შავი ღრუბელი“. ერთმა პიროვნებამ თქვა ეს და დღეს ხალხში უავტოროდ გასული ხალხურად ითვლება. ეს იმ დროს ხდება, როცა ერთი ბეწო სათქმელი დიდი ტკივილითაა გამოხატული. ერთ საინტერესო ლექსში ლია სტურუა ასე გამოხატავს პოეტურ „წყურვილის გრძნობას“. „ჩემი წყურვილის გრძნობა ჯერ არ მისულა ტკივილამდე“, რამეთუ „პირველი იყო იდეა ჯვარცმის, მერე ლოგოსი და მერე პური“.

ასეა სვლა შერკინული კარიბჭისაკენ, სვლა წინასწარმეტყველისა, რომელიც მოდის ხალხიდან და თუ შეაღწევს ტაძარში, შემდგომ ისევ უბრუნდება იმ საწყისს, საიდანაც მოდის.

ნუთუ არ გიგრძნია, როცა კარებზე შიში გიკაკუნებს, ნუთუ არ მჯდარხარ ჩაბნელებულ ოთახში შენი თავის ამარა? სწორედ ამ მარტოობის, განცალკევებულის აღქმაა უსათაურო ლექსი — „ახლა კი კარებზე შიში მიკაკუნებს, მასაც ფერი უნდა, მაგრამ შავი, ერთადერთი, რაც მაქვს. შავი, ჩაბნელებული ოთახი“. ეს ყოველივე შიშის გამო, მაგრამ ვნახოთ განათებულ სახლზე ნათქვამი. ეს სახლი ნიკორწმინდაა, სახლი სათნოებისა, „სახლი დაინგრა, ვაზის თმებით შეკრული და მტრედის ფრთით განათებული...“ იმ დანგრეულ სახლს დიდი სევდა მოსდევს, სევდა ფრიად პოეტური —

„სადღაა კიდევ ერთი გალაკტიონი, რომ მის კედლებში ჩავაგანო“.

დიახ, ესაა ლია სტურუას ეგრეთ წოდებული „გაუგებრობა“, რომელსაც გაიგებს ის, ვისაც უყვარს პოეზია და ვინც იცის ფასი სიტყვისა.

სხვა ამბავია სირთულე პოეტისა, გასაოცარია დიაპაზონის შეგრძნება მასშტაბურობის შეგრძნება, რომელიც პირველად გთრგუნავს კიდეც. ლია სტურუა მომავლის პოეტია. გავბედავ და ვიტყვი, როგორც ყველა ჭეშმარიტი პოეტი — XXI საუკუნის პოეტია.

როცა იგი პირველად აუდიტორიის წინაშე წარსდგა სრულიად ბავშვი (პოეტს უყვარს ამის გახსენება), გაკიცხვა და, თქვენ წარმოიდგინეთ, რისხვაც კი დაიმსახურა ფიროსმანზე ნათქვამი სტრიქონის გამო, რომელიც მაშინ მხატვრის შეურაცხყოფად აღიქვეს — „ფიროსმანს უყვარდა ცა და არაყი, და სხვა ყველაფერი ფეხებზე ეკიდა.“ მაშინაც კი არ დარჩა დაუნახავი ის დიდი ნიჭი პოეტისა სხვაგვარად, არაბანალურად აღქმა საგნისა, „სხვისთვის არაჩვეულებრივი, მისთვის ჩვეულებრივი“ — როცა ლექსში სამყარო გლობალურად აღიქმებოდა, სივრცე აღიქმებოდა, სიღრმე და საბოლოოდ ფრიად ორიგინალური ხედვის, დიდი მასშტაბების და დიაპაზონის პოეტი ყალიბდებოდა.

პოეტს იტაცებს — ჯადო სიტყვა სარძევე კბილივით მკრთალი და მშვენიერი, რომელიც მანამ არ ისმის და არ ჩანს, მანამ გული არ გაგისკდება, ან მანქანა არ გადაგივლის და სიტყვები სურათებად არ იქცევიან და აშკარა არ გახდება, რომ ვარდები შენს თავზე არც პოზაა და არც გვირგვინი, არამედ ტვინში ჩაქცეული სისხლი“.

ეს ლექსი შეიძლება გასაღებად გამომდგარიყო ლია სტურუას პოეზიისათვის, თუმცა, როგორც ამბობენ, არ არსებობს ისეთი უნივერსალური გასაღები, ყველა ლექსს რომ მოერგოს. მაგრამ პოეტს აქვს ერთი ლექსი, რომელთაც იგი თავის შემოქმედებით საიდუმლოს გვიხსნის: „ადამიანის გაშლილი ხელები ჯვარს რომ მიალურსმო, ქარი მოკვდება... ბუნების კანონია ეს, თუ მეტაფორა?“

არ იქნებოდა სწორი ლია სტურუას პოეზიის აღქმა მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ლექსის ფონზე. იგი უნდა აღიქვა მთლიანობაში, როგორც ერთი რამ გლობალური მოვლენა. პოეტი ნაწილია იმ დიდი სამყაროსი, რომელიც მისი არსების ყოველი პატარა უჯრედში ეტევა და მიანიშნებს პოეტისა და სამყაროს განუყოფლობაზე. შუქი, რომელიც ასე უყვარს პოეტს და რომლის ჩაქრობისაც მას ასე ეშინია, ასხივოსნებს მთელ მის შემოქმედებას. „როცა მოვკვდები, დამწვით მზესუმზირების კრემატორიუმში, იქნებ სინათლედ მაინც გამოვადგე თვალებდათხრილ ქალაქს“. თითქოს თვალნათლივ, „მესამე თვალით“, „ოქროს კვეთმა რომ დააჭედა მტკივნეულ შუბლზე“, ხედავს პოეტი, როგორ ინგრევა მისი ცხოვრების წესი, „ვაჭრუკანები მოსჩხავიან, იგდებენ მასხრად და მის „უპატრონოდ დარჩენილ ტაძარს“ თავზე ხეები რომ ამოსდის, ომს იგებს ქონის მარმარილო, სიმრგვალე დუმის, სახეებს დრომად მოარბევენ ფართოს და მაძღარს“. ასე წარმოიდგენს პოეტი ჩვენს დღევანდელობას. მას უნდა შეარბილოს მწარე სიმართლე, „რადგანაც აღარ შემიძლია იმის ყურება, პირში რომ სიტყვას მიკლავენ და თვალში სინათლეს“. ლია სტურუას სიტყვა „გარედან ატლასია და შიგნიდან სისხლი“. და ნამდვილად გასაოცარია ის შეურიგებლობა, რომლითაც პოეტი იბრძვის. მას სტკივა ეს მოუწყობელი ცხოვრება, სტკივა უსამართლობა, „როგორც ფრჩხილში ჩამჯდარი ხიჭვი“ და საკვირველია სწორედ შეგრძნებათა ის სიზუსტე, რომლითაც იგი მკითხველზე მოქმედებს — შენც გტკივა ამ დროს მის ლექსში გადმოცემული ტანჯვა, „როგორც ფრჩხილში ჩამჯდარი ხიჭვი“.

რა თვალით უყურებს იგი გარესამყაროს, სად დაინახა „სანაგვეზე მოსული ვარდი“, ან შესანიშნავი პოეტური სახე „როცა ატმის ხეს ვარდისფერი ჩიტები ესხა და მიფრინავდა ამ ქვეყნიდან, ამ ქალაქიდან „მზე, თითქოს წვიმდა, ხოლო ზაფხულს რაც შეეხება, არა თეძოდან, ან პრიალა იატაკიდან, მე სიცილიდან მეზრდებოდა მაშინ ფეხები“.

ლია სტურუა თითქმის არასდროს მეორდება. შესანიშნავი მეტაფორები, სახეთა და შეგრძნებათა ნაირფერობა, ალეგორიული პლასტიკა, პოეტური შედარებების სიუხვე, მხატვარივით ელფერების სიმრავლე არის ის, რაც მას განსაკუთრებულობას ანიჭებს — „მე მირჩევნია მშვენიერი ვიყო, ველური, ან უხიაგი, ვიდრე მონა საერთო აზრის“.

პოეტს არ ეშინია ამ გამორჩეულობის, უცნაურობის, ზოგჯერ მეტად გაბედული მეტაფორების და შედარებების. იგი უსაზღვროა, დაულეველი ამ სახეების შექმნაში. ეს ჭეშმარიტი პოეტის თვისებაა „მარტო დავრჩები და ლექსები შემიყვარებენ“.

საიდან მოდის ეს ყოველივე? რა თქმა უნდა, ქართული ლექსიდან, ქართული ფოლკლორიდან, ქართული პოეზიიდან. იქნებ სულაც გალაკტიონიდან, რომელსაც შესანიშნავად იცნობს პოეტი და არა ერთი ბრწყინვალე წერილი მიუძღვნია მისი შემოქმედებისათვის; ან იქნებ სულაც ვაჟა-ფშაველადან — „ვაჟა-ფშაველა მოდიოდა გამთენიისას“ და „წვიმით სავსე ქვეყანაში სარკმელს აღებდა“. მან ვაჟასგან ისწავლა — „რომ წვიმაში და ღმერთთან ახლოს ლექსი დუმილით დაფასდება და არა სიტყვით, მინიშნებებიც ოდნავია, როგორც ნიავი. მეც უნდა მედგას, ალბათ, სადმე, ნისლივით სახლი, რადგანაც მიწა ბატონია და მათრახს მირტყამს და სულ ამაოდ ელოდება მონანიებას“.

საოცრებაა, არა? საოცრება და არა უცნაურობა. საოცრებაა, როცა ცას ვარსკვლავი მოწყდება და შენს სულს წაიღებს, კი არ გაატან, თავად წაიღებს; ისიც საოცრებაა, როცა მოპირდაპირე მხარის ხეები ერთმანეთისკენ ილტვიან, კიდევ ტყის სიჩუმეა საოცრება, ვარსკვლავთა წვიმაა საოცრება... საოცრებაა ეს ლექსიც „ხმები“ ოღონდ „ყვავილოვანი და მოშრიალე საოცრება“. ამ ლექსში „ზეცის შეკვეთაზეა“ საუბარი — ყველანი ვასრულებდით ზეცის შეკვეთას, თქვენ ქარში ფრენით, ჩიტი — სტვენით, მე თანხმოვანით“ პოეტის სევდაში ზოგჯერ იმედის პატარა ნაპერწკალი ჩნდება: „არ დაიჯერო, რომ დაკარგა ცამ მნიშვნელობა, რომ უაზროა სილურჯეში ხელის ფათური, როცა აქვეა მწვერვალებიც და ქვესკნელებიც“...

ლია სტურუა რამდენიმე პოემის ავტორია — „დევები“, „ზღვის მიმოქცევა“, „წრეში“. ამ პოემების ლირიკული გმირის აღსარება იგივე ღაღადისია სევდისა, მარტოობისა, როცა პოეტი დაიღალა თოკზე სიარულით.

არ არსებობს პოეტი, თუ იგი ჭეშმარიტი პოეზიის მსახურია, სამშობლო რომ არ უყვარდეს, ოღონდ ზოგი ამ სიყვარულს ხმამაღალი ტონით გამოხატავს, ზოგი დინჯი მედიტაციით. „მე რა ვიცი, მე ღმერთი მაძლევს უცნაურ ჰანგებს, საიდანაც ამოდის ლექსი. იგი განაგებს, მე კი სიტყვას ვხედავ და მესმის, როგორი ხორცი გააჩინა, როგორი ხაზი, ამიტომ ბრმები დამწყევლიან, ყრუ ტყვიას მესვრის და დავეცემი სიმართლისკენ მიმავალ გზაზე...“ ასე შემოდის პოეტის ლექსში მოქალაქეობის შეგნება, ტვირთი და ვალი, განსაკუთრებით ეს იგრძნობა ბოლო წლების ლექსებსა და ლირიკულ პოემებში. შემოდის გალაკტიონის მონატრებით („დაგვიანებული რეკვიემი“), ვაჟა-ფშაველას მონატრებით, „ცისფერყანწელთა“ მონატრებით... „ვუსმენდე ნაცნობ დიალოგებს, უკვე კლასიკას, იყოს სიმართლე, უსასრულო და უასაკო, მზე ყვავილს ჰგავდეს და არა სისხლს, ტვინში გაქონილს“.

ლია სტურუას პოეზია მოწყვეტილი არ არის თანამედროვეობას. დღევანდელ ცხოვრებაში, დემოკრატიული წყობის ჩამოყალიბების დროს მისი მეტაფორული აზროვნება არათუ განყენებულად, არათუ მხოლოდ თავისთვის არსებობს, არამედ მიმართულია ყოველივე მეშჩანურის, პროვინციალურის წინააღმდეგ — „მე კი ვიცოდი, რომ ვერასდროს ვერ შევეწყობი, გაყიდულ წვიმებს, უნუგეშოდ შელანძღულ ქართულს“.

საოცარია ლია სტურუას პოეზიის სპექტრი, მრავალფეროვანი თემატიკა. აქ არის პარიზის გახსენება, მოდილიანი, ვან გოგი, არტურ რემბო; აქ გეხვდება ორფეოსი, ძველი ფილოსოფოსები, თავისებურად შემოდის მუსიკის, ოპერის განცდა... მაგრამ მთავარი მაინც მამულის ტკივილია, მთავარი რეალურობაა, რომელსაც პოეტი ასე აღიქვამს: „ეპოსის სინათლეზე გადასხმული მელნიდან ამოდის ძველი, მაღალი სევდა და მარცვლავს კრიალოსანს. სა-ქარ-თვე-ლო, საქართველო, საქართველო“.

ხშირად ფერების სიჭარბით ლია სტურუას ლექსი იმპრესიონისტული ნახატივითაა, როცა იგი ცისარტყელას ფერების გარდა, უამრავ ფერთა ნაერთს ჰგავს მეტაფორული აზროვნებით: „და სამელნეში შრიალდება ლურჯი შიფონი“, „ცა ვარვარებდა, აბლაბუდას ობობა ქსოვდა, ვეღარ ამბობდა მიწა ბალახს, გაუწყდა ქანცი, მზე იყო ათასსანთლიანი და გველის მაცნე და ჩემი კეფა აბრეშუმის ჩრდილს მოითხოვდა... ღმერთო ვიცანი ამ ხატებაში და შევიფარე, დავალევინე ლურჯი წყალი, ჩამდგარი ხეში“... „მწვანე ბალახში ღრუბელივით ჩანან ძროხები,“ „ცეცხლივით აბრიალებული დოლი“, „მარჯნის ვარდისფერი ტოტებივით ყვავიან მტრედის მოჭრილი ფეხები“, „რომანტიკა, რომელსაც იისფერი მკერდი მოკვეთეს“ და სხვ. და სხვ. — ნახატივით ჯდება მეხსიერებაში.

ლია სტურუა თავს არ გახვევს საკუთარ განცდებს, თავისი სულის აღსარებას. იგი ხშირად ექსპრესიასთან ერთად დიდი თავშეკავებით გამოირჩევა, პოეტის სულიერი დრამა გადმოიცემა უშუალობით, გულწრფელობით, გაურითმავი თუ გარითმული ლექსით იგი დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს. და თუმცა მას სჯერა, რომ „იოლია ბათქან-გამსკდარ ციდან მზის ჩამოგდება“, მისი პოეზიიდან მზესავით ამოდის, ჩახჩახებს იმედი მკითხველისა, რომელსაც პოეტმა ასწავლა, რომ „ადამიანი მთელი სიცოცხლე ტკივილია და წამლის ძებნა ღვთისთვის, შვილისთვის, მეგობრისთვის“.

**ირმა ჩხეიძე.**



## სოფელ თაგილონთან

შვიდი აფხაზი მილიციელი მოკლეს პარასკევს გალის რაიონის სოფელ თაგილონთან საპატრულო მანქანის დაცხრილვის შედეგად, აცნობა პრაიმ-ნიუსს სოხუმის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა რაულ ხაჯიმბამ.

მომხდარზე პასუხისმგებლობა მან დააკისრა ქართველი პარტიზანების ჯგუფს, რომელსაც ზაზა გაგულია მეთაურობს.

რაიონს, სადაც ინციდენტი მოხდა, 1994 წლიდან რუსეთის სამშვიდობო ძალები აკონტროლებენ.

აფხაზეთის სამართალდამცავი ორგანოები მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე გადაიყვანეს.

## შესაძლოა ნეგატიური მოვლენები

საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის ავთანდილ იოსელიანის განცხადებით, გალის რაიონში აფხაზი მილიციელების მკვლელობამ შესაძლოა ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ვითარება გაართულოს. როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა იოსელიანმა, ამ შემთხვევის გამო, გალის რაიონის ქართული მოსახლეობა საფრთხის წინაშე კიდევ ერთხელ აღმოჩნდა.

დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი ასევე არ გამორიცხავს, რომ მილიციელების მკვლელობამ ფართო დაპირისპირების ხასიათი მიიღოს მხარეებს შორის. მისი თქმით, ამ ფაქტმა შეიძლება ხელი შეუშალოს აფხაზეთიდან 47 ქართველის ცხედრის გადმოსვენებას. იოსელიანის მონაცემებით, ჯერჯერობით აფხაზებს ამ რაიონში სადამსჯელო ჯგუფები არ შეუყვანიათ, თუმცა ეს მოსალოდნელია.

## პროგნოზები არჩევნების შემდეგ

მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიგი წერეთელი ბათუმური ალიანსის რამდენიმე ნაწილად დაშლას ვარაუდობს.

პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში წერეთელმა განაცხადა, რომ მისი აზრით, ჯუმბერ პატიაშვილი სახალხო პარტიაზე დაყრდნობით ცალკე პოლიტიკურ გაერთიანებას ჩამოაყალიბებს, მცირე პოლიტიკურ ორგანიზაციებზე დაყრდნობით მემარჯვენეთა გაერთიანებას შეეცდება ტრადიციონალისტთა თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

რაც შეეხება სოციალისტებს, წერეთლის პროგნოზით, შესაძლოა, მათ აღორძინებასთან გააგრძელონ თანამშრომლობა.

ბათუმური ალიანსის დაშლის შესახებ განცხადებებს ნაადრევი უწოდა პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში აღორძინების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გიორგი თარგამაძემ.

მისი თქმით, მართალია, პატიაშვილმა უმცირესობის ლიდერის თანამდებობიდან წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ, შესაძლოა, იგი კვლავ დარჩეს ამ თანამდებობაზე. „სანამ არ გაიმართება ბათუმური ალიანსის პოლიტსაბჭოს სხდომა და მოვლენები ცივი გონებით შეფასდება, მანამ პროგნოზების გაკეთება ადრეა“, - თქვა თარგამაძემ.

## ირაკლი წერეთელი — აკაკი ასათიანს

ოპოზიციურ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება „თავისუფლებისა და დემოკრატიის ცენტრის“ ერთ-ერთი ლიდერი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი დარწმუნებულია, რომ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე აკაკი ასათიანი ვერ შეძლებს მემარჯვენე პარტიების გაერთიანებას, რადგან ამ იდეოლოგიის ყველა ორგანიზაცია უკვე ან „თავისუფლებისა და დემოკრატიის ცენტრის“ წევრია, ან აქტიურად თანამშრომლობს აღნიშნულ გაერთიანებასთან. აკაკი ასათიანი ვერ შეძლებს საერთო ენის გამონახვას ასევე ბლოკ „ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსი — მესამე გზასთან“, რადგან ეს კოალიცია „ანტიეროვნული ძალაა და მოქალაქეთა კავშირის სატელიტია“, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ირაკლი წერეთელმა.

**ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.**

## გამოიცა

# გამგებელი დაეხმარა

მასწავლებლებისათვის გამოცემული თითოეული ნაშრომი საყურადღებოა, მით უმეტეს, როცა ის პრაქტიკოს პედაგოგთა მუშაობის გამომზეურებას ეხება. ასეთია ახლახან დედაქალაქის ვაკის რაიონის განათლების განყოფილების მიერ გამოცემული „ვაკის რაიონის პრაქტიკოს მასწავლებელთა მეცნიერული მეთოდიკური შრომების კრებული“, დასტური იმისა, რომ ამ რაიონში მასწავლებელთა საქმიანობა აქტიურად მიმდინარეობს.

მიუხედავად რთული სოციალური პირობებისა, ისინი დიდი შრომის ფასად ემსახურებიან ახალგაზრდების აღზრდას.

რაიონის სკოლებში ბევრი შემოქმედი მასწავლებელია, მათ უნარი შესწევთ სათანადო წვლილი შეიტანონ ქართული ეროვნული პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში. ასეთ მასწავლებლებთან მუშაობას საფუძველი 1990 წლიდან ჩაეყარა. განათლების განყოფილებასთან შეიქმნა შემოქმედ მასწავლებელთა გაერთიანება, მუშაობის პროცესში ურთიერთობა დამყარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებთან. მათთან ერთად მომზადდა და ადრე გამოვიდა ვაკის რაიონის პრაქტიკოს მასწავლებელთა მეთოდიკური შრომების 5 კრებული და ლიტერატურულ-შემოქმედებითი ჟურნალი „მასწავლებელი“.




ჟურნალი პედაგოგებს უფასოდ დაურიგდათ. ამ კეთილ საქმეში თავისი მხარდაჭერით დიდი წვლილი შეიტანეს ვაკის რაიონის გამგებელმა დავით სულაძემ და განათლების განყოფილების გამგემ აკაკი ვარაზიშვილმა. მორიგი კრებული გამოსაცემად მოამზადა და გამოცემა უზრუნველყო ვაკის რაიონის განათლების განყოფილების გამგის მოადგილემ მეცნიერული მუშაობის დარგში, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ეთერ ხარაბაძემ.

კრებულის რეცენზენტები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები თამაზ კარანაძე, ანზორ ხელაშვილი, თენგიზ კიკაჩეიშვილი, მეცნიერებათა დოქტორები ჯენერო ქრისტესაშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე, ედუარდ ჩიკვაიძე, თამაზ ხაზარაძე, აკადემიკოსი ნუგზარ ალექსიძე.

მეცნიერულ-მეთოდიკური შრომების კრებული კარგად ასახავს ვაკის რაიონის პრაქტიკოს მასწავლებელთა მდიდარ და საინტერესო გამოცდილებას.

**ნათელა ფაილოძე.**

## „ეკოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი“

XXI საუკუნის მიჯნაზე მძაფრად გამოიკვეთა ანთროპოგენული გავლენა ბიოსფეროზე. ამასთან, ეკოლოგიური პრობლემები ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში გამოვლინდა და ეკოლოგიის მიმართ ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ეკოლოგიური მეცნიერების განვითარების შესაბამისად, ამ დარგში გამოყენებულ სპეციალურ ტერმინთა რაოდენობაც გაიზარდა, რომელთა ცოდნა მხოლოდ ეკოლოგი-სპეციალისტებისათვის როდია საჭირო. ამ მოთხოვნილებამ „ეკოლოგიის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემის აუცილებლობა განაპირობა, რომლის შედგენაზე მუშაობა ავტორმა მედეა ჩხაიძემ კათედრის დაარსებიდანვე დაიწყო.

ლექსიკონში შეტანილი ტერმინები მთლიან ბიოსფეროს მოიცავს, მასში 3 ათასზე მეტი ტერმინია აღნიშნული.

„ეკოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი“ პირველი ქართული გამოცემაა და ვფიქრობთ, გარკვეულ სამსახურს გაუწევს ყველას, ვინც ეკოლოგიისა და თავისი საქმიანობის სფეროში დაინტერესებულია აღნიშნული საკითხებით.

GCF

# ჭადრაკი

№1 (38)

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა


ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგგარეშე ყრილობა

## გონივრული კომპრომისი

5 აპრილს გაიმართა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა, რომელმაც ქართულ ჭადრაკში დაგროვილი მრავალი საჭირბოროტო საკითხი განიხილა.

დელეგატებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს ელისო კაკაბაძის, რევაზ დადიანის, მურმან დემურიას, ნიკოლოზ ხეჩიკაშვილის, ლული შათაშვილის, მარგო ჯაშის, ვლადიმერ ხოტელაშვილის და ქორა მზარელუას ხსოვნას.

დღის წესრიგის მიხედვით, დელეგატებს უნდა განეხილათ ფედერაციის პრეზიდენტის გაწვევის საკითხი.

პრეზიდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა, საჭადრაკო სამყაროს გამთლიანების მიზნით, მეტად საინტერესო წინადადება წამოაყენა. მან დელეგატებს შესთავაზა გამართულიყო არჩევნები ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობაზე ნონა გაფრინდაშვილს და თამაზ გიორგაძეს შორის, ხოლო თვითონ ის გახდებოდა თანაპრეზიდენტი საგარეო ურთიერთობასა და საერთაშორისო ტურნირების ორგანიზაციაში.

ცხარე და ხანგრძლივი დებატების შემდეგ ეს წინადადება მიიღეს. 152 დელეგატიდან 76-მა ნონა გაფრინდაშვილს დაუჭირა მხარი, 74-მა კი თამაზ გიორგაძეს. 2 ბიულეტენი გაუქმდა.

**ნონა გაფრინდაშვილს** გამარჯვება პირველებმა **ზურაბ აზმაიფარაშვილმა** და **თამაზ გიორგაძემ** მიულოცეს.

ნონა გაფრინდაშვილმა სთხოვა ვიცე-პრეზიდენტებს **დავით გურგენიძეს** და **კახი ჩიგოგიძეს** განაგრძონ დაკისრებული მოვალეობის შესრულება.

რადგან ყრილობის მუშაობა 8 საათს გაგრძელდა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სხვა საკითხები გამგეობის სხდომაზე განხილულიყო.

11 აპრილს გამგეობის წევრებმა კიდევ ორი ვიცე-პრეზიდენტი აირჩიეს: დიდოსტატი **გია გიორგაძე** და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორის მოადგილე **მიხეილ ქანთარია**, რომელიც ისევე, როგორც კახი ჩიგოგიძე, საზოგადოებრივ საწყისებზე იმუშავებს. გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა **თინა მაჭავარიანი.**

გამგეობის წევრები გახდნენ: **ნინო გურიელი** (ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე), **ზურაბ ჩაჩუა** (მსაჯთა კომისიის თავმჯდომარე) და **ედუარდ გერსამია** (ეთიკის და დისციპლინის კომისიის თავმჯდომარე).

მილოცვა

## თენგიზ გიორგაძეს

**ქართული ჭადრაკი სამი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო მიღწევებით აღინიშნა. თქვენ ერთ-ერთი იმათგანი ხართ, ვინც ამ გამარჯვებას სჭედდა და წლების განმავლობაში პირუთვნელად რუდუნებით ემსახურება მისი პროპაგანდის საქმეს, ქართული საჭადრაკო სკოლის შექმნასა და გაძლიერებას.**

**გილოცავთ დაბადების 75 წლისთავს, გისურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და ქართული ჭადრაკის განვითარების საქმეში.**

**ედუარდ შევარდნაძე.**

## ღვაწლის დაფასება

**1 აპრილს საჭადრაკო საზოგადოებამ აღნიშნა თენგიზ გიორგაძის დაბადების 75 წლისთავი. იუბილარს გულთბილად მიესალმნენ ქართველი დიდოსტატები. წაიკითხეს ფიდეს პრეზიდენტის კირსან ილუმჟინოვის მისალმება. შეხვედრაზე გაიმართა თენგიზ გიორგაძის ახალი წიგნის „ჭადრაკის“ პრეზენტაცია. ეს წიგნი მკითხველს აცნობს ჭადრაკის თეორიის საფუძვლებს, მათი სწავლების მეთოდებს, ჭადრაკის წარმოშობის და საჭადრაკო აზრის განვითარების ისტორიას, აგრეთვე, საჭადრაკო კომპოზიციის არსს.**

**წიგნის ფასი 5 ლარია. მისი შეძენა ჭადრაკის სასახლეში შეგიძლიათ.**






## დაჯილდოება

**დაბადების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ საპატიო სიგელით დააჯილდოვა ღვაწლმოსილი მსაჯი, ოსტატი ლეილა ნაჭყებია.**

პორტრეტი

## იქაც – პირველი, აქაც – პირველი, ყველგან პირველი



**არა, ჩვენი წერილის გმირის გვარი პირველი არ არის. უბრალოდ, იგი ყველგან და ყველაფერში პირველია...**

**ნონა გაფრინდაშვილზე მოგახსენებთ, რომელიც არის:**

**პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში;**

**პირველი ქართველი მსოფლიოს ხუთგზის ტრიუმფატორი სპორტსმენი;**

**პირველი საჭადრაკო ოლიმპიადების თერთმეტგზის დამლაშქრავი მთელს დედამიწაზე;**

**ევროპის ჩემპიონთა თასის პირველი მფლობელი;**

**პირველი საჭადრაკო „ოსკარის“ მომგები. იმავე „ოსკარის“ პირველი ორგზის მფლობელი, ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული პირველი ქალი, მთელს დედამიწაზე პირველი საერთაშორისო დიდოსტატი ქალებში, ასევე პირველი ქალი, ვინც საერთაშორისო დიდოსტატობა ვაჟებში მოიპოვა;**

**პირველი ქართველი მოჭადრაკე მსოფლიო ჩემპიონი ვეტერანებში.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტობის პატივიც ნონა გაფრინდაშვილს მიაგეს.**

**კიდევ ბევრი „პირველი“, „პირველი“ შეიძლება ვიმეოროთ, რაკილა უამრავი საერთაშორისო ტურნირი ტრიუმფით მოუვლია და ყველას გახსენება ჩვენ კი არა, ალბათ, თავადაც გაუჭირდება.**

200 წლის წინათ ფრანგ მწერალ სტანისლავ ბეფლერს უთქვამს: „დედამიწის ზურგზე თუნდაც ერთი ქალი რომ დარჩეს, მასზე მუდამ შეიძლება ითქვას რაღაც ახალი“.

ჭეშმარიტად ასე ყოფილა, რაკილა ქალები ხშირად ისე გვანცვიფრებენ, რომ „მშვენიერთა სქესის“ წარმომადგენლებს „რაღაც ახალი“ განზომილებით წარმოვიდგენენ. ამისი მაგალითი მრავალჯერ გვიჩვენა ნონა გაფრინდაშვილმა, რომელმაც ქალის შესაძლებლობებში „რაღაც ახალი“ პრიზმით ჩაგვახედა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საჭადრაკო დაფასთან მრავალი მამაკაცის ღირსება შელახა.

1961 წელს იუგოსლავიის ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში 20 წლის ნონა გაფრინდაშვილმა დაუმარცხებლად რომ გაიმარჯვა და ელენა ბიკოვასთან მატჩის უფლება მოიპოვა, სპეციალისტებმა ყველაზე საინტერესო შეხვედრად ქართველი მოჭადრაკისა და მილუნკა ლაზარევიჩის პარტია აღიარეს. ამ პარტიას გაფრინდაშვილის იმჟამინდელი მწვრთნელი მიხეილ შიშოვი ასე იხსენებდა:

„ოცდამეშვიდე სვლისას დიდოსტატმა ბონდარევსკიმ მითხრა: „იცით, ახლა ნონას მხოლოდ ერთადერთი სვლა აქვს, მეფით სვლა. თუ იგი მონახა, მაშინ ვაჟებს შორის ოსტატობის კანდიდატობა უნდა მივანიჭოთ“.

და აი, ნონამ გააკეთა მეფით სვლა.

„ყოჩაღ, ნონა!“ – თქვა ბონდარევსკიმ და განაგრძო – „საჭიროა კიდევ ერთი სვლა მეფით. მაშინ ოსტატის წოდებას მივანიჭებთ ვაჟებს შორის“. ფრაზა დამთავრებულიც არ ჰქონდა, როცა ნონამ მეფით ითამაშა.

არაჩვეულებრივად ძლიერი იყო მის მიერ გაკეთებული 29-ე სვლაც. „მივანიჭოთ დიდოსტატობა“ – გაისმა საერთაშორისო ოსტატის, უნგრეთის მოჭადრაკე ქალთა მწვრთნელის სილადის ხმა. მალე ლაზარევიჩმა ფარ-ხმალი დაყარა. ნონა მაყურებელმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა“.

მომდევნო წელს ნონამ მსოფლიო ჩემპიონ ელენა ბიკოვას საჭადრაკო გვირგვინი ჩამოართვა და საჭადრაკო ოლიმპზე მრავალი წლით აღზევდა.

არადა, რას იფიქრებდა ხუთი ვაჟიშვილის მამა, ზუგდიდელი ტერენტი გაფრინდაშვილი, რომ მისი ერთადერთი ქალიშვილი, ბავშვობაში დიდი ახტაჯანა ვინმე რომ იყო და ძმებთან თუ მეზობლის ბიჭებთან ბიჭურად ანცობდა, ეგზომ უთვალსაჩინოეს მწვერვალებს დაიპყრობდა.

* * *

1978-ის მინავლებული შემოდგომა იდგა. სწორედ მაშინ საბჭოთა სპორტული ჟურნალისტების „დესანტთან“ ერთად კიშინიოვში აღმოვჩნდი. მთელს მოლდავეთში დაგვატარებდნენ, ათას შეხვედრას გვიწყობდნენ და უამრავ კითხვებს გვისვამდნენ. ყველაზე შავ დღეში მე აღმოვჩნდი. სხვათა შეკითხვებს ვინ ჩივის, აუდიტორიას ჩემმა კოლეგებმაც აუბეს მხარი და კითხვები სეტყვასავით დამაყარეს. ამის მიზეზი კი საქართველოს სპორტსმენთა მონაგარი იყო. სწორედ მაშინ დაიწყო ქუხილი თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა, იქით ქართველ მთამსვლელთა გუნდები საკავშირო ჩემპიონატებში მწვერვალებიდან ეზიდებოდნენ და ეზიდებოდნენ „ოქრო-ვერცხლს“, აქეთ ჩვენი მოჭადრაკე ქალები მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინს ეცილებოდნენ ერთმანეთს, მოჭიდავეებიც ბდღვირს აღენდნენ და აღენდნენ მეტოქეებს... ჰოდა, ვიღაცამ ისიც მკითხა, ქართველ მოჭადრაკე ქალთა წარმატებების საიდუმლო რა არისო. წამით შევცბი, რაკილა ჭადრაკისაგან ისე შორს ვიყავი, როგორც ცა და დედამიწა, მაგრამ უმალ გონება გამინათდა:

– საქართველოში ჭადრაკი ოდითგანვე ძალზე პოპულარულია. ძველთაძველი ტრადიციისამებრ ქალიშვილს მზითევში „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად ჭადრაკსაც ატანდნენ-მეთქი. აზარტში შესულმა ტყუილიც დავახეთქე – სხვა ბავშვები რომ თოჯინებით ერთობიან, ქართველი გოგონები ამ დროს თავს ჭადრაკის თამაშით იქცევენ-მეთქი.

თურმე ესეც მართალი მითქვამს. ყოველ შემთხვევაში, მერეღა გავიგე, რომ ნონა გაფრინდაშვილს ხელში პირველად მაშინ დაუკავებია თოჯინა, როცა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში შეხვედრისას სხვა საჩუქრებთან ერთად ისიც გადასცეს. ან მანამდე როგორ ითამაშებდა თოჯინებით, როცა ძმებთან ერთად ნიადაგ ფეხბურთს ან კალათბურთს თამაშობდა.

– ერთხელ, როცა კარში ვიდექი და მეტოქეებს, მეზობელი ეზოს ბიჭებს, თერთმეტმეტრიანი უნდა დაერტყათ, წამოიჭრა საკითხი, რომ მე, როგორც გოგო, საჯარიმოს დროს შევეცვალეთ, მაგრამ ამაზე მოწინააღმდეგეებმაც უარი თქვეს და მეც... სწორედ ბი-

იხ. მე-6 გვ.

ანონსი

## მაისი 64 უჯრასთან

წლეულს პირველად გაიმართება ევროპის ჩემპიონატი ქალთა შორის. ამ ტურნირს 26 მაისიდან ბათუმის ჭადრაკის სასახლე უმასპინძლებს. მანამდე, აქვე, 14 მაისს სტარტს აიღებს შავი ზღვის აუზის ქვეყნების პირველი ჩემპიონატი. მასში გამარჯვებული ორი მოჭადრაკე ქალი ევროპის ჩემპიონატის საგზურს მიიღებს. საქართველოს ქალთა ჩემპიონატის ფინალი კი თბილისში გაიხსნება 2 მაისს.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილებით ვაჟთა ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა ორ ეტაპად გაიმართება. 19-28 აპრილს შვეიცარიული სისტემით გამართულ ტურნირში, შემდეგ, 8-20 მაისს, წრიულ ტურნირში იასპარეზებენ, სადაც მათ პერსონალურად მიწვეული დიდოსტატები დაემატებიან.

დაგეგმილია შეჯიბრება ნორჩი მოჭადრაკეებისთვის.

შოთა ინწკირველის მემორიალი 21-25 მაისს გაიმართება. ამ ტურნირში იასპარეზებენ 1991 წელს და შემდეგ დაბადებულები.

პორტრეტი

(მეხუთე გვერდიდან)

ჭებთან თამაშში, როცა ვცდილობდი არაფერი დამეთმო მათთვის, განვითარდა და გაძლიერდა ჩემში მძაფრი თავმოყვარეობა, ის ქალური სიამაყე, რომელიც მაიძულებს მამაკაცთა ტურნირებში ვითამაშო და განსაკუთრებული სიამოვნება ვიგრძნო, როცა ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ვუგებ, – იხსენებდა ნონა გაფრინდაშვილი.

– თუ იცი, რატომ ასწავლეს ნონა გაფრინდაშვილს ჭადრაკის თამაში? – მკითხა ერთხელ მწერალმა გურამ ფანჯიკიძემ. ის იყო მხრები უნდა ამეჩეჩა, რომ თავადვე განაგრძო – ერთხელ ნონას მამამ გვითხრა, ჩემი ხუთივე ვაჟიშვილი და ნონაც იმდენს თამაშობდნენ ფეხბურთს, რომ მათთვის ფეხსაცმლის ყიდვას ვეღარ ავუდიოდი. ვიფიქრე, გოგოს მაინც რაღაც ისეთი უნდა ვასწავლო, როგორმე ისე უნდა დავასაქმო, რომ ფეხბურთს და საერთოდ სირბილს შეეშვას-მეთქი. ჭადრაკი მოვიფიქრე. თანაც უფროსი ვაჟიშვილი ემზარი უცებ ჭადრაკმა გაიტაცა, იმას სხვებმაც აუბეს მხარი, ნონამაც და, აი, ასე მოვნახე გამოსავალი.

ეს ისტორია ტერენტი გაფრინდაშვილმა ალბათ ნახევრად ხუმრობით გაიხსენა, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, მამამ თავისი ქალიშვილი ფეხბურთს მთლიანად მაინც ვერ ჩამოაშორა. ეგ კი არა, ნონა გაფრინდაშვილი ერთხელ თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის შემადგენლობაში მინდორზე თავისებურ მეთორმეტე, სიმბოლურ მოთამაშედაც კი ვიხილეთ. ეს მოხდა 1963 წელს, როცა საჭადრაკო გვირგვინოსანს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე საკავშირო ჩემპიონატში ბურთის თამაშში შეყვანის პატივი მიაგეს.

ეს იყო ნონა გაფრინდაშვილისადმი უდიდესი პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატულება. ეს იყო თავად ნონა გაფრინდაშვილის ფეხბურთისადმი დიდი სიყვარულის დასტურიც.

– რაც მე ფეხბურთზე მინერვიულია, რაც მე ემოციურად დავხარჯულვარ, კიდევ ერთი საჭადრაკო ცხოვრებისთვის მეყოფოდაო, გვითხრა ნონა გაფრინდაშვილმა.

მაგრამ ნონა გაფრინდაშვილს მხოლოდ ჭადრაკი და ფეხბურთი როდი უყვარს. იგი ბილიარდის დიდი მოყვარულიცაა. და არა მხოლოდ უბრალოდ მოყვარული, რადგან ამ თამაშში მისი მჯობნი ქალი ჯერ არ შეხვედრია, კაცთაგან კი ჭადრაკისა არ იყოს, ბევრი გაუმწარებია. ურიგოდ არც მაგიდის ჩოგბურთი უთამაშია და არც „დიდი“ ჩოგბურთი.

ყოველივე ამაზე და სხვაზეც ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ ნონა გაფრინდაშვილისთვის უპირველესი გატაცება, სიყვარული და საქმე, რაღა თქმა უნდა, ჭადრაკი იყო და არის. ამიტომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მისი პრეზიდენტობისას ყველას უკვირდა, ნეტავ ნონა ტურნირებში მონაწილეობის გარეშე როგორ ძლებსო.

„სწორედ ამიტომ არაფრით არ მინდოდა სეოკ-ის პრეზიდენტობა, – იხსენებს ქალბატონი ნონა, – მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს კიდევ ერთხელ მოვიდა ჩემთან ემზარ ზენაიშვილი სეოკ-ის გენერალური მდივანი და იმდენი მიჩიჩინა, სანამ არ დამიყოლია. ამბობდა, თქვენი სახელი, თქვენი ავტორიტეტი ჩვენს საერთო საქმეს ძალზე წაადგებაო. მერე ამ პოსტზე არჩევნებისას მხარი ყველამ ერთხმად დამიჭირა.



# იქაც – პირველი, აქაც – პირველი, ყველგან პირველი

აი, ასე მოვედი სეოკ-ში“...

მაგრამ საჭადრაკო ტურნირების გარეშე ცხოვრება იოლი არ აღმოჩნდა. ამიტომ 1995 წლის ერთ მშვენიერ დღეს გაფრინდაშვილმა ვეღარ მოითმინა. ვეღარ მოითმინა და კიდევ ერთხელ „მივიდა, ნახა და გაიმარჯვა“.

„ორი საქმის მაღალ დონეზე კეთება შეუძლებელია. ამიტომ ოფიციალურ ტურნირებზე უარი ვთქვი. ახლა მთელ დროსა და ენერგიას სამსახურს ვუთმობ, მაგრამ ჭადრაკი ისეთი რამაა, რომ თუ ძალა შეგწევს, თუ თამაშის უნარი გაქვს, ერთი ხელის მოსმით საყვარელ საქმიანობაზე უარის თქმა მეტად ძნელია. ამიტომაც შვებულების ხარჯზე იუგოსლავიის ჩემპიონატშიც ჩავები და გერმანიის საკურორტო ქალაქ ბად-ვილდბადენში გამართულ ვეტერან მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატზეც. ორივეგან გავიმარჯვე. ვეტერანთა ჩემპიონატზე ჩემს გამოსვლას სიამოვნებით შეხვდნენ, მაგრამ იქ ჩემი გამოჩენა მგონი, ყველას არ გაუხარდა. ყოველ შემთხვევაში, ტატიანა ზატულოვსკაიამ დამინახა თუ არა, ჩემსკენ გამოქანდა, და პირდაპირ მომახალა, აქ რამ ჩამოგიყვანა, განა ტიტულები გაკლიაო? ისე კი, ვეტერანთა შორის მსოფლიო ჩემპიონის სახელი მართლაც მაკლდა. გამარჯვებისთვის მშვენიერი თასი გადმომცეს და თამაშებმაც დიდი სიამოვნება მომანიჭა“, – გვიამბო მაშინ ნონა გაფრინდაშვილმა, რომელსაც გული სწყდება, რომ ჭადრაკი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში არ არის.

„მწყინს, რა თქმა უნდა, ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი ხომ ყველა სპორტსმენის ოცნებაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ოლიმპიური ჩემპიონი მუდმივი ჩემპიონია. ამიტომაც ოლიმპიური ჩემპიონობა სპორტში უმაღლეს გამარჯვებად ითვლება.

სამწუხაროდ, სპორტის ზოგი სახეობა ოლიმპიური თამაშების პროგრამისკენ გაჭირვებით იკაფავს გზას, ნაწილს კი დღემდე მიზნისთვის ვერ მიუღწევია. ჭადრაკი სპორტისა და კულტურის სინთეზია. სპორტი და კულტურა კი ანტიკური ხანიდან განუყოფელნი არიან. თანამედროვე ოლიმპიური თამაშებიც კულტურული პროგრამის გარეშე არ არსებობს. ამიტომ ჭადრაკი უნდა იყოს ოლიმპიური სახეობა. ირკვევა, რომ ჭადრაკი ფეხბურთის შემდეგ ყველაზე მასობრივი სახეობაა.

იქ, სადაც არის პაექრობა, სადაც არის მსაჯი, არის გამარჯვებული და დამარცხებული, არის მედლები და თასები, იქ არის სპორტი. თუ სპორტია მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული ცეკვები და მისთანანი, სადაც სპორტისა და ხელოვნების სინთეზია, ხელოვნებასთან შერწყმულმა ჭადრაკმა რაღა დააშავა?

ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ჭადრაკს, ალბათ, მწვანე ოლიმპიადაზე მივუჩენდი ადგილს, რადგან სითბო მოჭადრაკეებსაც სჭირდებათ. მჯერა, რომ ადრე თუ გვიან ეს ასეც მოხდება“.

ნონა გაფრინდაშვილმა ჭადრაკს მთელი ცხოვრება შეალია და რაღა საკვირველია, რომ მასზე ასეთი სითბოთი და სიყვარულით საუბრობს...

არც ის იყო უცნაური, რომ მან ერთი შეხედვით მოულოდნელი, საქართველოს მოქალაქეთათვის მეტად არაორდინალური, მოჭადრაკეთა ენაზე რომ ვთქვათ, სვლა გააკეთა და სეოკ-ის 5 წლიანი პრეზიდენტობის მერე თავის სავარძელზე უარი თქვა, რითაც ყველა სახტად დატოვა – აბა, ჩვენს ქვეყანაში მანამდე თავის სავარძელზე საკუთარი ნებით რომელ პრეზიდენტს, მინისტრს, თავმჯდომარეს, დირექტორსა თუ სხვა ხელმძღვანელს უთქვამს უარი?

მაგრამ ნონა გაფრინდაშვილი ხომ ყველგან და ყველაფერში პირველია და ამ საქმეშიც პირველი აღმოჩნდა. პრეზიდენტად თავის მემკვიდრესაც თავადვე გაუწია რეკომენდაცია.

1996 წლის შემოდგომაზე კოპენჰაგენში ნონა გაფრინდაშვილს ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი წვლილისათვის ამ კონტინენტის ეოკ-თა ასოციაციების უმაღლესი ჯილდო გადაეცა.

გამოხდა ხანი და მექსიკის ქალაქ კანკუნში მსოფლიოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაცია საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელს თავისი საპატიო ორდენით აჯილდოებს.

კანკუნიდან თბილისში დაბრუნებულმა ნონა გაფრინდაშვილმა რამდენიმე დღის შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩის ხელმოწერით ფაქსი მიიღო. სამარანჩი ქალბატონ ნონას აცნობებდა და ულოცავდა ამ ფრიად ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის უმაღლესი ჯილდოთი – ოქროს ოლიმპიური ორდენით დაჯილდოებას.

ამგვარად, ნონა გაფრინდაშვილი ჩვენს ქვეყანაში გახდა საერთაშორისო ოლიმპიურ ორგანიზაციათა ასეთი ჯილდოების კოლექციათა პირველი მფლობელი.

* * *

ნათქვამია, წინმავალი კაცი უკანას ხიდიაო. სწორედ ასეთი წინმავალი ადამიანია ნონა გაფრინდაშვილი, რომელმაც მომავალი თაობებისთვის მტკიცე ხიდი გადო. ამ ხიდმა არაერთი და ორი აიყვანა ოლიმპოზე, კიდევ ბევრნი ავლენ, მაგრამ ისინი ათგზის და მეტგზის ჩემპიონებიც რომ გახდნენ, ნონა გაფრინდაშვილი მაინც პირველი იქნება. ამაში მას ვეღარავინ შეეცილება.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

ავტორის თავაზიანი ნებართვით ჟურნალ „ოლიმპიელიდან“ მცირე შემოკლებით გადმობეჭდილი ნარკვევის ბოლოს დავუმატებთ, რომ ნონა გაფრინდაშვილი უკვე გახლავთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პირველი ქალბატონი-პრეზიდენტი.

სურათებზე: (ზემოთ) ნონა თავის ძმებთან ერთად; ნონა გაფრინდაშვილი – უნივერსალური სპორტსმენი.

მიხეილ ზარზარიანის ფოტო.







## პრაქტიკა

# შედევრის განმეორებაც შედევრია?

პარტია, რომელსაც ახლა გაეცნობით, ავსტრიის გუნდურ პირველობაზე გათამაშდა. ვინ იცის, რამდენჯერ შეხვედრიან ერთმანეთს გეორგ დანერი (დაიბ. 1946 წ) და ანდრეას დიუკშტაინი (დაიბ. 1927 წელს), ეროვნული ნაკრების წევრები, მაგრამ ასეთი ლამაზი კომბინაცია მათ პარტიებში პირველად შეგვხვდა. დანერმა მას თავისი „საუკუნის პარტია“ უწოდა.

დანერი – დიუკშტაინი

ლაზიერის პაიკის დასაწყისი

1. d4 e6 2. მf3 მf6 3. e3 c5 4. კd3 მc6 5. 0-0 d5 6. b3 კe7 7. კb2 0-0 8. მbd2 b6 9. მe5 ლc7 10. a3

სვლის მიზანი ნათელია: რათა შავებმა ცენტრალური პაიკის გაცვლის შემდეგ არ ითამაშონ მb4 თეთრი კუს გაცვლის მიზნით.

10. ... კb7 11. f4 ეad8 12. ლe2 მd7

„ალტმაისტერ“ (ასე ეძახიან გერმანულენოვან ქვეყნებში ვეტერან ოსტატებს) დიუკშტაინს რომ სცოდნოდა, რა ელოდა, ამ სვლის ნაცვლად აუცილებლად გაცვლიდა მხედარს.

13. მd7 ეd7 14. dc კc5 15. b4 კd6



16. კh7!

მსგავსი კომბინაცია მსოფლიო ჩემპიონმა ემანუელ ლასკერმა 1889 წელს ამსტერდამის საერთაშორისო ტურნირზე განახორციელა ბაუერის წინააღმდეგ

16. ... მფh7 17. ლh5 მფg8 18. კg7!

იმ ადრინდელ შეხვედრაში ბაუერმა მიიღო მეორე კუს შეწირვაც და სწრაფად წააგო. დიუკშტაინი სხვა გაგრძელებას ირჩევს, მაგრამ ეს არაფერს ცვლის – თეთრები ლამაზად აგვირგვინებენ პარტიას.

18. ... f6 19. ლh8 მფf7 20. კf8 კf8 21. მf3! მფe7 22. b5!

რათა მხედარმა ველარ დაიცვას e5 უჯრა.

22. ... მd8 23. მe5! და შავები დანებდნენ.

თუ 23. ... fe 24. fe და შავები ველარ აიცილებენ შამათს. თუ 24 ... მf7, მაშინ 25. ეf7 მფf7 26. ეf1 და შავები იძულებული არიან მეფით g6 უჯრაზე გადაინაცვლონ, სადაც სულ მალე შამათს მიიღებენ.

გივი გამრეკელი.

## წარსულის ფურცლები

# პირველი დიდი პაექრობა თბილისში

## ანდრია დადიანის დაბადების 150 წლისთავის გამო



1878 წელს თბილისში ჩამოვიდა რუსეთის ლეიბ-გვარდიის ოფიცერი ანდრია დადიანი. რა თქმა უნდა, ჭადრაკის მოყვარულებმა მოიწადინეს მისი შეხვედრა თბილისის უძლიერეს მოჭადრაკესთან ვექილ ა. სმიტენთან. პეტერბურგელ სტუმარს არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო და მეტოქენი შეებნენ ერთმანეთს.

ამ მიმზიდველი პაექრობის თვითმხილველებმა არ შემოგვინახეს ცნობები თუ სად შედგა მატჩი, ვინ ესწრებოდა და რა პირობით მიმდინარეობდა ბრძოლა. დიდი რუსი მოჭადრაკის მ. ჩიგორინის ჟურნალი „შახმატნი ლისტოკი“ (1878 წ. № 5-6) მხოლოდ იმას გვაუწყებს, თამაში შვიდ მოგებამდე იყოო.

28 წლის ანდრია სამეგრელოს უკანასკნელი მთავრისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი გახლდათ. მან ბავშვობაში ისწავლა თამაში, ხოლო გერმანიასა და საფრანგეთში, სადაც ზაფხულობით ცხოვრობდა მისი ოჯახი, დაოსტატდა ცნობილ მოჭადრაკეებთან პაექრობაში. სხვათა შორის, მას რამდენიმე პარტია ჰქონდა მოგებული იმდროინდელ გამოჩენილ დიდოსტატ უნგრელ ი. კოლიშთან და ფრანგ დიდოსტატ ს. როზენტალთან. ჰეიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტში სწავლისას მეგობრობდა მოჭადრაკეებთან, რომელთა შორის ფრანგული საჭადრაკო ჟურნალის „სტრატეჟიეს“ რედაქტორი ჟან პრიტიც იყო. ჟანს ძალიან მოსწონდა ქართველი მეგობრის პარტიები, რომლებიც დიდი მოჭადრაკეების ა. მორფისა და ა. ანდერსენის სტილით იყო ნათამაშევი და მათ თავის ჟურნალში აქვეყნებდა. ამან, რასაკვირველია, სახელი გაუთქვა ანდრიას. რუსეთში დაბრუნებისას უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ახალგაზრდამ არმიაში აირჩია სამსახური, მაგრამ ჭადრაკისთვის თავი არ დაუნებებია. ცარსკოე სელოდან, სადაც იდგა მისი ლეიბ-გვარდიის პოლკი, იგი ხშირად ჩადიოდა პეტერბურგში.

ყოველივე ეს იცოდნენ ა. სმიტენმა და მისმა მეგობრებმა. მატჩმა უფრო დააინტერესა ყველა, როცა მსუბუქი პარტიების თამაშისას ა. სმიტენმა ერთი პარტიით მეტი მოიგო.

ორთაბრძოლა დაძაბულად წარიმართა. მ. ჩიგორინის ჟურნალი წერს: „სმიტენთან მატჩში თავადმა დადიანმა გაიმარჯვა, მან მოიგო პირობის მიხედვით 7 პარტია, 6 წააგო და ერთი ყაიმით დაამთავრა“.

როგორც ჩანს, შედეგმა ვერ დააკმაყოფილა მეტოქენი. ისინი შეთანხმდნენ, უახლოეს ხანში კვლავ ეპაექრათ, მაგრამ ეს დრო მთელი 10 წლით გაიჭიმა.

ამ ხნის მანძილზე ა. დადიანი უფრო დაოსტატდა გამოჩენილ მოჭადრაკეებთან შეჯიბრებებში. იგი ხან რომში, ხან ლონდონში, ხან რიგასა და ხან პარიზში მოგზაურობდა. 1881-82 წლის ზამთარში ა. დადიანი მონაწილეობდა პეტერბურგის საჭადრაკო კლუბის ორ ტურნირში და ორივეჯერ დაუმარცხებლად პირველი ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ რომში ყაიმით დაამთავრა მატჩი გამოჩენილ იტალიელ მაესტრო ს. დიუბუასთან.

1888 წლის ზაფხულში ა. დადიანი კვლავ ჩამოვიდა თბილისში. უკვე სახელგანთქმულ მოჭადრაკეს პატივისცემით შეხვდნენ. იგი ეწვია მშობლების ოჯახის დიდ მეგობარს ილია ჭავჭავაძეს. მწერალს რა თქმა უნდა, ახსოვდა სტუდენტობის წლებში პეტერბურგში გაცნობილი პატარა ანდრია, რომელიც მუდამ ჭადრაკს ჩაჰკირკიტებდა. თვითონ მასაც აინტერესებდა ჭადრაკი. უნდა ვიფიქროთ, დიდი ილია და მისი მეგობრები ვანო მაჩაბელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები დაესწრებოდნენ სასიქადულო მოჭადრაკის მეორე მატჩს სმიტენთან. სხვათა შორის, ვანო მაჩაბელი ძმასთან (ვასო მაჩაბელი კარგი მოჭადრაკე გახლდათ) ერთად საფრანგეთსა და გერმანიაში მოგზაურობისას შეხვედრია ა. დადიანს და მასთან ჭადრაკიც უთამაშია.

მეტოქენი შეთანხდნენ კვლავ შვიდ მოგებამდე ეთამაშათ. 5 ივნისს გაითამაშეს კიდეც პირველი პარტია.

ჩვენ მივაგენით ამ მატჩის ყველა პარტიის ჩანაწერს ზუგდიდის მუზეუმში, ა. დადიანის ხელნაწერებში.

პირველი პარტია ანდრიამ სამ საათში მოიგო. მომდევნო შეხვედრა ექვს საათს გაგრძელდა და 66-ე სვლაზე სმიტენმა თავი დამარცხებულად ცნო. მესამე და მეოთხე პარტიებში სმიტენმა ენერგიულად ითამაშა და გაიმარჯვა. მეხუთე პარტია ყაიმით დაამთავრეს.

როგორც ჩანს, სტარტზე ნერვულმა დაძაბულობამ დალალა სმიტენი. დადიანმა ადვილად მოიგო მეექვსე პარტია. მართალია, მეშვიდე პარტიაში იგი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, მაგრამ იერიშის გონებამახვილური განვითარებით მაინც სძლია მოწინააღმდეგეს და კვლავ დაწინაურდა – 4,5:2,5.

აი, მეშვიდე პარტია, რომელიც საუკეთესოა მატჩში.

ა. სმიტენი – ა. დადიანი

13-14 ივნისი, 1888 წ.

1. e4 d6 2. d4 g6 3. კd3 კg7

საინტერესოა, რომ ფიგურების განვითარების ეს სისტემა ამჟამად დიდი პოპულარობით სარგებლობს, იმ დროს კი ახალი ხილი იყო.

4. მf3 e5 5. კe3 მc6 6. c3 მf6 7. ლd2 (უკეთესი იყო 7. h3) 7. ... მg4 8. 0-0 მe3 9. fe 0-0 10. მa3 b6

შავებმა ოდნავ უკეთესი პოზიცია მიიღეს. ახლა ემზადებიან პაიკზე თავდასხმისათვის. მათი მიზანია გამოიწვიონ პაიკის წინსვლა, რაც შესაძლებელს გახდის იერიშს მეფის ფრთაზე.

11. მc2 კb7 12. ეae1 ლd7 13. d5 მe7 14. c4 f6

ძველად მსგავს პოზიციურ სვლებს იშვიათად აკეთებდნენ. ეს მით უმეტეს გასაკვირია დადიანის მხრიდან, რომელიც ჩქარობდა ხოლმე მეტოქის მეფის დალაშქვრას, მაგრამ, ამავე დროს, ღრმად სწვდება პოზიციას და გონივრულად ამზადებს იერიშს. იგი ფიგურებს თავს უყრის მეფის ფრთაზე

15 b3 ეf7 16. ეe2 ეaf8 17. ეaf2 ლg4 18. მe1 ლh5 19. კe2 ლh6 20. ეf3 კe8 21. ეg3 g5!

ამ სვლას თვით დადიანმა დაუსვა ძახილის ნიშანი.

22. ეff3 ლg6 23. ლd1 (ცხადია, არ შეიძლება 23. ... ლe4 24. კd3-ის გამო) 24. ეf5!

კონტრთამაშის საუცხოო შანსი, მაგრამ შავები ფხიზლობენ. ეტლის აყვანას მოჰყვებოდა 25. კh5 გართულებებით.

24. ... g4 25. ეf1 f5 26. ef მf5 27. მd3 მg3 28. hg კh6 29. ეe1 კf5 30. ლd2 კe4! 31. ლd1 ეf3!

შესანიშნავი კომბინაციაა. ეტლის აყვანას მოსდევს თეთრი მეფის პოზიციის გახსნა და მისი სწრაფი დამამათება, მაგრამ თეთრების პოზიცია ისედაც წაგებულია.

32. მფh2 ეf21 სმიტენი დანებდა.

ამ პარტიის წაგებამ გატეხა სმიტენის წინააღმდეგობა. მან მერვე პარტიაც წააგო. მეცხრე და მეათე პარტიებში ყაიმზე შეთანხმების შემდეგ დადიანმა მოიგო მეთერთმეტე და მეთორმეტე პარტიები და მატჩიც შეწყდა – 8,5:3,5.

ინგლისურმა საჭადრაკო ჟურნალმა „ჩესს მონსლიმ“ რამდენიმე წლის შემდეგ ქებით მოიხსენია ა. დადიანის თამაში ამ მატჩში.

ა. დადიანისა და ა. სმიტენის ორი მატჩი თბილისის საჭადრაკო წარსულის ყველაზე დიდი ასპარეზობაა, რომელმაც ხელი შეუწყო ჭადრაკით დაინტერესებას თბილისში.

თენგიზ გიორგაძე.

## კომპოზიცია

# ფართო დიაპაზონის შემოქმედი



ნათქვამია: სიკეთე და ღვაწლი არასოდეს იკარგება.

მხოლოდ 80 წლის შემდეგ, 1973 წელს შევიტყვეთ, რომ **ივანე ტყეშელაშვილის** ამოცანა იყო ქართველი პრობლემისტის პირველი ნაწარმოები, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა.

თვით ავტორის ცხოვრება-მოღვაწეობა მხოლოდ 1995 წელს გახდა ცნობილი. იგი გამოაქვეყნა ქართული ფარმაცევტიის წარსულის მკვლევარმა, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატმა კოტე ცხადაძემ გაზეთ „წამალმცოდნეობის გონების კარში“ (№ 3. ნოემბერი, 1995 წ.).

ამ ამბავს ქართული საჭადრაკო კომპოზიციისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქმე ისაა, რომ საქართველოში საჭადრაკო კომპოზიციის საამოცანო ნაწარმოებთა ათვლა ივანე ტყეშელაშვილის ამოცანით იწყება. მართალია, მანამდე (1892 წ.) ანდრია დადიანმა გამოაქვეყნა თავისი ამოცანა ჟურნალ „ჩესს მანსლში“ (ინგლისი), მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე კომპოზიციის თეორიის მკაცრ მოთხოვნებს. ი. ტყეშელაშვილის ამოცანა კი კლასიკურს მიეკუთვნება.

ვინ იყო ივანე ტყეშელაშვილი, ჰქონდა თუ არა მას შედგენილი სხვა ამოცანებიც?

ივანე სოფრომის ძე ტყეშელაშვილი დაიბადა 1864 წლის 1 აგვისტოს ქუთაისში, მაღლაკელი ხის ოსტატის ოჯახში. 1885 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. მუშაობდა თბილისში აივაზოვის თავისუფალ აფთიაქში. უმაღლესი განათლების მისალებად მოსკოვს გაემგზავრა. აფთიაქარის პრაქტიკული გამოცდილების შეძენის პარალელურად წარმატებით ჩააბარა გამოცდები მოსკოვის უნივერსიტეტში და ფარმაცევტის დამხმარის წოდება მიიღო. ცოდნის გაღრმავების მიზნით ივანე ტყეშელაშვილმა პეტერბურგს მიაშურა, იქაც გამოიჩინა თავი მუყაითობითა და საქმისადმი ერთგულებით, რაც დაუფასდა კიდეც: 1891 წელს ფარმაცევტთა დამხმარე საზოგადოებამ გამოუყო მას სპეციალური სტიპენდია უმაღლესი ფარმაცევტული განათლების მისაღებად. ნიჭიერი ყმაწვილი მაშინვე დაბრუნდა მოსკოვის უნივერსიტეტში, დაამთავრა და პროვიზორის დიპლომიც მიიღო. 1899 წლის 28 აპრილს ივანე ტყეშელაშვილმა დაიცვა სამაგისტრო (საკანდიდატო) დისერტაცია. ასე გახდა ფარმაცევტთა შორის პირველი ქართველი მაგისტრი.

ივანე ტყეშელაშვილმა დიდი სახელი და პატივი მოიხვეჭა 1901 წელს, როცა მოსკოვში ფარმაცევტულმა საზოგადოებამ მისი თაოსნობით დიდი ზეიმით აღნიშნა რუსეთში პირველი თავისუფალი აფთიაქის 200 წლისთავი. ივანემ ისტორიულ მასალებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში მიაკვლია.

დიდი წამალმცოდნე ნიჭიერი კაცი იყო. იგი გახლდათ მოგზაური, ეთნოგრაფი, ბოტანიკოსი, ჩინებული ფოტოგრაფი, კინოსცენარების ავტორი და ჟურნალისტი. გამოსცემდა წიგნებს. აინტერესებდა პოლიტიკა, ლიტერატურა. მეგობრობდა პირველ ქართველ მოქანდაკეს იაკობ ნიკოლაძეს, დიდ ქართველ კომპოზიტორს ზაქარია ფალიაშვილს. ყველაფერს, რასაც ხელი მოჰკიდა, თავისი კვალი დაამჩნია. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ჯერ სათანადოდ არ არის შესწავლილი და დაფასებული, ისე, როგორც მისი მასწავლებლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ი. ტყეშელაშვილი,
„შახმატნი ჟურნალ“
სანქტ-პეტერბურგი, 1893 წ.



შამათი ორ სვლაში

ჭადრაკიც ივანე ტყეშელაშვილის გატაცება გახლდათ. არ შეიძლება, რომ მას მხოლოდ ერთადერთი ამოცანა შეედგინა, უთუოდ სხვა ამოცანებიც ექნებოდა, მაგრამ მათ ჯერ ვერ მიაგნეს. იმედია, ამ საიდუმლოსაც აეხდება ფარდა.

ივანე ტყეშელაშვილმა ცხოვრების გზა ტრაგიკულად დაასრულა 78 წლის ასაკში, 1942 წელს თბილისში, როცა იგი, როგორც ეჭვმიტანილი სუკ-ის აგენტებმა დააპატიმრეს.

ნინო იმესაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აგარაკი

# კინოხელოვანთა სოფელი — ბროწეულა

„ჟიგულის“ მარკის მანქანა უხარისხო ბენზინის „წყალობით“ ვიბრაციებით ნელა, სვენებ-სვენებით შეუყვა აღმართს. თუ აქამდე გზა საინტერესო საუბარში შეუმჩნევლად მიილია, ახლა ამ პატარა მონაკვეთის გადალახვა მაგდანას ლურჯასავით გაჯიქებულ მანქანას (ეს პარალელი აქ შემთხვევით არ გამივლია) საკმაოდ გაუჭირდა.

არადა, აქედან ხელის ერთი გაწვდენაღაა დარჩენილი იმ მეტად ორიგინალური სახელწოდების მქონე დასახლებულ პუნქტამდე, რომელსაც დღეს, სანთლით რომ ეძებოთ, ვერც ერთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დანაყოფში ვერ იპოვით. თუმც, აქვე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, როგორც ამ სოფლის სახელი, ისე აქაური მკვიდრნიც ჩვეულებრივი სოფლის მცხოვრებთაგან — მიუხედავად იმისა, რომ ისინიც დღენიადაგ მიწას არიან შეჭიდებულნი და მსხვილფეხა საქონელსაც უვლიან — მაინც საგრძნობლად განსხვავდებიან.

თბილისიდან 25 კილომეტრის დაშორებით, ლოჭინის ხევს შეფენილი, ისტორიულად ცნობილი მარტყოფის თემში შემავალი ეს სოფელი დღეს თავისი სათუთად მოვლილი ბაღ-ვენახებით გამვლელ-გამომვლელის ყურადღებას რომ იქცევს, მეუბნება ჩემი მეგზური, კინოდოკუმენტალისტი გივი ყურული — სათავეს თურმე 1969 წლიდან იღებს. სწორედ მაშინ, როცა აქ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუშაკებისათვის მიწის ნაკვეთები გამოუყვიათ, ჩაყრია საფუძველი დღეს უკვე 400-კომლიან კინოსოფელ ბროწეულასაც (ამ სოფლის ორმაგმა სახელწოდებამ შეიძლება მკითხველში საყოველთაოდ ცნობილ ფილმ „ცისფერ მთებთან“ ერთგვარი ასოციაციაც კი გამოიწვიოს). ერთ დროს ამ ხრიოკი ადგილის წალკოტად ქცევა კი ჩვენი კინომოღვაწეების დამსახურებაა.

სოფლის ახალგაზრდა მკვიდრთ, რომელთა შორის ბევრი მშობლების კვალს გაჰყვა, დღესაც კარგად ახსოვთ, შემოქმედებითი წვისაგან თავისუფალ დროს, საკუთარ ნაკვეთში, ფუტკარივით მოფუსფუსე, მუდამ დინჯი და ჩაფიქრებული ეროსი მანჯგალაძე და ყოველთვის იუმორის გრძნობით დამუხტული იპოლიტე ხვიჩია, ყველასათვის საყვარელი კაკო კვანტალიანი და კოლორიტული კოტე დაუშვილი, ქართული კინოს ღვაწლმოსილი კინორეჟისორები ნიკოლოზ სანიშვილი და დავით რონდელი, რეზო ჭარხალაშვილი და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ საკმაოდ გახმაურებული და აღიარებული ფილმების შემქმნელი თენგიზ აბულაძე, კინოდოკუმენტალისტები მამა-შვილი გიორგი და ირაკლი ასათიანები, ოპერატორი ფელიქს ვისოცკი და მხატვარი რეზო მირზაშვილი (რომელმაც თავის ვაჟთან, გამორჩეული ხელწერის მქონე ნიჭიერ მხატვართან თენგიზ მირზაშვილთან ერთად შესანიშნავად გააფორმა თენგიზ აბულაძის „ვედრება“), რომლებსაც თავიანთი შემოქმედებითი საქმიანობით ღირსეული წვლილი აქვთ შეტანილი ქართული კინოს საერთაშორისო მაშტაბით აღიარების საქმეში.

ამ ადამიანების ღვაწლის ნიშნად კი ახლა კინოსოფელ ბროწეულას ქუჩებს სწორედ მათი სახელები ამშვენებს.

აქვე არ შეიძლება ორიოდე თბილი სიტყვით არ მოვიხსენიოთ არქიტექტორი ავთანდილ ხოფერია, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის კინოხელოვანთა სოფელ ბროწეულას დაგეგმარების საქმეში. მას კი სამომავლოდ უფრო დიდი სამუშაო ელის, რადგან მათ, როგორც გივი ყურელმა მითხრა, კულტურის ცენტრის აგება, დასვენების ზონის კეთილმოწყობა და ეკლესიის აშენებაც აქვთ თურმე გადაწყვეტილი.

თავისუფალ დროს აქ (ეს დრო კი, სამწუხაროდ, ქვეყნად შექმნილი დუხჭირი ყოფიდან გამომდინარე, სტუდიის დაუფინანსებლობის გამო, ახლა ქართული კინოს მუშაკებს თავზე საყრელი აქვთ) ხშირად ნახავთ საკუთარ ნაკვეთში საქმიანობით გართულ რეზო ჩხეიძეს და რეზო ესაძეს, ნანა მჭედლიძეს და ლია ელიავას, თენგიზ არჩვაძეს, ზურაბ ქაფიანიძეს და იმედო კახიანს, დუდუხანა წეროძეს და სხვებს.

თუ ბედმა გაგიღიმათ, აქვე, გამორიცხული არ არის, საფრანგეთში „გადახვეწილი“ და შინ „სტუმრად“ ჩამოსული ჩვენი სახელოვანი თანამემამულე ოთარ იოსელიანიც რომ იხილოთ, რომელსაც იქ არც სამუშაო და არც აღიარება აკლია (ეს უკანასკნელი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მას არც აქ აკლდა), მაგრამ ეს მას სულაც არ უშლის ხელს სამშობლოდან შორს ქართული საქმის კეთებაში.



ჩვენმა დღევანდელმა დუხჭირმა ყოფამ კი, გამოთქმა — ზოგი ჭირი მარგებელიაო, გაამართლა და ბევრ მათგანს მიწისადმი ბავშვობისდროინდელი სიყვარული კვლავ გაუღვივა და ახლა, ძირითადი საქმიანობის პარალელურად, ამ „იძულებით“ საქმიანობასაც თავს შესანიშნავად ართმევენ.

წარმოშობით საჩხერელი დიმიტრი ნოზაძე, რომელიც კინოსტუდიაში წლების მანძილზე დეკორატორად მუშაობდა, ცხოვრებამ დღეს ნამდვილ ფერმერად აქცია. გამრჯე შრომის წყალობით მას ახლა შესანიშნავად მოწყობილი მეურნეობა აქვს. ბატონი დიმიტრი იმ დღესაც საკუთარ კარმიდამოში საქმიანობდა და ჭიშკართან მანქანით ჩაველილთ მანამ არ მოგვეშვა, სანამ სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან საკუთარი ხელით დაწურული ღვინო არ დაგვაჭაშნიკებინა და ფუძე არ დაგვალოცინა. ამ ახალ საქმიანობაში დიმიტრის როდი ჩამორჩება სტუდიის მექანიკური საამქროს ყოფილი უფროსი იუზა ქურციკიძე, რომელსაც ასევე შესანიშნავ მეურნედ იცნობენ სოფელში. დღეს მას საკუთარი გარჯის წყალობითა და გამორჩეული პირადი თვისებების გამო, ყველა დიდ პატივს სცემს და არაოფიციალურად სოფლის თავკაცადაც კი მიიჩნევენ.

ჩვენი მასპინძელი ნოდარ ქუთათელაძე ასევე კინოსტუდიის ძველი მუშაკია, რომელიც, შეიძლება ითქვას, სრულიად შემთხვევით, თავისი ახლო ნათესავის კაკო კვანტალიანის წყალობით მოხვდა თავის დროზე კინოსტუდიაში და ამ დიდი შემოქმედებითი კოლექტივის სრულუფლებიანი წევრი გახდა. ნოდარი წლების მანძილზე სარემონტო-სამშენებლო საამქროს ხელმძღვანელი იყო და საქმეც, რომ იტყვიან, თავზე საყრელი ჰქონდა. გადამღები ჯგუფების შეკვეთების საფუძველზე სწორედ მისი უშუალო ხელმძღვანელობით დამზადებული დეკორაციებია გამოყენებული ფილმებში „დიდოსტატის მარჯვენა“, „მაია წყნეთელი“, და „მაცი ხვიტია“, რომლებმაც დიდად განაპირობეს მათი წარმატება. იგი ახლაც სიამოვნებით იგონებს სტუდიაში გატარებულ წლებს და საინტერესოდ ყვება გადაღებების დროს ცნობილ მსახიობებთან თავსგადახდილ კურიოზულ შემთხვევებს, ხოლო ხობში იოსავების ეკლესიის ტერიტორიაზე მის მიერ გურანდუხტის სასახლის სარეკორდოდ მცირე დროში აგებაზე (ფილმისათვის „მაცი ხვიტია“) კი არაფერს ამბობს. უსაქმობას ის არც ახლა უჩივის და მთელ თავისუფალ დროს საკუთარ ნაკვეთში ატარებს.

თუ დღეს ქართველ კინოხელოვანთა კინოსოფელი ბროწეულა მყარად დგას ფეხზე, ეს დღენიადაგ მასზე მზრუნველი ადამიანების დამსახურებაა, რომელთა შორის განსაკუთრებული წვლილი კინოსტუდიის ხელმძღვანელობასთან ერთად გამგეობის თავმჯდომარე გივი ყურელსაც მიუძღვის, რომლის უშუალო მონდომებითა და ძალისხმევით თავის დროზე ბევრი რამ გაკეთდა ამ სოფლის სასიკეთოდ. სწორედ მისი ინიციატივით მოეწყო აქ ქარსაცავი ზოლი. ახლა კი სოფლის ხელოვნურ გბაში თევზის მოშენებასაც აპირებენ. სამომავლოდაც ბევრი კარგი ჩანაფიქრი აქვთ, რომელთაგან ყველაზე მთავარი კინოსტუდიასა და კინოსოფელ ბროწეულას შორის ავტობუსის მარშრუტის დანიშვნას ითვალისწინებს. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა კი დღეს ორ ფრონტზე მშრომელი ჩვენი კინოსტუდიის მუშაკებისათვის ნამდვილად ძვირფასი საჩუქარი იქნება. თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, ხაზს საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით თავად კინოსტუდია უზრუნველყოფს. ამით კი, ბევრ მათგანს, ახლა ნაკვეთში უტრანსპორტობის გამო მისვლა რომ უჭირს, ეს პრობლემა მოეხსნებოდა.

**თეიმურაზ კინწურაშვილი.**

**სურათზე:** სოფელ ბროწეულას მკვიდრ ქართველ კინოხელოვანთა ერთი ჯგუფი.

## თარიღი

# მსოფლიოში ტყის აღდგენის უნიკალური მეთოდი ქართულია

(მეშვიდე გვერდიდან)

იგი სპეციალურ სატყეო ლიტერატურაში უკვე ცნობილია, როგორც დეგრადირებული ტყეების განახლება-აღდგენის ფერდობის დასწვრივ ორიენტირებული დერეფან-კულისების მეთოდი, მის შესაბამისად დეგრადირებულ ტყეებში დერეფნებს კაფავენ ფერდობის დასწვრივ — ქვემოდან ზემო მიმართულებით. დერეფნებისათვის ყველაზე მისაღები გამოდგა სიგანე, რომელიც სარეკონსტრუქციო ტყის კორომის საშუალო სიმაღლის ტოლია. დერეფნებს შორის მოუჭრელად ტოვებენ იმავე სიგანის ტყის ზოლებს (კულისებს). ასეთ ორგანიზებულ დერეფნებში ხდება ეკოლოგიურ ფაქტორთა ისეთი შეთანაწყობა, რომ ფორმირდება მერქნიანი სახეობების აღმოცენება და ნორჩნარის ზრდის ხელისშემწყობი გარემო პირობები, რაც საბოლოოდ დერეფნებში კარგ ბუნებრივ განახლებას განაპირობებს და რასაც, უაღრესად, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ფერდობის გარდიგარდმო გაკაფულ დერეფნებთან შედარებით, რომლებიც მთელი დღის განმაელობაში მცხუნვარე მზის სხივებითაა განათებული, ფერდობის დასწვრივი დერეფნები სრულად განათებული მხოლოდ შუადღის საათებშია, დანარჩენ დროში ზომიერადაა მოჩრდილული ტყის კედლებით. აღნიშნული განათების რეჟიმი სრულიად ხელსაყრელია აღმონაცენის ზრდა-განვითარებისათვის.

დერეფნებში უკიდურესად მაღალი და დაბალი ტემპერატურები პრაქტიკულად არ აღინიშნება, ზომიერდება ქარის რეჟიმი, ზამთარში ფორმირდება თოვლის მყარი საფარი, ნიადაგის ტენიანობის დინამიკა ხელსაყრელია მერქანში სახეობების ზრდისათვის, დერეფნებში გამორიცხულია ნიადაგის წყლისმიერი ეროზიის პროცესების წარმოქმნა-განვითარების ალბათობა.

ყოველივე ეს რეალობაა და დამტკიცებულია ფართო მასშტაბის საწარმოო გამოცდების შედეგებით.

ხსენებული მეთოდების დამუშავებით გადაწყდა საშვილიშვილო, უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის ფართო მასშტაბით დანერგვა სულ რაღაც 2-3 ათეულ წლებში შესაძლებელს გახდის მინიმუმამდე დავიყვანოთ დეგრადირებული ტყეების ფართობები.



აღწერილი პროგრესული მეთოდის შემოქმედს, ბატონ შალვა ხიდაშელს ამ დღეებში 75 და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა. დარწმუნებული ვართ, რომ მეტყევე პროფესიონალთა მრავალათასიანი კოლექტივი და ფართო საზოგადოებრიობა გაგებით მოეკიდება იმას, თუ მის მიერ გაწეული ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის შედეგები, განსაკუთრებით კი აღწერილი მეთოდების მეტად წონადი პოტენციალი მთავრობის შესაბამისი ჯილდოთი აღინიშნება, პრაქტიკოს მეტყევეებს კი მოვუწოდებთ, გულდასმით გაეცნონ აღნიშნულ მეთოდს და ფართოდ დანერგონ მეტყევეობაში, ვინაიდან იგი საშვილიშვილო საქმეა.

**გიორგი გაგოშიძე,**
პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის დეკანი.

## ღიმილი



— გამარჯობა, ნიკოლოზო, რასა იქმ, როგორა ხარ?
— ჰა და ჰა, ჯერჯერობით ცოცხალი ვარ.
— ცოცხალი ხარ და, პენსიას დაემშვიდობე...

როლანდ ბასილაშვილის ტექსტის მიხედვით.
ედუარდ ამბოკაძის ნახატი.

სარედაქციო კოლეგია:
როლანდ ბასილაშვილი (რედაქტორი), ნაზი იმნაიშვილი, გივი მელიქიშვილი (ტექნიკური რედაქტორი), სპარტაკ ქობულია, ლია ჭილლაძე.

საზღვარგარეთ

საქართველოს რესპუბლიკა
№102-103. კვირა-ორშაბათი, 16-17 აპრილი, 2000 წელი.




მაიაკოვსკის თვითმკვლელობის მიზეზებზე რამდენიმე წიგნი და აურაცხელი საგაზეთო სტატია დაიწერა. ასე რომ, ყველა ვერსია ცნობილია. მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ, საკითხს მეორე მხრიდან მივდგომოდით.

მაიაკოვსკი მხოლოდ ერთია იმ ასობით შესანიშნავ მწერალთაგან, ვინც საკუთარი ხელით მოისწრაფა სიცოცხლე. რატომ არის, რომ პოეტები ასე იშვიათად კვდებიან „თავიანთი სიკვდილით?" და რატომ ხდება მათი დაღუპვის მიზეზი ასე ხშირად სუიციდი?. სწორედ ამის შესახებ ვესაუბრებით გრიგოლ ჩხარტიშვილს, წიგნის „მწერალი და თვითმკვლელობა" ავტორს.

*— თუ შეიძლება, როგორმე დაკლასიფიცირდეს მწერალთა თვითმკვლელობანი და როგორია ყველაზე გავრცელებული მოტივი?*

## მწერალთა თვითმკვლელობების ყველაზე უცნაური შემთხვევები

ვირჯინია ვულფი მძიმე დეპრესიებს იყო აყოლილი. საყვარელი ძმისწულის სიკვდილი, მერე კი მეორე მსოფლიო ომის დაწყება ნერვულ სტრესს დაემთხვა. და ნერვებმა ველარ გაუძლეს: მწერალმა ქალმა ქვებით გამოიტენა კაბის ჯიბეები და წყალს მისცა თავი.

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ჯეკ ლონდონი ურემიული ინტოქსიკაციით მოკვდა. მაგრამ, როდესაც მისი სხეული იპოვეს, იქვე ნახეს ფურცელი, რომელზეც ჩამოწერილი იყო მორფიუმის მომაკვდინებელი დოზის გაანგარიშება, ირგვლივ კი ეყარა საძინებელი წამლის ცარიელი შუშები.

ალექსანდრე რადიშჩევმა, „პეტერბურგიდან მოსკოვს მოგზაურობის" ავტორმა, ჯერ საწამლავი დალია და მერე შეეცადა, ვენებიც გადაეჭრა. ძირითადი მიზეზი: რადიშჩევს უთხრეს, რომ მეორედ უკრავდნენ თავს ციმბირში, და ხელახალი დამცირების დამუქრებაც კი საკმარისი გამოდგა მისი ნატანჯი ფსიქიკისათვის.

ლუი ბუსენარმა, კლასიკური სათავგადასავლო რომანების ავტორმა, ჭამა შეწყვიტა და შიმშილით მოკვდა. იქამდე კი მეგობრებს დაუგზავნა ბარათები: „ლუი ბუსენარს აქვს პატივი, მოგიწვიოთ სამოქალაქო პანაშვიდზე, რომელიც გაიმართება (შემდეგ მისამართი ეწერა). მას ვერ აუტანია ცოლის სიკვდილი და ტოვებს აქაურობას 62 წლისა".

# მაიაკოვსკი სიკვდილს ეთამაშებოდა

## რატომ არის, რომ მწერლები ასე ხშირად იკლავენ თავს?

— მწერალთა თვითმკვლელობის სურათი, ზოგადად, იმეორებს საზოგადოების სუიციდურ სტრუქტურას – ოღონდ, ხელოვანი კაცი უფრო მეტად აზვიადებს თავის უბედურებას, ხოლო თვითმკვლელობის წმიდა წყლის „სამწერლო" მოტივაცია სულ სამია:

– შემოქმედებითი კრიზისი („რაღაზე ვწერო?", – ამბობდა მაიაკოვსკი),

– ემიგრაცია – მწერლისთვის აუტანელია არსებობა თავისი მშობლიური ენობრივი გარემოს მიღმა;

– სახიფათო ტენდენცია საკუთარი ბიოგრაფიის გადაქცევისა ლიტერატურულ ნაწარმოებად, როდესაც ზოგჯერ ეფექტიანი ფინალის გულისათვის ზვარაკად იყენებ საკუთარ სიცოცხლეს.

ჩემს წიგნში შევეცადე, გამომეყო ყველაზე გავრცელებული მიზეზი, რომლის გამოც იკლავდნენ თავს ლიტერატორები. რა თქმა უნდა, აქ არის გარდაუვალი გამარტივება, რაც, ასე თუ ისე, პოლიტიკასთან არის დაკავშირებული.

*— თქვენ აღწერთ მწერლების თვითმკვლელობათა ასობით შემთხვევას. ბევრი ფრიად ეგზოტიკურია. ვთქვათ, ნიკოლა ქილბერმა გადაყლაპა იმ სკივრის რკინის გასაღები, რომელშიც ხელნაწერები ინახებოდა. რა შემთხვევები მოგეჩვენათ პირადად თქვენ ყველაზე შემზარავად?*

— რუსი მწერლის ნიკოლოზ უსპენსკის სიკვდილი, რომელიც საყვარელი ცოლის გარდაცვალების შემდეგ გალოთდა და სმას გადაჰყვა: დადიოდა სამიკიტნოებში, უამბობდა ცნობისმოყვარეებს ჭიქა არყის სანაცვლოდ თავშესაქცევ ისტორიებს და რაღაც განსაკუთრებით საზიზღრად მოიკლა თავი – სანაგვეზე ბლაგვი ჯაყვით ყელი გამოიღადრა: იქამდე თანამეინახეს სამართებლის ფული სთხოვა, იმან კი არ მისცა: „ჯაყვითაც იოლას გახვალო".

*— მაიაკოვსკის თვითმკვლელობაზე ბევრი რამ დაიწერა. თქვენ კი მისი სიკვდილის საკუთარ ვერსიას გვთავაზობთ. როგორია იგი?*

— მე არ გახლავართ მაიაკოვსკის ბიოგრაფიის სპეციალისტი, ამიტომ მხოლოდ შევაჯამებ იმას, რაც წამიკითხავს. სუიციდური მოტივები მაიაკოვსკის შემოქმედებასა და ქცევაში ადრეული ასაკიდან ვლინდებოდა. („გული ფანცქალით მოელის ტყვიას, დანას იხვეწება ყელი..."). ლილია ბრიკი წერდა: „თვითმკვლელობის ფიქრი მაიაკოვსკის ქრონიკული სენი იყო და როგორც ყოველი ქრონიკული სენი, ისიც მწვავდებოდა ხოლმე გარემოებათა გამწვავებისას... ეს გაუთავებელი ლაპარაკი თვითმკვლელობაზე ნამდვილი ტერორი იყო!". ახალგაზრდობაში, მაიაკოვსკისავე თქმით, ორჯერ უსინჯია „რუსული რულეტის" თამაში. მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ 1930 წლის 30 აპრილს პოეტმა გადაწყვიტა, მესამედ ეცადა ბედი – არა იმდენად – მოეკლა თავი, რამდენადაც სიკვდილს გათამაშებოდა.

სუიციდისათვის მას არ ჰქონდა საკმარისი საფუძველი. ბედის შესამოწმებლად – საბოლოოდ შეაქცია ზურგი თუ ერთხელ კიდევ გაუღიმებდა – კი საკმარისად ჰქონდა.

აი, ამ ვერსიის არგუმენტები: „რუსული რულეტის" ორი წინა სეანსი. და სიკვდილის წინ დაწერილი ბარათის ყოვლად უცნაური ტონი, რომელიც არანაირად არ შეესაბამება მისი ვაჟკაცური პიროვნების მასშტაბს: უმაქნისი, ფაცაფუცა დეტალები, თავმოწონება და კოხტაობა, სახელდახელოდ გადაკეთებული ტაეპი, რომელიც სულ სხვა რაღაცაზე ჰქონდა დაწერილი... ისეთი შეგრძნება გეუფლება, რომ ეს იყო არა სიკვდილის წინ დაწერილი ბარათი, არამედ რაღაც ფორმალობის დაცვა კაცისაგან, რომელიც სულაც არ აპირებს რამდენიმე წუთში მოკვდეს. და, რაღა თქმა უნდა, მესამე: რევოლვერის ლულაში იყო ერთადერთი ვაზნა, რაც სერიოზული სუიციდენტის მხრივ უაღრესი წინდაუხედაობა იქნებოდა. თავი მოიკლა, მეტადრე, როცა გულში იმიზნებ, არც ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება გეჩვენოს.

**ჩემდათავად, დავძენ: ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ვერსია, და სხვისი გონება სხვაგვარად ახსნის სიკვდილისწინა ბარათსაც და „უმაქნის" დეტალებსაც. მწერლები თავიანთი სიკვდილითაც კი გასაქანს აძლევენ სხვა მწერლების შემოქმედებას, წერს დენის კორსაკოვი 14 აპრილის „კომსომოლსკაია პრავდაში".**

**სურათზე: ვლადიმერ მაიაკოვსკი და მისი სიკვდილისშემდგომ გაკეთებული ნიღაბი.**

### დოსიე

**გრიგოლ ჩხარტიშვილი არის მთარგმნელი, „ინოსტრანნაია ლიტერატურას" მთავარი რედაქტორის მოადგილე, იაპონიის სპეციალისტი. ფართო საზოგადოებრიობისათვის ჩხარტიშვილი ცნობილია ბორის აკუნინის ფსევდონიმით: გამოქვეყნებული აქვს ისტორიული დეტექტივების სერია მაძებარი ერასტ ფანდორინის შესახებ.**

### მწერალთა სიკვდილისწინა ბარათები

„ჩემი სიკვდილის მიზეზია გერმანელი პოეტი ჰაინე, რომელმაც გამოიგონა კბილის ტკივილი გულში", — დაწერა 19 წლის მაქსიმ გორკიმ და გულის ფიცარში ტყვია იკრა. საბედნიეროდ, ექიმებმა გადაარჩინეს.

„ჩემს სიკვდილს ნურავის დააბრალებთ. მისი მიზეზები სრულიად განყენებულია და საერთო არა აქვთ რა „ადამიანურ ურთიერთობებთან". ეს სიტყვები აღებულია ოცი წლის ალექსანდრე ბლოკის გამოსათხოვარი ბარათიდან, რომელიც ლუბა მენდელეევასთან გადამწყვეტი ახსნის წინ დაწერა. საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა და ბლოკმა თავის მოკვლა გადაიფიქრა.

„ამ ქვეყანაზე აღარ მეცხოვრება, ვინაიდან ხელოვნება, რომელსაც მთელი ჩემი არსება შევწირე, დაღუპეს პარტიის ხეპრე და უმეცარმა ხელმძღვანელებმა და ახლა უკვე აღარაფერი ეშველება..." — დაწერა ალექსანდრე ფადეევმა და ტყვია იკრა.



# სათათბირომ მოიწონა მეორე ხელშეკრულება

**პარასკევს რუსეთის პარლამენტმა რატიფიკაციაჰყო ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ. რატიფიკაციას მხარი დაუჭირა 288 დეპუტატმა, წინააღმდეგი იყო 151. დოკუმენტის მოწონების წინააღმდეგ გამოვიდა კომუნისტური ფრაქციის წევრთა უმრავლესობა მისი ლიდერის გენადი ზიუგანოვის მეთაურობით. ქვედა პალატის სპიკერს გენადი სელეზნიოვს არ მიუღია კენჭისყრაში მონაწილეობა.**

სხდომის წინ დეპუტატებს მიმართა პრეზიდენტად არჩეულმა ვლადიმერ პუტინმა. კენჭისყრის შედეგების გამოცხადების შემდეგ პუტინმა თქვა, რომ მიესალმება რუსეთის სათათბიროს გადაწყვეტილებას, ვინაიდან მე-2 ხელშეკრულების რატიფიკაცია არათუ არ მოასწავებს რუსეთის ბირთვული ძალების შესუსტებას, არამედ, პირიქით, ხელს შეუწყობს ახალი რესურსების გამოყოფას მათი მოდერნიზაციისა და განმტკიცებისათვის.

მე-2 ხელშეკრულებას ჯერ კიდევ 1993 წელს მოაწერეს ხელი რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტებმა ბორის ელცინმა და ჯორჯ ბუშმა. ამერიკის სენატმა იგი 1996 წელს მოიწონა. დოკუმენტის შესაბამისად, 2007 წლის დამლევისათვის ორი ქვეყნის ბირთვული არსენალები უნდა შემცირდეს 3500-3500 ბირთვულ ქობინამდე.

ნატოს გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი მიესალმა სათათბიროს გადაწყვეტილებას და განაცხადა: ხელშეკრულების რატიფიკაცია მოწმობს, რომ ვლადიმერ პუტინი კარგად აკონტროლებს სიტუაციას და რომ პრეზიდენტი და პარლამენტი ერთსულოვანნი არიან. როგორც ბი-ბი-სის ბრიუსელი კორესპონდენტი იუწყება, ნატოს ხელმძღვანელობამ გამოთქვა იმედი, რომ განახლდება ურთიერთობა, რომელიც იუგოსლავიის ომისა და ჩეჩნეთის კამპანიის გამო შეწყდა.



მიუხედავად ამისა, ბრიუსელში ესმით, რომ რუსეთის პოზიცია შეიარაღების შემცირების საკითხში უშუალოდ უკავშირდება ამერიკელი სამხედროების გეგმებს. სათათბირომ ხელშეკრულება რატიფიკაციაჰყო რამდენიმე დამატებითი პირობითურთ. პარლამენტმა რუსეთს დაუტოვა უფლება, გამოვიდეს მე-2 ხელშეკრულებიდან იმ შემთხვევაში, თუ აშშ უარს იტყვის მეორე მნიშვნელოვანი შეთანხმების – რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების შესრულებაზე.

პენტაგონი რამდენიმე წელიწადია, მოითხოვს სანქციებს ეგრეთ წოდებული „შეზღუდული რაკეტსაწინააღმდეგო პროგრამის" შესამუშავებლად და სურს, შეცვალოს 1972 წელს დადებული ხელშეკრულების ტექსტი, რათა განალაგოს სისტემა, რომელიც აშშ-ს დაიცავს ეგრეთ წოდებული „მოკვეთილი ქვეყნების" მხრივ მოსალოდნელი სარაკეტო თავდასხმისაგან. მაგრამ მოსკოვი ამტკიცებს, რომ ხელშეკრულების ასეთმა შეცვლამ შეიძლება, აალორძინოს გამალებული შეიარაღება. ხელშეკრულების მიღებული ტექსტი შეიცავს, აგრეთვე, ნატოს იმ შესაძლო მოქმედების დამოწმებას, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას რუსეთის ეროვნულ უშიშროებას.

**ამერიკის შეერთებული შტატები მიესალმა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა გადაწყვეტილებას, დაემტკიცებინათ მე-2 ხელშეკრულება. პრეზიდენტმა კლინტონმა განაცხადა, რომ იგი მსოფლიოს უფრო უსაფრთხოს გახდის და განამტკიცებს სტრატეგიულ პარტნიორობას დემოკრატიულ რუსეთთან. ამასთან, ხაზი გაუსვა, რომ სათათბიროს გადაწყვეტილება გზას უხსნის ახალ ნაბიჯებს ბირთვული იარაღის შესამცირებლად.**

# ერიდეთ „სანიმუშო ყოფაქცევის" ხალხს!



აშშ საზღვაო ფლოტის ყოფილ ოფიცერს, 26 წლის ჯონ ერიკ არმსტრონგს ბრალად ედება 12 მეძავის მკვლელობა

სექსუალურ ნიადაგზე სიკვდილი, დეტროიტში, ჰონოლულუში, ნიუ-პორკში, ჰავაიზე, ტაილანდში, ჰონკონგსა და სინგაპურში. იგი 8 წელიწადს მსახურობდა ამერიკის „ნიმიტც" ავიამზიდზე მესამე კლასის ოფიცრად და სწორედ ამან მისცა შესაძლებლობა, ეხოცა მეძავები სხვადასხვა ნავსადგურებში. პოლიციამ დაადგინა, რომ არმსტრონგი ყოველთვის მოქმედებდა ერთი სქემით – ახრჩობდა მეძავს. მაგრამ რამდენიმე მსხვერპლმა, რომელთა შორის იყო ტრანსვესტიტი მამაკაცი, შეძლო, გაქცეოდა მანიაკს. პოლიციამ დეტროიტში აღმოაჩინა სამი უკანასკნელი მსხვერპლის გვამები, რომლებიც დაახლოებით 3 კვირის წინათ იყვნენ მოკლულნი. მანიაკი სრულიად ბანალურად აღმოჩნდა პოლიციის ხელში: მისი სახე გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ფოტორობოტს, რომელიც გადარჩენილი მეძავის აღწერის მიხედვით შეადგინეს. გადამღვარი ოფიცერი მიხვდა, რომ ციხეში დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა, და დაიწყო ჩვენებების მიცემა. გამოირკვა, რომ მას ჰყოლია ცოლშვილი და მიღებული ჰქონდა ორი სამხედრო მედალი „სანიმუშო ყოფაქცევისათვის". იგი უკვე გამოტყდა 20 მკვლელობაში, მაგრამ პოლიციამ ჯერჯერობით მხოლოდ 12 დაადგინა. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ განაცხადა, რომ განზრახული აქვს, ამ საქმესთან დაკავშირებით ითანამშრომლოს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობასთან და პოლიციასთან.

# რადუევი აჭიკჭიკდა

**რუსეთის უშიშროების სამსახურის საგამოძიებო იზოლატორში მყოფი სალმან რადუევი ალაპარაკდა. მან აღიარა ყიზლარის ლაშქრობის ორგანიზება და დაადასტურა სხვა ტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობა. გარდა ამისა, დაიწყო ჩვენებათა მიცემა მოსკოვში აფეთქებულ სახლებთან დაკავშირებული ფაქტების გამო.**



ჩეჩენი ტერორისტი სალმან რადუევი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ შეიპყრეს და ახლა „ლეფორტოვის" საგამოძიებო იზოლატორში იმყოფება, ჩვენებებს იძლევა. კერძოდ, მან უკვე აღიარა, რომ „ჯოჰარ დუდაევის ბრძანებით მოაწყო მოთარეშეთა რაზმის ლაშქრობა ყიზლარში".

მეგახსენებთ, რომ 1996 წლის 9 იანვარს რადუევისა და გელისხანოვის ხელმძღვანელობით ბოევიკები თავს დაესხნენ დაღესტნის ქალაქ ყიზლარს. ისინი რამდენიმე ჯგუფად დაიყვნენ და გადაწყვიტეს, იერიში მიეტანათ ქალაქის საჰაეროსაწინააღმდეგო... სამეეულმფრენო ბაზაზე. მათი მოქმედება უშედეგო გამოდგა, მაგრამ ტერორისტებმა შეძლეს, დაეკავებინათ სამშობიარო სახლი და საავადმყოფო, სადაც ახლომახლო საცხოვრებელი სახლებიდან შეყარეს ათასამდე მძევალი. მოქმედების ბოლო ეტაპზე რადუევმა შეცვალა დაჭრილი საველე მეთაური ხუნკარ-ფაშა ისრაფილოვი, რომელიც ოპერაციას ხელმძღვანელობდა. უნდა ითქვას, რომ ყიზლარზე რადუევის რეიდმა ძალზე გაამწვავა მოთარეშეთა ურთიერთობა მრავალეროვანი დაღესტნის მცხოვრებლებთან და გაუფუჭა ადგილობრივ მოსახლეობასთან დამოკიდებულება რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩეჩნებს.

რადუევი არ უარყოფს, რომ მონაწილეობდა მთელ რიგ ტერორისტულ ოპერაციებში, მაგრამ ამას იგი მიიჩნევს არა „სისხლის სამართლის დამნაშავის, არამედ პოლიტიკური მებრძოლის მოქმედებად".

დაკითხვების დროს რადუევმა დაასახელა, აგრეთვე, ზოგიერთი თანამონაწილე, მაგალითად, საველე მეთაური ხუნკარ-ფაშა ისრაფილოვი, რომელიც „უშუალოდ ლაშქრობის სამხედრო ნაწილისათვის აგებდა პასუხს და 2000 წლის იანვარში დაიღუპა გროზნოდან გასვლის მცდელობისას".



ახლა, ალბათ, გაირკვევა მოსკოვის საცხოვრებელი სახლების აფეთქებებთან დაკავშირებული ფაქტები, როდესაც სამასზე მეტი კაცი დაიღუპა. რადუევი უკვე იძლევა ჩვენებებს ამ მოვლენებთან დაკავშირებით, და უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელობის აზრით, დაპატიმრებულს „აქვს გარკვეული ინფორმაცია ტერორისტული ცენტრის „კავკასიის" საქმიანობის შესახებ".

უშიშროების სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რადუევი თავს ჯანმრთელად გრძნობს, ხელები არ უკანკალებს, ნარკოტიკებთან ურთიერთობის არავითარი ნიშნები არ შეემჩნევა".

# აღმოჩენილია სამყაროს კიდე

**ჩიკაგოს უნივერსიტეტის ასტრონომებმა განაცხადეს, რომ მათ აღმოაჩინეს სამყაროს ყველაზე შორეული ობიექტი დაკვირვების მთელი ისტორიის მანძილზე. საქმე ეხება კვაზარს, რომელიც 26 მილიარდ სინათლის წელიწად მანძილზეა.** ანგარიშში, რომელიც მაიკლ ტერნერმა წარმოადგინა, ნათქვამია, რომ, როგორც ჩანს, აღმოჩენილმა კვაზარმა გამოსხივება დაიწყო იმ დროს, როდესაც სამყაროს ასაკი მილიარდ წელიწადს არ აღემატებოდა. თანამედროვე შეფასებებით, სამყაროს ასაკი შეადგენს 14 მილიარდ წელიწადს, 2 მილიარდამდე ცდომილებით (თუ დიდი აფეთქების თეორიას დაეუჯერებთ). ტერნერის თქმით, იმ მომენტში, როდესაც კვაზარმა გამოსხივება დაიწყო, იგი დედამიწისაგან 4 მილიარდ სინათლის წელიწად მანძილზე იყო. მაგრამ სამყაროს გაფართოების კვალობაზე სულ უფრო სცილდებოდა. „როდესაც ესოდენ შორეულ ობიექტებზე ელაპარაკობთ, ყოველთვის უნდა ვიღებდეთ მხედველობაში ამ გაფართოებას", – თქვა მან.

# სიზარმაცე ჯანმრთელობის საწინდარი ყოფილა

**საჭმლის ნარჩენებმა შეიძლება გამოიწვიონ რესპირატორული დაავადებები და ასთმის შეტევები. სახლებში, სადაც ამ ნარჩენებს დანარჩენი ნაგვისაგან ცალკე ინახავენ, ტოქსინების კონცენტრაცია 5-8-ჯერ მეტია, ვიდრე, იქ, სადაც ერთ გროვად ყრიან.**

ასეთი დასკვნა გამოიტანეს პოლანდიელმა მეცნიერებმა – ვაგენინგის უნივერსიტეტის სწავლულებმა, როდესაც დაინტერესდნენ ქრონიკულ რესპირატორულ დაავადებათა ზრდის მიზეზით. საქმე ის არის, რომ ამ დაავადებათა მატება შეიმჩნევა მას შემდეგ, რაც პოლანდიაში ექვსი წლის წინათ დაიწყეს ნაგვის დახარისხება – სასურსათო ნარჩენების არასასურსათოსაგან დაცალკევება.

ალმოჩნდა, რომ საჭმლის ნარჩენებში (ბანანის ნაფცქვენი, კარტოფილის ნათალი და ა. შ.) აქტიურად მრავლდება ბევრი სენგამომწვევი ბაქტერია და ობი. ეს ნათელი გახდა პოლანდიელთა სახლებში აღებული საოჯახო მტვრის სინჯების კვლევის შედეგად. მტვერში ეძებდნენ ენდოტოქსინებს – ბაქტერიების ცხოველქმედების პროდუქტებს, და გლიკანებს – ნახშირწყალ-



ბადებს, რომლებიც სხვადასხვა სახეობათა ობის გარსში შედის. ერთიც და მეორეც პროვოკაციულად იწვევს ხველების შეტევას, გაძნელებულ სუნთქვას და ზოგჯერ ფილტვებისა და ყელის ანთებას. თურმე, იმ სახლებში, სადაც სასურსათო ნარჩენები ცალკე ავზში ინახებოდა, ამ სამიშ ნივთიერებათა კონცენტრაცია გაცილებით უფრო მაღალი ყოფილა, ვიდრე „ზარმაცი" დიასახლისების სამზარეულოში, რომლებიც ნაგავს არ ახარისხებენ. თუ კვების ნარჩენები საგანგებო ავზის გარდა, იატაკზე ხალიჩაც არის დაგებული, მაშინ სენგამომწვევ ნივთიერებათა კონცენტრაცია მტვერში კიდევ რამდენიმე ასეულჯერ მატულობს.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ტენიანი ლპობადი საჭმლის ნარჩენები საუცხოო მასაზრდოებელი გარემოა მიკროორგანიზმებისათვის. ამიტომ ავადმყოფობათა თავიდან აცილების ერთადერთი ხერხია – რეგულარულად დააცარიელონ საჭმლის ნარჩენების ავზი საცხოვრებელი მასივიდან მოშორებით.

რუსეთში რამდენჯერმე სცადეს, მოქალაქეებისათვის ჩვევად გამოემუშავებინათ ნაგვის ცალცალკე დახარისხება, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია: თავი იჩინა ცნობილმა რუსულმა დაუდევრობამ და, შესაძლოა, სიზარმაცემ, რაც ამ შემთხვევაში ჯანმრთელობისათვის სასარგებლო გამოდგა.

# ახალი აშშ — აფრიკის შეერთებული შტატები



ლიბიაში დაიწყო აფრიკული და არაბული ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრა. დელეგატების დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა ლიბიის ლიდერის კადაფის მოწოდებას, შეიქმნას აფრიკის შეერთებული შტატები. როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტი იუწყება, ამ შეხვედრაზე აფრიკელებს მიეცათ შესაძლებლობა, განიხილონ თავიანთი პრობლემები ევროპელი ლიდერების ჩაურევლად, რომლებიც დომინირებდნენ კაიროს აფრიკა-ევროპის შეხვედრაზე. ნამიბიელმა დელეგატმა თქვა, რომ აფრიკისათვის ყველაზე მთავარია, მიაღწიოს ეკონომიკურ გადარჩენას, ბოლო მოუღოს შიდსს და ჩამოიწეროს საგარეო ვალი.

# დემონსტრაცია ბელგრადში

სერბეთში ასი ათასამდე კაცმა გამართა შუა ბელგრადში უდიდესი დემონსტრაცია პრეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩის წინააღმდეგ. პროტესტს მხარი დაუჭირეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა, რომლებმაც იანვარში გააფორმეს კოალიციური შეთანხმება. ოპოზიციის წამყვანმა ლიდერებმა ვუკ დრაშკოვიჩმა და ზორან ჯინჯიჩმა, რომლებიც აქამდე ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ, დემონსტრანტებს მოუწოდეს, იღვაწონ ვადამდელი არჩევნების მოსაწყობად. სხვა გამომსვლელები მილოშევიჩის მთავრობას კაცისმკვლელებისა და ტერორისტების ხროვას უწოდებდნენ. ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რომ ეს დემონსტრაცია მათი დიდი წარმატებაა.

# აშშ: მკვეთრად დაეცა აქციების კურსი

**შეერთებულ შტატებში მკვეთრად დაეცა აქციების, მეტადრე, ახალი ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის სფეროში დასაქმებული კომპანიების ქაღალდების კურსი.** ნაზდაკის ინდექსმა, სადაც მაღალტექნოლოგიური კომპანიები სჭარბობენ, აღრიცხა კურსის დაცემა თითქმის 10 პროცენტით. ეს ყველაზე დიდი დაწევაა ერთი დღის მანძილზე ნაზდაკის ისტორიაში. ამ კვირის განმაელობაში აქციების ღირებულება ნაზდაკის ბაზარზე მეოთხედით შემცირდა, ვინაიდან ინვესტორები შიშობენ, რომ ინტერნეტ-კომპანიების აქციები მეტისმეტად გაბერილია. დოუ-ჯონსის ინდექსი ასევე დაეცა 5 პროცენტით მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ფასების მოსალოდნელზე უფრო სწრაფი ზრდის მონაცემები. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა შიში, რომ ფედერალური რეზერვი გაზრდის ინფლაციის ალაგმვის კრედიტის პროცენტს.

* * *

 გუშინ ვაშინგტონში გამართულ შეხვედრაზე მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების ფინანსთა მინისტრები განიხილავდნენ აქციების უეცარ დაცემას ნიუ-იორკის ბირჟაზე. დაიწყო დიდი შვიდეულის ფინანსთა მინისტრების თათბირები სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან. ვაშინგტონში უზრუნველყოფენ უსაფრთხოების სპეციალურ ღონისძიებებს, ვინაიდან შეხვედრასთან ერთად ეწყობა მასობრივი საპროტესტო აქციები ეკონომიკური გლობალიზაციის წინააღმდეგ.



უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვებიან

არჩილ მანჯგალაძე, ლევან ბოჭორიშვილი.

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მესამეკურსელები: პირველ რიგში, მარცხნიდან: მერაბ მგალობლიშვილი, კიმი მანჯგალაძე, ჯუბა წულაია.
მეორე რიგში – ნოდარ წულაია, გოგი ქურიძე.
თბილისი, 1955 წელი.

სურათი მოგვაწოდა მერაბ მგალობლიშვილმა.

მკითხველებს შევახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.

ტელ: 99-66-10.

*მკითხველებს, რომელთა მოწოდებული ფოტოები დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, ვთხოვთ, მოაკითხონ დედნებს.*

## სულიერება

# მუსიკალური მომლოცველობა დაიწყო

(პირველი გვერდიდან)

იმ დღეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბოდბის წმინდა გიორგის ეკლესიაში ლოცვა აღავლინა და შემდეგ აჟღერდა მუსიკა. ულამაზეს, თვალწარმტაც გარემოს უმშვენიერესი, ზეაწეული ჰანგები მოეფინა – იოზეფ ჰაიდნის „იესო ქრისტეს ბოლო შვიდი სიტყვა" (მეშვიდე სიტყვა) და ანტონიო ვივალდის „წელიწადის დრონი", ჭეშმარიტად მაღალმხატვრული შესრულებით, მიუხედავად ღია ცის ქვეშ მუსიცირების სირთულისა. ამიტომაც ეგებებოდნენ მუსიკოსებს ოვაციით, ამიტომაც არ წყდებოდა აღფრთოვანებული აუდიტორიის ტაში. დიახ, ეს დღე სულიერების ზეიმი გახლდათ.

– ჩვენ გვინდა, რომ წმინდა ნინოს სული წაგვიძღვეს იერუსალიმისკენ, – თქვა ქალბატონმა ლიანამ, ადამიანმა, შემოქმედმა, რომელმაც ღვთისადმი მადლიერების გამოხატვის ბრწყინვალე ფორმა აირჩია.

კონცერტის დასასრულს, საქართველოს პატრიარქმა წმინდა გიორგის ხატი გადასცა ლიანა ისაკაძეს, სიღნაღის გამგებელმა მალხაზ ბეგიაშვილმა კი, მუსიკოსისთვის ღვთისმშობლის ხატის გადაცემით გამოხატა ხალხის მადლიერება.

მუსიკალური მომლოცველობა დაიწყო. გუშინ მუსიკოსები გერმანიაში გაემგზავრნენ.





ზურაბ ოიკაშვილი.

## ხსოვნა

### თემურ კახაძე



ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ჩვენგან წავიდა კეთილშობილი, შრომისმოყვარე ადამიანი, მეგობარი და თანამშრომელი – **თემურ კახაძე**, რომელიც ორ ათეულ წელზე მეტი ემსახურა ქალაქის გზების კეთილმოწყობას.

სინანული და უზომო მწუხარება დაგვიტოვა მისმა გარდაცვალებამ.

თემურ კახაძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულებში.

საგზაო კომპანია „თბილისი"

## გახსენება

### ნური მხეიძე



უეცრად მოვარდნილი ყოვლისწამლეკავი გრიგალი შენი საბინადრო წალკოტიდან უცებ ხრიოკ უდაბნოში რომ გადაგისვრის, ისე რადიკალურად შეიცვალა ჩემთვის ყველაფერი ამ რვა თვის წინათ. ვერაფერი შეედრება იმ გაუსაძლის ტკივილს, უშენოდ არსებობის, და არა ცხოვრების, რვა თვემ რომ მარგუნა, **ნური**. ჩემს გულს სამარადჟამოდ პირმოუკრავ იარად ატყვია იგი...

აპრილში დაბადებულს ბუნებამ ყველა სიკეთე და იშვიათი ადამიანური ღირსებები დაგანათლა. ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი ხანა ჩვენი ერთად ყოფნის 25 წელიწადი იყო. არ გვჭირდებოდა გრძნობების სიტყვებით გამოხატვა, ერთმანეთს თვალებით ვუგებდით. უბედნიერესი ქალი ვარ, რომ შენებრ გამორჩეული პიროვნების სიყვარული დავიმსახურე, სიყვარული, რომელიც ერთგულებაზე, გულწრფელობაზე, მეუღლის გაღმერთებაზე იყო დაფუძნებული.

შენთან ყოფნის ყოველი წუთი დიდ ბედნიერებას მაზიარებდა, შენს გვერდით თავს დედოფლად ვგრძნობდი, რომელსაც, საკმარისი იყო ენატრა და, ყველაფერი აუხდებოდა. შენით ვიყავი ამაყი და ზვიადი, ოდიშური გენის მატარებელი დიდი ოჯახის დიასახლისი. თავადური სისხლი გიჩქეფდა ძარღვებში, რაინდული სული, თავდაჯერებულობით გაჯერებული სიტყვა-პასუხიც გამშვენებდა. მუდამ კაცურად იზიარებდი მოყვასის სალხენ-სატკივარს, ამიტომაც უამრავი მეგობარი გყავდა, რომელთაგან ღირსეულნი შენს ხსოვნას დღესაც გულით ატარებენ და ყველანაირად ცდილობენ შენს ოჯახს უშენობა როგორმე შეუმსუბუქონ. მე მათი დიდი მადლობელი ვარ.

ამაყობდი შენი ოჯახით. შვილებსაც მუდამ უთქმელად ესმოდათ შენი, ახლა კი განსაკუთრებით უფრთხილდებიან ყველაფერს შენთან დაკავშირებულს. შენი ერუდირებული და ჭკვიანი მემკვიდრე ლევანი, შენი „თავადის ქალი" – სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი ნინიკო ყველაფერს აკეთებენ მამის ხსოვნის პატივსაცემად...

მიმძიმს, გაუსაძლისად მიმძიმს და მტკივა, მაგრამ ყველაფერს გავუძლებ ბავშვებისთვის, შენი ხსოვნის ნათელსაყოფად და ჩვენი დიდი ოჯახის მომავლისთვის. მადლობელი ვარ, დღესაც რომ არ მტოვებ, ასე ხშირად მეცხადები და მაძლევ იმ დიდ ენერგიას, ურომლისოდაც უშენობას ვერ გავუძლებდი.

**მარად შენზე მლოცველი, შენი ხსოვნისთვის შესაწირად გამზადებული ერთგული მეუღლე.**

მედეა ქანთარია.

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსს სულხან პაპაშვილს ბიძის

იმედი ალექსანდრეს ძე ალშიბაიას

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ბატონ ავთანდილ დემეტრაშვილს სიდედრის

ალისა მუსხელიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ქ. თბილისის ისნის რაიონის პროკურატურის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე რაიონის პროკურორის ზვიად შუშანაშვილის მამა

ალექსანდრე შუშანაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ბიძაშვილები ლილი, ანდრო და გივი კიკნაველიძეები ოჯახებით იუწყებიან ყველასათვის ძვირფასი

შურა ანტონის ასულ კიკნაველიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ღიმილის დოზა



ქვრივი:
– საწყალი ჩემი ქმარი ისე მიყვარდა, რომ მზადა ვარ საფლავში ჩავყვე.
– მაშ! იქ მაინც მოასვენე ის საცოდავი!

* * *

ანგელოსი გამოეცხადა სიზმარში ჭაბუკს:
– შენ მოწამის ცხოვრებითა ცხოვრობ და ღმერთი სათანადოდ დაგაჯილდოვებს. შემიძლია აგიხდინო სამი სურვილი. თქვი, რა გსურს – იყო სახელოვანი, მდიდარი, ბრძენი თუ ძლიერი?

იფიქრა ჭაბუკმა და ბრძენიო, უპასუხა.

გახდა მართლაც არაჩვეულებრივად გონიერი.

– ახლა, როდესაც ბრძენთაბრძენი ხარ, – ჰკითხა ანგელოსმა, – რას იტყვი?

და უპასუხა ჭაბუკმა:
– ნაღდი ფულით უნდა ამეღო...

* * *

მისეირნობს უკრაინელი კიევში გალამაზებულ კრეშჩატიკზე. უცებ ჩიტმა დაასკლინტა.

მოიწმინდა ხოხოლმა სკლინტი. აიხედა, დაინახა, რომ ეს უკადრისი საქმე ბულბულს უქნია:
– შე თავხედო, – შესძახა, – ჩვენ, უკრაინელებს აქ გვასკლინტავ, და იქ, მოსკოვში რუსებს კი უგალობ!

## კროსვორდი



თარაზულად: 5. იტალიელი დირიჟორი, ცხოვრობდა აშშ-ში. 10. ფილმის – „ფრთხილად ბანდიტებო" დამდგმელი იტალიელი კინორეჟისორი. 11. რისამე ბოლოზე ჩამოსაცმელი ამოღრუებული საგანი. 12. შეუსაბამობა, უაზრობა. 13. კომედიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში. 14. აბრეშუმის ან ბამბის მტკიცე ქსოვილი. 15. სურათი ან სახე, რომელიც შედგენილია ცემენტის ფენაზე დამაგრებული, ერთმანეთთან მჭიდროდ მიწყობილი ფერადი კენჭების, სხვადასხვა ფერის მინის, მარმარილოს, ემალის ან მისთანათა პატარ-პატარა ნაჭრებისაგან. 17. მაღალი თანამდებობის პირის მხლებლები. 18. რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ნიშნავს მონარქთან მყოფს, სამეფო კარისას. 19. რელიგიური მსახურება ღვთაებისადმი. 23. მომკილი პურის ღეროები. 26. შეკრულ-შეფუთული ნივთი, რომელიც სადმე იგზავნება. 27. თხრობითი, გაულექსავი ლიტერატურა. 28. გაიძვერული ხერხი რისამე მისაღწევად. 29. ხელოვნური ბოჭკო, მატყლის შემცველი. 30. მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი. 32. გამოძალვა აშშ-ში (ფულისა და სხვ.) 33. ადამიანი, რომელსაც აკისრია უცხო სახელმწიფოსთან ურთიერთობა.

შვეულად: 1. წყალში მოცურავე ფრინველი. 2. ამერიკელი კინორეჟისორი. 3. პოლიტიკური, საზოგადო მოღვაწის, ცნობილი პიროვნების საუბარი ჟურნალისტთან, კორესპონდენტთან – პრესაში გამოსაქვეყნებლად ან რადიო-ტელევიზიით გადასაცემად. 4. სუბტროპიკული მცენარე. 6. ძველი ბერძნების სიმებიანი მუსიკალური საკრავი. 7. სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი ხერხი ლიტერატურასა და ხელოვნებაში – უარყოფითი საზოგადოებრივი მოვლენების დაუზოგავი დაცინვა, გაკიცხვა. 8. ამა თუ იმ დამწერლობაში გამოყენებული ასოების ერთობლიობა, რომელიც გარკვეული თანმიმდევრობით არის დალაგებული. 9. სახუმარო შინაარსის მცირე საესტრადო პიესა. 15. ჯადოქრობა, მისნობა. 16. ამერიკელი კინომსახიობი და რეჟისორი. 19. დროებითი სადგომი. 20. ხელსაწყო მონოქრომატული სინათლის არაჩვეულებრივად ინტენსიური და ვიწრო კონის მისაღებად (დიდი გამოყენება აქვს ტექნიკაში, მედიცინაში და სხვა.) 21. სხვა ქალაქიდან ან სხვა ქვეყნიდან ჩამოსული მსახიობის ან მსახიობთა კოლექტივის (თეატრის, ანსამბლის) გამოსვლა. 22. რაიმე ვრცელი მიდამოს ხედი, ჩვეულებრივ ზევიდან. 24. სახელმწიფო აფრიკაში. 25. ადამიანი, რომელიც უარს ამბობს ყოველგვარ „ამქვეყნიურ" სიამოვნებაზე. 29. იგივეა, რაც სასიმინდე. 30. თვალის ფერადი გარსის ანთება.

შეადგინა
ციალა ამაშუკელმა.

### 9 აპრილს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. აკორდი. 6. მადონა. 9. ტალანტი. 11. არტისტი. 15. ფერხული. 17. შტაბი. 19. ადამი. 22. კაფია. 24. ნოტა. 25. არსი. 26. „ტრუბადური". 27. აუტი. 29. პერუ. 30. ტრაპი. 33. დანია. 35. ფიალა. 37. ლეტისია. 39. გრაფიკა. 41. ჩრდილი. 43. ონკანი. 44. ისინდი.

**შვეულად:** 1. სკეტჩი. 2. ოდრა. 3. მალი. 4. ინგირი. 7. მტოფი. 8. ორგია. 10. ლუსტრა. 12. სტამბა. 13. არია. 14. ბული. 16. კანტატა. 18. ბარტერი. 20. დადიანი. 21. ტრიბუნი. 23. ფრაზა. 28. იტალია. 29. პილოტი. 31. როტა. 32. პესო. 34. „ალეკო". 35. ფარჩა. 36. ლაგუნა. 38. რაინდი. 40. ტონი. 42. დასი.

## ტელევიზია – კვირა, 16 აპრილი

08.00 „ალიონი" 10.00 „დილის პაემანი" 11.30 „საკვირაო გამოფენა" 11.40 „ნამდვილი ამბები" 11.55 „რობინ ჰუდი" 12.50 „ბავშვები, უპირველეს ყოვლისა" 13.00 „ფან-კლუბი" 13.20 „გვაქვს უთვალავი ფერითა" 13.50 „ლიტერატურული გადაცემა" 14.10 „ახალი ქართული პროექტი" 14.35 „რეგიონი" 15.00 „ვესტნიკი" 15.10 მულტსერიალი 15.30 „მსოფლიოს ახალი ამბები" 15.45 „ბუნების კარი" 16.15 „ენერგია" 16.30 დოკ. ფ. 17.35 „სპა." 18.00 „მოამბე" 18.15 „ინტეგრალი" 18.50 „კამერა-ობსკურა" 19.05 „რეიტინგი" 19.20 „ტოტო-ლოტო" 19.25 „ჩვენი მისამართია„ 20.00 „ტაიმ-აუტი" 20.55 „აზრი" 21.00 „ფორტუნა" 21.40 „გალა" 22.30 „დიდების ზღაპარი" 22.55 შეხვედრები მაჩაბლის ქუჩაზე 23.25 „ტელე-სინე-ვიდეო" 00.00 „მოამბე" 00.35 „აზრი" 00.40 „ჯემი" 01.15 „მისი ქორწინების ღამე".

19.00 პროგრამის გახსნა 19.05 „საზღვაო პოლიცია" 19.50 მულტფილმები 20.10 სუპერმატჩი 20.40 სტუმარი 21.10 შვიდეული 21.30 „ედ ვუდი", ღამის ქალაქი.

08.00 კლასიკა 09.00 კურიერი 09.15 მულტსერიალი 10.00 საბავშვო ფილმი 11.30 მუსიკა 11.40 „ალფი" 12.10 „სიმფსონები" 12.30 „სიყვარულის ერთგულება" 13.15 მხ. ფ. 15.15 დოკ. ფ. 18.00, 01.35 კურიერი 18.15 აკუნა მატატა 18.40 „დაკარგული ქალაქი" 19.10 „ალფი" 19.40 სპორტული პროგრამა 20.05 „სიყვარულის ერთგულება" 21.00 60 წუთი 22.05 მხ.ფ. 01.45 კლასიკა.

იბერია
09.00, 19.00, 22.00, 00.10 ახალი ამბები 09.10, 21.50 „ალსავალი" 09.20, 19.40 მუსიკალური ტალღა 09.25 მულტსერიალი 09.45 ცხოველთა სამყარო 10.15 მრწამსი 10.50 ფარული კამერა 11.10 „ოსტინ პაუერსი" 18.00 მხ. ფ. 20.40 „ავტო-მოტო" 21.00 დოკ. ფ. 22.30 „მეექვსე გრძნობა" 00.20 „ნოსტალგია" 00.25 მხ. ფ. 02.10 „ოვაცია".

15.00 „აქ მიედინება მდინარე" 17.05 მულტფილმი 17.30 ქადაგება 18.00 „სპორტის სამყაროში" 19.00 „ფლიუპი" 20.30, 00.00 „დღეს" 21.00 „ვარსკვლავები" 22.00 მხ. ფ.

ევრიკა 11.00 ცისკრის ზარები. 11.03 ქართული მულტფილმები 11.30 დოკ. ფ. 12.00 ლოცვა 12.03 „თეატრალური შეხვედრები" 13.15 საბ. მხ.ფ. 14.20 დოკ. ფ. 15.00 ლოცვა 15.03 ქართული საგალობლები 15.45 „არ დაიდარდო" 17.15 „ბაკულას ღორები" 18.00 ლოცვა 18.03 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება 18.15 საეკლესიო კალენდარი 18.30 საუბრები ბიბლიაზე 20.00 საბავშვო გადაცემა 20.30 იქ, სადაც სიყვარულია 21.00 დოკ. ფ. 21.30 იუმორისტული გადაცემა 22.15 თბილისური ოჯახები 23.00 „ბარიგება".

08.00, 17.40 „ტონიკი" 08.15 მხ.ფ. 10.05, 21.00, 23.20, 01.40 კლიპ-მიქსი 18.00 მულტფილმები 19.00 მხ. ფ. 21.15 მხ.ფ. 23.35 „იმიტატორი". 01.55 მხ. ფ., დასასრულს ნონ-სტოპი.

09.00 საინფორმაციო პროგრამა 09.15 მულტფილმი 09.45 „ნიაგარა" 11.10, 22.20 მუსიკა 11.20 „თავისუფალი მიკროფონი" 12.10 „ბელისიმო" 12.50 მხ. ფ. 14.20, 18.50 „დისქავერი" 18.00 საინფორმაციო პროგრამა 18.15 მულტფილმი 20.30 თავისუფალი მიკროფონი 21.05 დოკ. ფ. 21.55 გადაცემა „ქართული მთამსვლელობის ქრონიკები" 22.30 „ახალგაზრდა გულები" 00.00 საინფორმაციო პროგრამა 00.15 მხ.ფ.

08.00, 17.00 მუსიკა 08.30, 20.50 „ზღაპარ იყო..." 08.35, 19.20 მულტფილმები 09.00, 19.00, 23.00 დალალი 09.20 მხ. ფ. 17.30 მხ. ფ. 19.20 გადაცემა „ტოპ-7" 22.00 ანალიტიკური პროგრამა „რაკურსი„ 23.30 ფეხბურთი.

10.00 „ექო" 10.15 მულტფილმები 11.00 „არდადეგები" 12.30 ქართული ტრადიციები 13.30 მხ.ფ. 15.00 გასართობი პროგრამა 15.30 მხ. ფ. 16.45 მუსიკალური კოლაჟი 17.00 „კუკარაჩა" 21.10 დოკ. ფ. 22.00 ფარდის გახსნამდე 23.00 მუსიკალური ბოქსი 23.30 ფეხბურთი 01.30 მხ.ფ.

### საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

12 აპრილი, 2000 წელი

28-დღიანი სახაზინო ვალდებულებები 1300000 (ერთი მილიონ სამასი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2000 წლის 17 მაისს, გამოტანილი იქნება აუქციონზე, რომელიც შედგება 2000 წლის 19 აპრილს, 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს სერტიფიცირებული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2000 წლის 19 აპრილის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ სერტიფიცირებულ ბანკში.

## იუბილე

### „ნერგი" 75 წლისაა!

აჭარისა და აფხაზეთის საზოგადოებრიობამ გაზეთი „ნერგის" 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით თბილისში, აჭარის წარმომადგენლობის შენობაში გამართა საღამო. იმ დღეს სრულიად საქართველო ზეიმობდა საყმაწვილო გაზეთის იუბილეს. აქვე მოეწყო „ნერგის" ნორჩი მხატვრის, ცხრა წლის გიორგი ბერაიას ნამუშევრების გამოფენაც.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჰამლეტ ჭიპაშვილი გულთბილად მიესალმა გაზეთის კოლექტივს. საღამოს უძღვებოდა პოეტი ეკა ბაქრაძე და მონაწილეობდნენ გაზეთ „ნერგთან" ახლახანს დაარსებული სწავლულ ბავშვთა დარბაზის წევრებიც.

გაზეთის იუბილეზე სიტყვები წარმოთქვეს „ნერგის" რედაქტორმა მარინე თექთუმანიძემ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორის პირველმა მოადგილემ გურამ გოგიაშვილმა, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარემ აკაკი სიხარულიძემ, პოეტებმა მზია ხეთაგურმა, გიორგი ლობჟანიძემ და სხვებმა.

ღონისძიება დაამშვენა ნორჩების მხატვრულმა შემოქმედებამ.

იზა ჯაჭვაძე.



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელმა შპს „პრესა-98"-მა ხელმისაწვდომ ფასებში ცალკე ბროშურად დასტამბა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კანონები:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბროშურის შეძენა შეუძლიათ: თბილისში – წიგნის მაღაზიებსა და სს „მაცნეს" საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე, უშუალოდ გამომცემელთან (თბილისი, მ. კოსტავას 14. ტელ: 93-26-33), დედაქალაქის ფარგლებს გარეთ კი - შპს „საქპრესის" საგაზეთო ჯიხურებში.

გამოიწერეთ, შეიძინეთ, იკითხეთ გაზეთი
„საქართველოს რესპუბლიკა"

შეგახსენებთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერა ერთი თვით 15 ლარი ღირს (დედაქალაქში), 15,6 ლარი – რეგიონებში; სამი თვით, შესაბამისად, – 45 და 46,8 ლარი; ექვსი თვით – 90 და 93,6 ლარი. გაზეთის ინდექსია 66434.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ჭობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ანზორ ბასილაია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.